საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია

2021-2025

საბოლოო შეფასება

პრიორიტეტი 1.
საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება

პრიორიტეტი 2.
მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

პრიორიტეტი 3.
ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

პრიორიტეტი 4.
საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

პრიორიტეტი 5.
ელექტ. კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტი 6.
ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტი 7.
მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების

2021-2025 წლების

სტრატეგიის საბოლოო შეფასება

© ანგარიში მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ.

ივნისი, 2026 წ.

აბრევიატურა

ADR	დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმი
B-READY	„ბიზნესისთვის მზაობის“ რეიტინგი
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
ESG	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტანდარტები
GAA	საქართველოს არბიტრთა ასოციაცია
ICT	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
IFRS for SMEs	მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს)
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PPD	საჯარო-კერძო დიალოგი
PSDAC	კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო
RBC	ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევა
RIA	რეგულირების ზეგავლენის შეფასება
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
SBA	მცირე ბიზნესის აქტი
SME	მცირე და საშუალო საწარმოები
STEAM	მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UN GCNG	გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი
WEPs	ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპები
World Bank	მსოფლიო ბანკი

სარჩევი

მოკლე შეჯამება ... 5

შესავალი ... 18

მეთოდოლოგია ... 20

შეფასების მიგნებები ... 22

მიზანთან და მის შესაბამის ამოცანებთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესი ... 28

- საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება ... 28
- მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა ... 56
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ... 80
- მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა ... 98
- ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა ... 112
- ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა ... 127
- მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა ... 141

გამოწვევები და რეკომენდაციები ... 156

ცხრილები და დანართები ... 161

ცხრილები

ცხრილი 1. მიზნების გავლენის ინდიკატორების მატრიცა ... 161
ცხრილი 2. ამოცანების შედეგის ინდიკატორების მატრიცა ... 162
ცხრილი 3. ამოცანების შეფასების მატრიცა ... 175
ცხრილი 4. ამოცანის ინდიკატორების შეფასების მატრიცა ... 175

დიაგრამები

დიაგრამა 1. OECD „SME Policy Index 2024"-ში საქართველოს ქულები კომპონენტების მიხედვით ... 23
დიაგრამა 2. საწარმოთა როლი ქვეყნის ეკონომიკაში 2019-2024 წწ. ... 27
დიაგრამა 3. დაცული ტერიტორიების ფართობების დინამიკა (ათასი ჰა) ... 152
დიაგრამა 4. დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა დინამიკა (ათასი კაცი) ... 152

მოკლე შეჯამება

მცირე და საშუალო საწარმოები, ეკონომიკის განვითარებასა და მის ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ასევე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად მიიჩნევა. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი განსაკუთრებულ როლს ასრულებს, ზოგადად, ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში, სოციალური სტაბილურობის მიღწევაში, მნიშვნელოვნად უწყობს რა ხელს დასაქმებას და შემოსავლების გენერირებას, ექსპორტის ზრდას, ინოვაციებსა და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას. ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოებს, მოქნილი სტრუქტურის გამო გააჩნიათ მნიშვნელოვანი პოტენციალი ახალი ტექნოლოგიების ათვისებასა და გამოყენებაში.

სწორედ მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ერთიანი სტრატეგიული პოლიტიკის ფორმირების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ, 2016 წელს დამტკიცდა პირველი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, შესაბამისი სამოქმედო გეგმებით (2016-2017 და შემდგომში, 2018-2020 წლებისთვის). სტრატეგია შემუშავდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) და GIZ-თან მჭიდრო თანამშრომლობით.

სტრატეგიის განხორციელების პროცესმა სფეროსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი აქტორი გააერთიანა, რამაც თავის მხრივ, უზრუნველყო მცირე და საშუალო მეწარმეობის 2016-2020 წლების სტრატეგიის წარმატებით განხორციელება. თუმცა, სტრატეგიის განხორციელების ბოლო, 2020 წელი, დაემთხვა COVID-19-ის გლობალურ პანდემიას და მისგან გამოწვეულ კრიზისს, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე, ზიანი მიაყენა ბიზნესის საქიანობას და საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

ამ ვითარებაში და სტრატეგიის განხორციელების შეფასების შედეგად გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ, მცირე და საშუალო მეწარმეობის (SME) განვითარების შემდგომი, 2021-2025 წლების სტრატეგიის შემუშავებამ და ამ მიმართულებით სამომავლო ხედვის, მიზნების, პრიორიტეტული მიმართულებებისა და შესაბამისი ამოცანებისა და აქტივობების განსაზღვრამ, განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა (2021-2022 წწ., შემდგომში 2023-2025 წლებისთვის) შემუშავდა საქართველოს ეკონომიკსა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით, ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით, OECD-ისა და GIZ-თან აქტიური თანამშრომლობით და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით (N532, 21.11.2022წ.). სტრატეგია დაეფუძნა

ევროპის მცირე ბიზნესის აქტის ძირითად პრინციპებს, მათ შორის, მის უმთავრეს პრინციპს „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small First)[1] და ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას SME პოლიტიკის კუთხით. სტრატეგია შემუშავებული იქნა სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის ფართო ჩართულობით. შემუშავების პროცესში აქტიურად იქნა გამოყენებული საჯარო-კერძო დიალოგის გაძლიერების კუთხით არსებული პლატფორმა - „კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო“ და აღნიშნულ საბჭოსთან არსებული „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით შექმნილი ქვესაბჭო“.

წინამდებარე საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის საბოლოო შეფასების ანგარიში მომზადდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტის მე-8 დანართის შესაბამისად. სტრატეგიის შეფასება ჩატარდა შიდა რესურსებით და იგი განახორციელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტმა.

ახალი სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პირველი წლები დაემთხვა COVID 19-ის გლობალურ პანდემიას. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, სტრატეგიის შემუშავების უმთავრეს მიზნად განისაზღვრა SME-ის წინაშე მდგარი გამოწვევების საპასუხო ღონისძიებების განხორციელების გზით, მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პანდემიამდე არსებული დადებითი ტენდენციების აღდგენა და შედეგად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

სტრატეგიით განისაზღვრა სამიზნე მაჩვენებლები, რაც ითვალისწინებს 2025 წლისთვის:

- ✓ მცირე და საშუალო საწარმოების **დამატებული ღირებულების ზრდას 20%-ით;**
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოებში **დასაქმებულთა ზრდას 10%-ით;**
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოთა **მწარმოებლურობის ზრდას 20%-ით.**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამიზნე მაჩვენებლების შეფასების საბაზისო წლად განისაზღვრა არა 2020 წელი, რომელიც პანდემიის შედეგად მკვეთრად გაუარესებული ეკონომიკური პარამეტრებით აღინიშნა, არამედ 2019 წელი, როდესაც დაფიქსირდა პოზიტიური ეკონომიკური ტენდენციები და შესაბამისად, ეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი პროგრესი.

[1] ევროპის მცირე ბიზნესის აქტი „Small Business Act for Europe”;
იხ. ბმული: https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summary/a-small-business-act-for-european-smes.html

მიუხედავად პანდემიის უარყოფითი გავლენისა, რომელიც, მათ შორის, აისახა მცირე და საშუალო საწარმოების ოპერირების შედეგებსა და ამ სეგმენტის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებზე, აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის სამიზნე მაჩვენებლები წარმატებით სრულდებოდა პირველივე წლიდან, რაც ასახულია სტრატეგიის შესრულების ყოველწლიურ ანგარიშებში.[2] შედეგად, სამიზნე მაჩვენებლები წარმატებით იქნა მიღწეული 2019 წელთან შედარებით[3]:

- ✓ მცირე და საშუალო საწარმოების **დამატებული ღირებულება გაიზარდა 28.2%-ით;**
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოებში **დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 6.8%-ით;**
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოთა **მწარმოებლურობა გაიზარდა 20.1%-ით.**

2021-2025 წლების სტრატეგია მოიცავს 7 ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას:

1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;
2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;
6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;
7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

პრიორიტეტული მიმართულებები, თავის მხრივ, მოიცავს პოლიტიკის შესაბამის ამოცანებსა და მიზნობრივ აქტივობებს, ყველა დონეზე შესაბამის ინდიკატორებთან ერთად.

სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის სამთავრობო პროგრამით განსაზღვრულ ძირითად მიმართულებებთან.

წინამდებარე დოკუმენტში შეფასებულია „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის“ 5 წლიანი პერიოდის სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანების ფარგლებში მიღწეული შედეგები

---

[2] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ანგარიშები;
იხ. ბმული: https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=45

[3] საქსტატი, საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა;
იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva

და მათი გავლენა. შეფასებულია სტრატეგიის 42 ამოცანა, რომელთაგან სრულად შესრულებულია 31 ამოცანა (74%), მეტწილად შესრულებულია 9 (22%), ნაწილობრივ შესრულებულია 1 ამოცანა (2%), ხოლო შეუსრულებელია 1 ამოცანა (2%). სტრატეგიის ამოცანების და მათი შესრულების ინდიკატორების გაზომვის საფუძველზე სტრატეგიის შესრულების საშუალო მაჩვენებელი 93%-ს შეადგენს.

მიღწევების მოკლე შეჯამება პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით

სტრატეგიის განხორციელების პერიოდში მიმდინარეობდა კომპლექსური ღონისძიებები მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისა და ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით. აღნიშნულმა უზრუნველყო ხელშესახები პროგრესი მცირე და საშუალო მეწარმეობის შემდგომი განვითარების მიმართულებით სტრატეგიის ფარგლებში დასახული მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისად, განსაზღვრული პრიორიტეტების მიღწევის თვალსაზრისით. კერძოდ, აღნიშნული გამოიხატა საკანონმდებლო მარეგულირებელი ბაზის დახვეწის, სამეწარმეო უნარების განვითარების, შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ტენდენციების შესწავლის, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერის, ციფრული და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, მეწარმეებისთვის საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობის, არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების პოტენციალის მაქსიმალური ათვისების, ქალ მეწარმეთა მხარდაჭერისა და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნული თავის მხრივ, წარმოადგენს ქვეყანაში ინკლუზიური ზრდისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.

მიზანი 1. მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის და განვითარებისთვის შესაძლებლობების სივრცის შექმნა/გაფართოება.

პირველი პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს <u>ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწას მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით.</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და OECD-ის გაიდლაინების შესაბამისად, მომზადდა RIA SME Test-ის მეთოდოლოგია და პრაქტიკული სახელმძღვანელო ქართულ და ინგლისურ ენებზე. ჩატარდა RIA SME Test-ის თაობაზე ტრენინგები. ნორმატიულ აქტებზე მომზადდა RIA-SME ტესტი.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში, უზრუნველყოფილია მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსების მდგრადობა. 2025 წელს, მცირე და საშუალო

მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსებამ 496 მლნ. ლარი შეადგინა, რაც საბაზისო წელთან შედარებით გასამმაგებული მაჩვენებელია (საბაზისო - 164.9 მლნ. ლარი). ამასთან, განხორციელდა შესაბამისი სააგენტოების (სსიპ „აწარმოე საქართველოში", სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო") თანამშრომელთა ტრენინგები. შემუშავდა გავლენის შეფასების ჩარჩო, რომლის საფუძველზეც მეწარმეობის მხარდამჭერ პროგრამებზე მომზადდა გავლენის შეფასების ანგარიში.

მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით, „საქსტატმა" გააფართოვა საწარმოთა კვლევის არეალი და სტატისტიკურ მონაცემთა საჯარო ხელმისაწვდომობა.

კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ „საქართველოს კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ", კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე კერძო სექტორის წარმომადგენელების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩაატარა ტრენინგები/სემინარები/კონფერენციები. სააგენტომ, ასევე, განახორციელა საქმის მოკვლევები, ბაზრების მონიტორინგი და გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის შეფასება.

ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობდა დავების გადაწყვეტის მიუკერძოებელი და სანდო ალტერნატიული მექანიზმების განვითარების პროცესი. განხორციელდა საარბიტრაჟო დავების და მედიაციის პროცესის ადმინისტრირება. ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა და ამოქმედდა ახალი მედიაციის ცენტრები. ჩატარდა სემინარები და შეხვედრები დავების ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერების და მედიაციის განვითარების მიზნით, გაიმართა ყოველწლიური ფორუმები: „მედიაცია იურისტებისთვის და მედიაცია ბიზნესისთვის".

ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ განხილული იქნა საკანონმდებლო აქტების პროექტები და მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნები, რეკომენდაციები და შუამდგომლობები. ბიზნესომბუდსმენის აპარატში საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების მიზნით ფუნქციონირებდა მუდმივი ცხელი ხაზი.

უზრუნველყოფილი იყო უწყვეტი დიალოგი ბიზნესთან. კერძოდ, საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიზნით, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები, DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან დაახლოების მიზნით მომზადებული საკანონმდებლო პროექტები კომენტარებისა და შენიშვნებისთვის განთავსდა dcfta.gov.ge-ზე.

ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე განხორციელდა ახალი სერვისების ინტეგრაცია, „შემოსავლების სამსახურის" მიერ სერვისებთან დაკავშირებით მომზადდა

მომხმარებლის ელექტრონული სახელმძღვანელოები. ასევე, საბაჟო და საგადასახადო სერვისების გამოყენებაზე შემუშავებულია სერვისების გამოყენების სახელმძღვანელოები/ვიდეო გიდები. კვლევის - „სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება“ თანახმად, პორტალ my.gov.ge-ის სერვისებით სარგებლობის გამოცდილების მქონე რესპონდენტთაგან, 93% კმაყოფილი/ძალიან კმაყოფილია პორტალით.

საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროკავშირის დამატებით საკანონმდებლო აქტებს.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ განხორციელდა მცირე და საშუალო საწარმოების მხარდამჭერი აქტივობები, კონსულტირებები, ტრენინგები, ასევე, ბიზნეს ფორუმები.

მიზანი 2. მცირე და საშუალო მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება სამეწარმეო უნარებისა და სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობის გზით.

მეორე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს <u>მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობას.</u> აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელდა როგორც ეკონომიკის ყველა სექტორის, ასევე შერჩეულ სექტორებში (მრეწველობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და მომსახურების სექტორები) სამუშაო ძალასა და უნარებზე საწარმოთა როგორც არსებული მოთხოვნის, ასევე, სამომავლო განზრახვის კვლევა. გაანალიზდა აღნიშნულ სექტორებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის და დასაქმების ცვლილების ასპექტები. განხორციელდა ჩატარებული კვლევების შედეგების გაციფრულება, რისთვისაც შეიქმნა სპეციალური ვებ-პორტალი - „შრომის ბაზრის კვლევის ელექტრონული სისტემა“. აღნიშნული წარმოადგენს ინოვაციური და მომხმარებელზე ორიენტირებულ ფუნქციურ ვებ-პორტალს, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა ხელმისაწვდომობა კვლევის სრულ შედეგებზე და ასევე, აამაღლა მისი მიზნობრივი გამოყენების ეფექტიანობა. ასევე, მომზადდა საქართველოს შრომის ბაზრის წლიური ანალიზები, რომლის ფარგლებში შემუშავდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით Cambridge Econometrics-ის მიერ შემუშავდა „საქართველოში უნარების მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი“, რომელიც იძლევა 5-წლიან პერიოდში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის, მიწოდებისა და ჩანაცვლების საჭიროებების პროგნოზირების შესაძლებლობას.

საზოგადოების, განსაკუთრებით დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების

ამაღლების მიზნით, მეწარმეობის ხელშემწყობი ორგანიზაციების მიერ განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები, სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები. კერძოდ, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრებში ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ მეწარმე სუბიექტებისათვის გაიმართა სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები.

ამასთან, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს” ორგანიზებით, STEAM მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები, რომლის მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა ტრენინგების დასრულების შემდგომ დასაქმებულიყვნენ კონკრეტული მიმართულებებით. პრე-აქსელერატორის პროგრამის ფარგლებშიც, ასევე, გადამზადდნენ ბენეფიციარები.

შემუშავდა და დამტკიცდა ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია (2024-2030 წწ.). განხორციელდა ღონისძიებები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (პსდ) სამეწარმეო კულტურის დანერგვის მიმართულებით, მათ შორის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები. მეწარმეობის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის შეიქმნა მასწავლებელთა ქსელი, რომლის ფარგლებში, მეწარმეობის მოდულის ყველა მასწავლებელს, შესაძლებლობა აქვს რეგულარულად ჩაერთოს სხვადასხვა სახის სამუშაო შეხვედრასა და ტრენინგში.

პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგა დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ჯამში, სისტემაში დანერგილია 57 დუალური პროგრამა. საანგარიშო პერიოდში, პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდის მიმართულებით, ჩატარდა შეხვედრები და კონსულტაციები თბილისსა და რეგიონებში.

პსდ-ების სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველი და ჩატარდა სამუშაო/საკონსულტაციო შეხვედრები დაწესებულებებთან ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით ბენეფიციარებისთვის განხორციელდა მიზნობრივი სერვისები, რომლის ფარგლებში სერვისების მიმღებთა დასაქმების მაჩვენებელი 2025 წელს, საბაზისო 2020 წელთან შედარებით, თითქმის 7-ჯერ გაიზარდა.

განხორციელდა ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა. გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (UN GCNG)

ორგანიზებით და სსიპ „აწარმოე საქართველოში" ჩართულობით, გაიმართა „კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდოს" ყოველწლიური კონკურსები და გამოიცა პუბლიკაციები, რომელიც აერთიანებს პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის წარმატებულ მაგალითებს საქართველოში. ასევე, ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაციის მიზნით, კომპანიების წარმომადგენლებისთვის განხორციელდა ტრენინგები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან პარტნიორობით და ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მხარდაჭერით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (CSRDG), ჩაატარა **საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora.** კონკურსის ფარგლებში დაჯილდოვდნენ საქართველოში მოქმედი ის კომპანიები, რომლებმაც განახორციელეს სამაგალითო პროექტები და ინიციატივები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში.

წარმატებით განხორციელდა „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა" და პროგრამით დაიფარა 300 სოფელი/დასახლება. ჯამში, ჩატარდა 800-მდე ტრენინგი და გადამზადდა 10,000-ზე მეტი ადგილობრივი ბენეფიციარი.

მიზანი 3. მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენების ზრდა.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს <u>მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.</u> აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, მეწარმეობის მხარდამჭერი სააგენტოების (სსიპ „აწარმოე საქართველოში", სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო" და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო") მიერ შეიქმნა ახალი პროგრამები და არსებულ პროგრამებში შევიდა ცვლილებები. „ბიზნეს ჰაბის" კონცეფციის ფარგლებში, შეიქმნა ახალი რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები („Growth Hub"). სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, სააგენტოების „აწარმოე საქართველოში" და „სოფლის განვითარების სააგენტოს" მიერ განხორციელდა საგრანტო და თანადაფინანსების პროგრამები მცირე და საშუალო მეწარმეობის, მათ შორის, სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროექტები. 2025 წელს „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად, დაფინანსებული სტარტაპების მიერ მოზიდული ინვესტიციების საერთო მოცულობამ 345 მლნ. ლარი შეადგინა.

ფინანსური განათლების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ ჩატარდა მიზნობრივი აქტივობები, მათ შორის, ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები.

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" მიერ წარმატებით განხორციელდა

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა, რომელიც 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულდა. რეფორმის ფარგლებში ქვეყნის საკადასტრო დაფარულობამ 95%-ს გადააჭარბა. შედეგად, საკადასტრო და უფლებრივი მონაცემების სრულყოფამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გირავნობის საგნის გაფართოებას.

2025 წლისთვის, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა საბაზისო წელთან მიმართებით (19.1 მლრდ. ლარი) 140%-ით გაიზარდა და 45.9 მილიარდი ლარი შეადგინა.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით და დონორთა დაფინანსებით „მსს ფასს“ ტრენინგების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა „მსს ფასს“ (მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი) ტრენინგები შესაბამის სეგმენტში მომუშავე ბუღალტრების, ფინანსისტების და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდის მიზნით, განხორციელდა საწარმოთა მიერ წარდგენილი ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონთან და კანონქვემდებარე აქტებთან შესაბამისობის შემოწმება და ანგარიშგებების გასაჯაროება.

ქვეყანაში ალტერნატიულ ფინანსებზე წვდომის მექანიზმების წახალისების მიზნით, განხორციელდა შესაბამისი მიზნობრივი აქტივობები, მიღებულ იქნა „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონი. უზრუნველყოფილი ტრანზაქციების რეფორმის ფარგლებში, შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი. დაფინანსდა ინოვაციური სტარტაპები და საქართველოში შეიქმნა პირველი ვენჩურული ფონდი - „500 Georgia, LLC“. ჯამურად, ფონდში გადარიცხული თანხა 9,254,962 ლარს შეადგენს.

მიზანი 4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის გზით მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მეოთხე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს <u>მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას.</u> პრიორიტეტის ფარგლებში, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ განახორციელა მნიშვნელოვანი მიზნობრივი აქტივობები, მათ შორის, მხარდაჭერილი იქნა კომპანიების მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებსა და ღონისძიებებში. სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტები.

ამ მიმართულებით მიზნობრივი აქტივობები განახორციელა, ასევე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ. კერძოდ, მეწარმეებს ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწიათ ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, პალატამ ორგანიზება

გაუწია ბიზნეს ფორუმების ჩატარებას საქართველოსა და საზღვარგარეთ, უზრუნველყოფილი იქნა საზღვარგარეთ დაგეგმილი საერთაშორისო გამოფენების შესახებ მეწარმეთა ინფორმირება და მათი მონაწილეობა აღნიშნულ გამოფენებზე.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სურსათის ბიზნესოპერატორებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები, მათ შორის, DCFTA-ის შესაძლებლობებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ წარმატებით გაიარა საერთაშორისო აუდიტის ყველა ეტაპი „სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სახელმწიფო კონტროლის“ მიმართულებით და ევროკავშირის ENPARD-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკატი - ISO 9001:2015 მიიღო.

პრიორიტეტის ფარგლებში, სსიპ „აწარმოე საქართველოში” სააგენტოს მიერ, ექსპორტის სასერთიფიკატო კურსის ფარგლებში განხორციელდა ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსები. ბიზნეს ასოციაციებთან კონსულტაციების საფუძველზე, შეიქმნა ადგილობრივი მეწარმეების/მიმწოდებლების ბაზა, რომელიც გაზიარებულ იქნა დაინტერესებულ უცხოელ ინვესტორებთან. ხარისხის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სტანდარტად მიღებული იქნა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები.

სსიპ „სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოს“ მიერ, მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით სტანდარტებზე შეღავათიანი ფასების პროგრამა ამოქმედდა. განხორციელდა ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლება. სსიპ „საქართველოს ეროვნული აკრედიტაციის ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“ გახდა ILAC-ის (საერთაშორისო ლაბორატორიის აკრედიტაციის თანამშრომლობა) და IAF-ის (აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმი) სრულუფლებიანი წევრი და მრავალმხრივი აღიარების ხელმომწერი.

მიზანი 5. მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლება ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის გზით.

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს <u>ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობას.</u> აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, ინოვაციური სტარტაპების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის, ინოვაციური პროდუქტების განვითარებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა სტარტაპებისთვის - თანადაფინანსების, ინოვაციების თანადაფინანსების, ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის და მცირე გრანტების პროგრამები. შედეგად, სტარტაპებს გაუჩნდათ ინოვაციურ ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობა. შერჩეული იქნა

კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტები. ჩატარდა ტრენინგები ელექტრონული კომერციის საკითხებსა და სხვადასხვა ციფრულ სერვისთან, ასევე, ციფრულ უნარებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, „3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის" და „5000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის" ფარგლებში გადამზადდნენ IT სპეციალისტები. რეგიონებში ინოვაციების მხარდაჭერის, სამეწარმეო და ინოვაციური ეკოსისტემის გაძლიერებისა და რეგიონული ეკონომიკის გაძლიერების მიზნით, განხორციელდა მიზნობრივი საგრანტო პროგრამები, მათ შორის, საგრანტო პროექტი „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის". ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გაიზარდა ინტერნეტ ქსელებით დაფარული პუნქტების რაოდენობა.

მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, 2025 წელს, საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, დაიწყო კვლევა „საქართველოში უნივერსალური ფართოზოლოვანი წვდომის უზრუნველყოფისათვის საინვესტიციო საჭიროებების განსაზღვრა", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში უნივერსალური წვდომის უზრუნველყოფას მაღალსიჩქარიან ფართოზოლოვან ინტერნეტზე.

მსოფლიო ბანკის პროექტის „Log-in Georgia" ფარგლებში, გატარდა ღონისძიებები ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მიზნით. განხორციელდა შეხვედრები მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების ასოციაციასთან, მათი პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრაში დახმარების კუთხით. მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისთვის განხორციელდა სხვადასხვა პრობლემური საკითხის გადაწყვეტა.

მიზანი 6. მცირე და საშუალო მეწარმე ქალთა ზრდა/განვითარება გლობალური კონკურენციის გათვალისწინებით.

მეექვსე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს <u>ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას</u>. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელდა ღონისძიებები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, მათ შორის, მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები „ქალთა გაძლიერების პრინციპების" (WEPs) პოპულარიზაციის მიზნით, ქალ მეწარმეთა მხარდაჭერისა და ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ, სხვადასხვა დონორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, განხორციელდა საინფორმაციო სესიები და ფორუმები. დატრენინგებული კომპანიების წარმომადგენლების 98% ადასტურებს, რომ ტრენინგებმა ხელი შეუწყო მათ საქმიანობაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით შესაბამისი სტანდარტების დანერგვის პროცესს. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალ მეწარმეთა პრიორიტეტიზაცია, რის შედეგადაც პროგრამაში ქალ ბენეფიციართა რიცხვმა 2024 წელს 50%-ს, ხოლო განახლებული მიკრომეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის

ფარგლებში, 2025 წელს, 63%-ს მიაღწია.

შეიქმნა რეგიონალური მეწარმეობის ხელშეწყობის ინსტრუმენტის - ე.წ. „ბიზნეს ჰაბის" კონცეფცია („Growth Hubs"), რომელიც რეგიონებში ქალ მეწარმეთა აქტივობის ზრდისა და მათი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" მიერ განხორციელდა ღონისძიებები ინოვაციებში ქალთა ჩართულობის წახალისების მიზნით. კერძოდ, ქალ ბენეფიციარებზე გაიცა მცირე გრანტები, ასევე, თანადაფინანსების გრანტები და დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა, ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები.

განხორციელდა სახელმწიფო უწყებათა თანამშრომლების უნარ-ჩვევების გაძლიერება გენდერთან დაკავშირებული საკითხებისა და გენდერული გავლენის შეფასების მიმართულებით. ჩატარდა ტრენინგები ქალი მეწარმეებისთვის, მათ შორის, ელექტრონული კომერციის საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, ჩატარდა შეხვედრები მეწარმე ქალებისთვის სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. უზრუნველყოფილი იქნა ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებთან დაკავშირებით და ხელი შეეწყო მათ მონაწილეობას ბიზნეს ფორუმებში.

პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო მხარდამჭერ ინსტრუმენტებში გენდერული მიდგომების ინტეგრირების კუთხით, კერძოდ, გაუმჯობესდა სახელმწიფო პროგრამებში გენდერული სტატისტიკის წარმოება, გენდერული ასპექტების გათვალისწინება და პროგრამების გენდერულ ჭრილში შეფასება.

მიზანი 7. მცირე და საშუალო საწარმოთა მწვანე ეკონომიკაში ჩართულობის ხელშეწყობა.

მეშვიდე პრიორიტეტული მიმართულება ითვალისწინებს <u>მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას.</u> აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, მსოფლიო ბანკთან აქტიური თანამშრომლობით შემუშავდა მწვანე ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტების საბოლოო ვერსია. ეკო-ინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის, ასევე, მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობის მიმართულებით ჩატარდა შეხვედრა/სესიები. 2025 წლისთვის, ეკო-ინოვაციური მიდგომა დანერგილია 40-მდე კომპანიაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკი, ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერების მიზნით ახორციელებს მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებას და „მწვანე" ფინანსური პროდუქტების შექმნის ხელშეწყობას. ეროვნული ბანკის მიერ, დამტკიცდა მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია და ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების

წესი. ეროვნული ბანკი ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციები და გატარებული პოლიტიკა, გაანალიზებულია კომერციული ბანკების მიერ ESG ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაცია.

პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში, დამტკიცდა საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია 2020-2030 წწ. განხორციელდა აქტივობები ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. კერძოდ, მოეწყო საგანმანათლებლო და საფეხმავლო ბილიკები, შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორიები.

ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირის (გარემოსდაცვითი მმართველი) ყოლის თაობაზე კომპანიათა ვალდებულებიდან გამომდინარე, ამ მოთხოვნის ხელშეწყობისა და შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით განხორციელდა პროფესიული მომზადების პროგრამა „გარემოსდაცვითი მმართველი“. საანგარიშო პერიოდში, ასევე, განხორციელდა რიგი საინფორმაციო, საკონსულტაციო და სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაძლიერებას და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ამაღლებას, გარემოს დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და განათლების გაუმჯობესების მიზნით, მიზნობრივი ჯგუფებისთვის მოეწყო კონფერენციები, სემინარები და ტრენინგები სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხზე.

საანგარიშო პერიოდში, დამტკიცდა საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“, რომლის მიზანია გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების პრევენცია და მიყენებული ზიანის ანაზღაურება „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად. საზოგადოების ინფორმირების და ცნობიერების ამაღლების მიზნით შეიქმნა პუბლიკაციები, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის შესახებ მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლი. მდგრადი საჯარო შესყიდვების სისტემის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი, შემუშავდა სახელმძღვანელო ეკომარკირების შესახებ და გაიმართა ტრენინგი „ეკომარკირების მექანიზმები საქართველოში“. ჩატარდა მწვანე ეკონომიკის ელექტრონული სასწავლო კურსი.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებითა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, მომზადდა და დამტკიცდა „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“, „ენერგოეფექტურობის შესახებ“, „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საკანონმდებლო აქტები. ასევე, მომზადდა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები.

შესავალი

2026 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, განახორციელა „საქართველოს 2021-2025 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის” შეფასება.

სტრატეგიის შემუშავების, განხორციელების მონიტორინგის, სამოქმედო გეგმების შესრულების, წლიური ანგარიშების მომზადებისა და სტრატეგიის შესრულების საბოლოო შეფასების მაკოორდინირებელ ორგანოს წარმოადგენს **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი**.

შეფასება განხორციელდა სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული მიზნების მიღწევისა და ამოცანების გრძელვადიანი შედეგების შესასწავლად, ასევე, სტრატეგიის პრიორიტეული მიმართულებების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაზე გავლენის დადგენისა და განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენის მიზნით.

შეფასება, რომელიც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, მიზნად ისახავს 2021-2025 წლებში ჩატარებული სტრატეგიული ღონისძიებების განხორციელების პროგრესის ანალიზს და რეკომენდაციების მომზადებას შემდგომი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის.

2021-2025 წლების სტრატეგიის მიზანს წარმოადგენდა მცირე და საშუალო მეწარმეობის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა და პანდემიამდე არსებული დადებითი ტენდენციების აღდგენა. სტრატეგიას საფუძვლად დაედო 2020 წელს ჩატარებული სიღრმისეული სიტუაციის ანალიზი და ასევე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ, 2018 წელს წინა სტრატეგიის იმპლემენტაციის მონიტორინგის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები[4] და „SME Policy Index - 2020“ OECD-ის კვლევის ანგარიშში, საქართველოსთან მიმართებით შემუშავებული საგზაო რუკით განსაზღვრული საკითხები[5].

2021-2025 წლების სტრატეგიის მომზადების ეტაპზე, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მრავალი გამოწვევა და საჭიროება გამოვლინდა, რამაც, საბოლოო ჯამში,

[4] OECD „Monitoring Georgia’s SME Development Strategy 2016- 2020“, 2018; იხ. ბმული: https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2019/03/monitoring-georgia-s-sme-development-strategy-2016-2020_deacde1a/44b4be94-en.pdf

[5] OECD, SME Policy Index: Eastern Partner Countries 2020, Assessing the implementation of the Small Business Act for Europe, „Georgia: Roadmap for policy reforms”;
იხ. ბმული: https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2020/03/sme-policy-index-eastern-partner-countries-2020_19316ac1/8b45614b-en.pdf

ამბიციური სტრატეგიის შექმნა განაპირობა, რომლის ფარგლებში 7 ძირითადი სტრატეგიული მიზანი დაისახა:

მიზანი 1. მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის და განვითარებისთვის შესაძლებლობების სივრცის შექმნა/გაფართოება.

მიზანი 2. მცირე და საშუალო მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება სამეწარმეო უნარებისა და სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობის გზით.

მიზანი 3. მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენების ზრდა.

მიზანი 4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის გზით მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მიზანი 5. მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლება ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის გზით.

მიზანი 6. მცირე და საშუალო მეწარმე ქალთა ზრდა/განვითარება გლობალური კონკურენციის გათვალისწინებით.

მიზანი 7. მცირე და საშუალო საწარმოთა მწვანე ეკონომიკაში ჩართულობის ხელშეწყობა.

თითოეული მიზნის ფარგლებში კი შესაბამისად, შემდეგი 7 პრიორიტეტული მიმართულება განისაზღვრა:

1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;
2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის;
6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;
7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნული მიზნების ქვეშ განისაზღვრა ცალკეული ამოცანები და აქტივობები, სულ - 84 ამოცანა და 145 აქტივობა. შეფასების პროცესში, წინასწარ შერჩეული კრიტერიუმების (შესაბამისობა, ეფექტურობა, გავლენა) შესაბამისად, დეტალურად გაანალიზდა ყველა ამოცანის შესრულების კუთხით არსებული მდგომარეობა და გამოწვევები. შეფასების მიგნებებზე დაყრდნობით კი შემუშავდა რეკომენდაციები შემდგომ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებში გასათვალისწინებლად.

მეთოდოლოგია

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის საბოლოო შეფასების ანგარიში მომზადდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტის[6] მე-8 დანართის შესაბამისად. სტრატეგიის შეფასება ჩატარდა შიდა რესურსებით და იგი განახორციელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტმა.

სტრატეგიის შეფასება მოიცავდა შემდგომ ეტაპებს:

შეფასების დაგეგმვა – შეფასების მასშტაბი ორი ძირითადი პარამეტრის მიხედვით განისაზღვრა - შეფასების საკითხებით და შეფასების კრიტერიუმებით. სტრატეგიას 7 სტრატეგიული მიზანი აქვს და შეფასების მასშტაბიც შვიდივე მიზანს მოიცავს. თითოეული მიზნის და შესაბამისი ამოცანების შესრულება შეფასდა 3 კრიტერიუმის (შესაბამისობა, ეფექტურობა, გავლენა) მიხედვით. აღნიშნული კრიტერიუმები დაფუძნებულია OECD/DAC[7] მიდგომაზე და შემდეგ კითხვებს პასუხობს:

- შესაბამისობა - რამდენად შეესაბამება მიზნები და ამოცანები ბენეფიციარებისა თუ ქვეყნის საჭიროებებს, გლობალურ პრიორიტეტებსა და პარტნიორთა და დონორთა პოლიტიკას;
- ეფექტურობა - მიღწეულია თუ არა მიზნები და ამოცანები, ან რამდენად მოსალოდნელია ეს მათი პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;
- გავლენა - როგორია განვითარების სფეროში ჩარევის შედეგები: პირდაპირი/არაპირდაპირი, გამიზნული/დაუგეგმავი, პოზიტიური/ნეგატიური, მთავარი/მეორეული.

მასალების და მონაცემების შეგროვება – აღნიშნული პროცესი რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. შეგროვდა რაოდენობრივი მონაცემები სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოსა და მასში ასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების და გავლენის ინდიკატორებთან მიმართებით. ამასთან, შეფასების ანგარიში დაეფუძნა სტრატეგიის სამოქმედო გეგმების წლიურ ანგარიშებს, ასევე, სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი საჯარო დაწესებულებების ანგარიშებს და შეფასებებს. პარალელურად გაანალიზდა თვისებრივი მონაცემებიც. ასევე, გამოყენებული იქნა სამაგიდე კვლევა, რა დროსაც გაანალიზდა საქართველოში მცირე

[6] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“
იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0

[7] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, იხ. ბმული: https://www.oecd.org/dac/

და საშუალო მეწარმეობის კუთხით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული შეფასების ანგარიშები.

შედეგების შეჯერება და ანალიზი – რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზის შემდეგ გამოვლენილი მიგნებების საფუძველზე, მომზადდა რეკომენდაციები შემდგომ სტრატეგიაში გასათვალისწინებლად.

საბოლოო ანგარიში და მისი წარდგენა – შეფასების ანგარიში სტრატეგიის განმახორციელებელ უწყებებთან შეჯერების შემდეგ, წარედგინა მმართველ საბჭოს. ანგარიშის მმართველ საბჭოზე განხილვისა და მოწონების შემდეგ, ხდება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარდგენა.

შეფასების მიგნებები

სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების და მათ ფარგლებში განსაზღვრული აქტივობების შესრულებამ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაზე, რაც თავის მხრივ, არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო სარეიტინგო/საშემფასებლო ორგანიზაციის კვლევითა თუ შეფასებით დასტურდება. მათ შორის, აღსანიშნავია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ განხორციელებული შეფასება **„მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი“** (SME Policy Index), რომლის მეთოდოლოგია OECD-იმ ევროპის განათლების ფონდთან (ETF) და IBRD-თან ერთად შეიმუშავა. აღნიშნულ კვლევაში OECD აფასებს აღმოსავლეთ პარტნიორობის *(EaP)* ქვეყნებს *(საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა)* მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკის „ევროპის მცირე ბიზნესის აქტთან“ („Small Business Act for Europe”) შესაბამისობის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, „SME Policy Index”-ის მე-4 რაუნდის შეფასების შედეგებით, საქართველომ კვლავ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა, ქვეყანამ **ლიდერი პოზიცია შეინარჩუნა** და **12-დან 11** კომპონენტში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, **პირველი პოზიცია დაიკავა.**

„პოსტ COVID-ის სწრაფი ეკონომიკური აღდგენით, გლობალურად არის აღიარებული საქართველოს მაღალი სტანდარტების მარეგულირებელი და ბიზნეს გარემო.”

„საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოები სარგებლობენ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მარტივი რეგისტრაციით, ელექტრონული მმართველობის სერვისების გაფართოებით, ფინანსებზე გამარტივებული წვდომით და RIA-ს უფრო სისტემური გამოყენებით“.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მცირე და საშუალო ბიზნესის პროგრესში ლიდერობის მიუხედავად, საქართველოს მაინც შეუძლია გაძლიეროს თავისი მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ჩარჩო - განსაკუთრებით სამეწარმეო და ციფრული უნარების განვითარების ხელშეწყობით, მომავალ ეროვნულ ციფრულ სტრატეგიაში მცირე და საშუალო ბიზნესის დიგიტალიზაციის ხელშეწყობით და საერთაშორისო სტანდარტებთან მარეგულირებელი ორგანოების შესაბამისობის უზრუნველყოფით.”

OECD, SME Policy Index of Eastern Partner Countries 2024

OECD-ის **„SME Policy Index 2024“**[8] წარმოადგენს 2012, 2016 და 2020 წლებში ჩატარებული კვლევების შემდგომ, კვლევის მე-4 რაუნდს. შეფასება მოიცავს 5 მიმართულებას და 12

[8] OECD, SME Policy Index: Eastern Partner Countries 2024 იხ. https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2023/12/sme-policy-index-eastern-partner-countries-2024_12e74bf3/3197420e-en.pdf

კომპონენტს, რომლებიც ფასდება 1-დან 5 ქულამდე. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია საქართველოსთვის კომპონენტების მიხედვით მინიჭებული ქულები.

დიაგრამა 1. OECD „SME Policy Index 2024“-ში საქართველოს ქულები კომპონენტების მიხედვით

OECD-ის ანგარიშის თანახმად, საქართველომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისადმი უფრო მეტად სტრატეგიული მიდგომითა და შესაბამისი მიზნობრივი ინიციატივების განხორციელებით შემდგომი პროგრესი განიცადა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის წარმატებული პოზიციონირება მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკის ეფექტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელიც ამავე დროს, მკაფიო გზავნილია საერთაშორისო ინვესტორებისა და ბიზნეს საზოგადოებისთვის, რათა მათ არჩევანი საქართველოზე გააკეთონ, როგორც სანდო და საიმედო პარტნიორზე, ქვეყანაზე, რომელსაც სტრატეგიულ დონეზე აქვს აყვანილი უწყვეტი ძალისხმევა ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს საქართველოს უპრეცედენტო წარმატება მსოფლიო ბანკის 2025 წლის „Business READY“ (B-READY) რეიტინგში. „B-READY“ კერძო სექტორის განვითარებისთვის, ბიზნეს გარემოს აფასებს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორებით. შეფასების თანახმად, საქართველომ მსოფლიო რეიტინგში **ლიდერი პოზიცია** დაიკავა და მსოფლიოს 101 ქვეყანას შორის მე-4 ადგილზეა კორეასთან, სინგაპურთან და ესტონეთთან ერთად. აღსანიშნავია, რომ B-READY-ის ინდიკატორები აერთიანებს კომპანიის სასიცოცხლო ციკლის სამივე ეტაპს: ბიზნესის დაწყება, ბიზნესის ოპერირება/გაფართოება და ბიზნესის დახურვა. აღნიშნული, თავის მხრივ, მოიცავს 10

ძირითად ინდიკატორს, რომელთაგან 6 ინდიკატორში საქართველო მსოფლიოს პირველ ათეულშია: საქართველო „დავების გადაწყვეტის“ ინდიკატორში მე-2 პოზიციაზეა, „ბიზნესის მდებარეობაში“ - მე-4, „შრომის“ ინდიკატორში - მე-7, „ბიზნესში შესვლის“ ინდიკატორში - მე-8, ხოლო „ფინანსური სერვისებისა“ და „გადასახადების“ ორივე ინდიკატორში, მე-9 პოზიციას იკავებს.

რეიტინგში თითოეული ინდიკატორი სამი ძირითადი მიმართულებით ფასდება, ესენია: „მარეგულირებელი ჩარჩო“, „საჯარო სერვისები“ და „ოპერაციულ ეფექტიანობა“. საქართველო „ოპერაციულ ეფექტიანობაში“ მსოფლიო რეიტინგში მე-2 ადგილს იკავებს, „მარეგულირებელი ჩარჩოს“ მხრივ ქვეყანა მე-15 ადგილზეა, ხოლო „საჯარო სერვისებში“ - მსოფლიოში მე-19 პოზიციაზეა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკში რეიტინგის შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელმა სავაჭრო პალატების მსოფლიო კონგრესზე (მელნბურნი, ავსტრალია, 2 სექტემბერი, 2025 წ.), რომელშიც 100-ზე მეტი ქვეყნის 1000-ზე მეტი ბიზნეს ლიდერი მონაწილეობდა, საქართველოს ძალისხმევა და მიღწეული შედეგი ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით, სამაგალითოდ დაასახელა.

„საქართველომ გადააჭარბა საკუთარ შესაძლებლობებს“, ასე შეაფასა რეიტინგის ჯგუფის დირექტორმა ნორმან ლოიაზამ საკუთარ გამოსვლაში საქართველო და აღნიშნა, რომ ეს მნიშვნელოვანი გზავნილია სხვა ქვეყნებისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის რეფორმების მხარდასაჭერად.

მსოფლიო ბანკი, 2025 წელი

მნიშვნელოვანია ასევე, **მსოფლიო ბანკის „საწარმოთა კვლევის“** შედეგები, რომლის მიხედვით, საქართველოში ბიზნეს გარემო თითქმის ყველა ასპექტში უმჯობესია, როგორც მსოფლიოს ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებთან, ასევე, ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან შედარებით. კვლევა მოიცავს კორუფციის დონის, რეგულაციებისა და გადასახადების, ასევე, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებლების შეფასებას. საყურადღებოა, რომ კვლევის თანახმად, კორუფციის სიღრმე, თუ საჯარო მომსახურების გაწევისას კომპანიების მოლოდინი ქრთამის გადახდასთან დაკავშირებით, საქართველოში ან ნულია, ან ნულთან ახლოსაა, რაც ხაზს უსვამს საქართველოში არსებულ ჯანსაღ ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს.

Fraser Institute-ის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების 2025“ რეიტინგში, რომელიც ქვეყანას 5 ინდიკატორით და 25 კომპონენტით აფასებს, მათ შორის, მთავრობის ზომას, ქვეყნის სამართლებრივ სისტემას, საკუთრების უფლების დაცვას, რეგულაციებს, საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლებას და სხვ. საქართველომ 7.69 ქულით **25-ე პოზიცია** (2024: 33-ე პოზიცია) დაიკავა 165 ქვეყანას შორის.

Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 2026“ თანახმად, რომელიც აფასებს 4 კომპონენტს (კანონის უზენაესობა, რეგულაციების ეფექტიანობა, მთავრობის მოცულობა და ღია ბაზარი) და 12 ქვეკომპონენტს, მათ შორის, ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს თავისუფლებას, საგადასახადო ტვირთს, შრომის თავისუფლებას, საკუთრების უფლების დაცვას, ფინანსურ და ვაჭრობის თავისუფლებას და სხვა. 2026 წელს, საქართველო 69.6 ქულით მსოფლიოს 184 ქვეყანას შორის **35-ე პოზიციაზეა** „ზომიერად თავისუფალი“ სტატუსით, ხოლო ევროპის რეგიონის 44 ქვეყანას შორის მე-20 პოზიციას იკავებს. საქართველოს საერთო ქულა აღემატება როგორც რეგიონის (68.9 ქულა), ასევე, მსოფლიოს საშუალო ქულას (59.9 ქულა).

საერთაშორისო გამჭვირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ თანახმად, 2025 წელს საქართველო 50 ქულით მსოფლიოს 182 ქვეყანას შორის **56-ე ადგილზეა,** ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის (EE&CA) ქვეყნებს შორის საქართველო კვლავ უპირობო ლიდერია და ბოლო წლების განმავლობაში რეგიონში **პირველ პოზიციას იკავებს** რეგიონის ქვეყნებთან მიმართებით, მნიშვნელოვნად მაღალი ქულითა და სარეიტინგო პოზიციით. საქართველოს ქულა მნიშვნელოვნად აღემატება როგორც რეგიონის საშუალო ქულას (34 ქულა), ასევე, მსოფლიოს საშუალო ქულას (42 ქულა).

მნიშვნელოვანი პოზიციები აქვს საქართველოს საერთაშორისო შემფასებელი ცენტრის, **Chandler Governance Institute-ის** 2026 წლის შეფასებით. კერძოდ, **„კარგი მთავრობის ინდექსში“** (Good Government Index) საქართველომ 133 ქვეყანას შორის **43-ე პოზიცია** დაიკავა. რეიტინგი მთავრობებს აფასებს 35 ინდიკატორით, რომელიც ერთიანდება შვიდ ფაქტორში: (1) ლიდერობა და განჭვრეტადობა, (2) ჯანსაღი კანონები და პოლიტიკა, (3) ძლიერი ინსტიტუტები, (4) ფინანსური მართვა, (5) მიმზიდველი ბაზარი, (6) გლობალური გავლენა და რეპუტაცია, (7) ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაში დახმარება. რეიტინგში საქართველომ მე-12 პოზიცია დაიკავა ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ასევე, საქართველოს მთავრობა მე-14 ადგილზე გავიდა გამჭვირვალობით, მე-20 ადგილზე - სტაბილური ბიზნეს რეგულაციებით, ხოლო ბიუროკრატიის ხარისხით, მსოფლიოს 133 ქვეყანას შორის, 25-ე ადგილი დაიკავა.

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

საერთაშორისო საშემფასებლო ორგანიზაციების შეფასებასა და რეიტინგებთან ერთად, აღსანიშნავია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ტენდენციები, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ასევე შეტანილი სტრატეგიის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევის მიზნით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას.

გლობალურად და რეგიონში გეოპოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად, საქართველო გონივრული ეკონომიკური პოლიტიკისა და მიმდინარე რეფორმების გზით, წარმატებით გაუმკლავდა საგარეო შოკებს და შეინარჩუნა მაკროეკონომიკური

სტაბილურობა. 2021-2022 წლებში, საქართველოში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. მომდევნო წლებშიც შენარჩუნდა დადებითი ტენდენცია და 2023 წელს, ეკონომიკური ზრდა 7.8%-ს გაუტოლდა, 2024 წელს - 9.7%-ს, ხოლო 2025 წელს, წინასწარი შეფასებით, საქართველოს ეკონომიკა - 7.5%-ით გაიზარდა. 2025 წელს მშპ-მ პირველად, 100 მილიარდ ლარს გადააჭარბა და 104.6 მლრდ. ლარი შეადგინა, ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე 28,2 ათას ლარს (10,3 ათასი დოლარი) გაუტოლდა. 2025 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით, ინფლაციის დონემ საქართველოში (12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან) 3.9% შეადგინა. 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი 4.9%-შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის პერიოდში ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებელი დაფიქსირდა, პოსტპანდემიურ პერიოდში, ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღების შედეგად, ინფლაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა.

რაც შეეხება ინვესტიციების მოცულობას, 2025 წლის ბოლოს, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1,688.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესში 884.4 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ინვესტიცია განხორციელდა, რომლის წილმა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 52.4% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება 2019 წლის როგორც ნომინალურ მაჩვენებელს (566.4 მლნ. აშშ დოლარი), ასევე, მის წილს (41.4%) მთლიან პირდაპირ უცხოური ინვესტიციებში.

2025 წლის ბოლოს, მოქმედ ბიზნესსუბიექტთა რაოდენობამ 300 ათასს გადაჭარბა, რაც 2019 წელთან შედარებით 82%-ით არის გაზრდილი. **ქვეყანაში აქტიური ბიზნესსუბიექტების უმრავლესობას მცირე და საშუალო ზომის საწარმოები წარმოადგენენ (99,7%).** უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად მიიჩნევა. ამასთან, ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის უზრუნველყოფის, დასაქმების ზრდისა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის მათ კონკურენტუნარიანობის ზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

2025 წლის 4 კვარტლის მონაცემებით, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ბრუნვის მოცულობამ 79,5 მლრდ. ლარი შეადგინა, გამოშვებამ - 52,0 მლრდ ლარი, ხოლო ამ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 491,5 ათას კაცს გაუტოლდა. მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა მიერ შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 2024 წლის მონაცემებით, 24,3 მლრდ. ლარი შეადგინა და ზრდა 2019 წლის საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებით, 20.1%-ს გაუტოლდა.

დიაგრამა 2. საწარმოთა როლი ქვეყნის ეკონომიკაში 2019-2024 წწ.



სტრატეგიის შესრულების შედეგები

ტექნიკურ დონეზე სტრატეგიის შესრულებას აქვს მაღალი მაჩვენებელი. კერძოდ, სტრატეგიის შესრულების საშუალო მაჩვენებელი 93%-ს შეადგენს. ამასთან, შეფასებული 42 ამოცანიდან, სრულად შესრულებულია 31 ამოცანა (74%), მეტწილად შესრულებულია 9 (22%), ნაწილობრივ შესრულებულია 1 ამოცანა (2%), ხოლო შეუსრულებელია 1 ამოცანა (2%).

მიზნების გავლენის ინდიკატორების შედეგები

რაც შეეხება, სტრატეგიის მიზნების, მათ ფარგლებში განსაზღვრულ პრიორიტეტული მიმართულებებისა და შესაბამისად, ამოცანების შესრულების შეფასების შედეგებს თითოეული გავლენის და ამოცანის შედეგის ინდიკატორების მიხედვით, აღნიშნული დეტალურად არის წარმოდგენილი „დანართისა და ცხრილების ქვეთავში" N1 და N2 ცხრილებში.

მიზანთან და მის შესაბამის ამოცანებთან დაკავშირებით მიღწეული პროგრესი

1 საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა შექმნისა და ფუნქციონირებისთვის ხელსაყრელი გარემოს არსებობა არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი შეფასებით დასტურდება. თუმცა, სტრატეგიის შემუშავების ეტაპზე სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე, გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც შემდგომ სრულყოფა/გაუმჯობესებას საჭიროებდა. შესაბამისად, **მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის და განვითარებისთვის შესაძლებლობების სივრცის შექმნა/გაფართოება, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად განისაზღვრა,** სრულ შესაბამისობაში იყო როგორც ქვეყნის, ასევე, ბენეფიციარების საჭიროებებთან.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშესაწყობად საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ოპერაციული გარემო მუდმივ გაუმჯობესებას/განვითარებას საჭიროებს, ზემოაღნიშნული მიზანი დღესაც აქტუალურია და სრულ შესაბამისობაშია ქვეყნისა და ბენეფიციარების საჭიროებებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული მიზნის მიღწევა გავლენას ახდენს მცირე და საშუალო საწარმოთა გამოშვებული პროდუქციის ზრდაზე. სწორედ აქედან გამომდინარე, მიზნის მიღწევის გავლენის ინდიკატორად განისაზღვრა მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ **გამოშვებული პროდუქციის ღირებულების ზრდა.** საბაზისო (2019 წ.) მაჩვენებელი 27,7 მლრდ. ლარს შეადგენდა, ხოლო SMEs მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 2025 წელს (4 კვარტლის მონაცემით) 52 მლრდ. ლარი შეადგინა. შესაბამისად, გავლენის ინდიკატორის მაჩვენებელმა დაგეგმილ 20%-იან ზრდას, მნიშვნელოვნად გადააჭარბა[9] და 87% შეადგინა, რასაც მიზნის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების (შესაბამისი აქტივობების განხორციელების გზით) წარმატებით შესრულებამ შეუწყო ხელი.

მიზნიდან გამომდინარე, პირველი პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების თაობაზე ინფორმაცია, რაც აფასებს ბენეფიციარებისა და ქვეყნის საჭიროებებთან შესაბამისობას, მათი მიღწევის ეფექტურობასა და განხორციელების გავლენას, ქვემოთ დეტალურად არის წარმოდგენილი.

[9] შენიშვნა: „საქსტატი“, ბიზნეს სექტორი, საწარმოთა ზომის მიხედვით პროდუქციის გამოშვების 2025 წლის კვარტალური მაჩვენებლები.

ამოცანა 1.1. ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *OECD „SME POLICY INDEX“ კვლევაში „ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩოს“ კომპონენტის ქულა.*
- *კანონმდებლობის ცვლილებისას ხორციელდება RIA SME ტესტი.*
- *საბაჟო კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და საბაჟო პროცედურები გამარტივებულია.*

✓ შესაბამისობა

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD), რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა და განვითარება, ევროპის განათლების ფონდთან (ETF) და IBRD-თან ერთად შეიმუშავა **„მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი“ (SME Policy Index)**.

აღნიშნული რეიტინგი, საქართველოს აღმოსავლეთ პარტნიორობის *(EaP)* ქვეყნებთან *(სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა)* ერთად აფასებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკის „ევროპის მცირე ბიზნესის აქტთან“ („Small Business Act for Europe”) შესაბამისობის თვალსაზრისით, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია - „უპირველესად იფიქრე მცირეზე“. OECD-ის „SME Policy Index 2024“[10] წარმოადგენს შეფასების მე-4 რაუნდს, 2012, 2016 და 2020 წლებში ჩატარებული კვლევების შემდგომ.

ინდექსი 5 მიმართულებას აერთიანებს, რომელიც 12 კომპონენტს მოიცავს, სადაც ერთ-ერთი კომპონენტია „ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემო“. აღნიშნული მიმართულება აფასებს ინსტიტუტებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ეროვნულ დონეზე მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის შემუშავებაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე.

აღსანიშნავია, რომ „ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემოს“ კომპონენტი ზომავს პროგრესს მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის შემუშავებისთვის კარგად ფუნქციონირებადი ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნის კუთხით, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობის რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტის გამოყენებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეგულირების ზეგავლენის ანალიზს (RIA) დიდი

[10] OECD, SME Policy Index: Eastern Partner Countries 2024
იხ. ბმული: https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2023/12/sme-policy-index-eastern-partner-countries-2024_12e74bf3/3197420e-en.pdf

პოტენციალი აქვს, რათა უზრუნველყოს გათვითცნობიერებული და უკეთესი კანონმდებლობის მიღების ხელშეწყობა. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის რეგულირების ხარჯების, სარგებლისა და სოციალური ზემოქმედების შეფასება კი საშუალებას აძლევს პოლიტიკის შემქმნელებს, მოარგონ რეგულაციები მცირე კომპანიების საჭიროებებს.

ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირის ქვეყნებში RIA SME ტესტი რეგულირების შემუშავების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად განიხილება. RIA SME ტესტი აანალიზებს ევროკავშირის საკანონმდებლო წინადადებების შესაძლო ეფექტებს მცირე და საშუალო ბიზნესზე. პოლიტიკის ვარიანტების ხარჯებისა და სარგებელის შეფასებით, ის ხელს უწყობს „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ პრინციპის განხორციელებას და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას.

სტრატეგიის ფარგლებში, სწორედ ამიტომ, ერთ-ერთ მიმართულებად განისაზღვრა ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) სისტემის, მათ შორის, RIA SME ტესტის შემდგომი განვითარება/ინსტიტუციონალიზაცია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, მომზადდა „მცირე და საშუალო ზომის საწარმოების რეგულირების ზეგავლენის შეფასების ტესტის მეთოდოლოგია“ (RIA SME Test).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება უზრუნველყოს საბაჟო კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან. შესაბამისად, აქტიურად ხორციელდება საქართველოში ევროკავშირის მსგავსი საბაჟო პროცედურების დანერგვის ხელშეწყობა, რაც შემდგომში კიდევ უფრო გაამარტივებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ საბაჟო პროცედურებს და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირის მეწარმეებისთვის ერთნაირ საბაჟო რეგულირების გარემოს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცალსახად ადასტურებს ამოცანის შესაბამისობას როგორც ქვეყნის (ეკონომიკის ინკლუზიურობის უზრუნველყოფა), ასევე, მცირე და საშუალო საწარმოების (ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზის არსებობა) საჭიროებებთან.

✓ ეფექტურობა

OECD-ის მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსის 2024 წლის რეიტინგში „BUILDING RESILIENCE IN CHALLENGING TIMES“ - აღნიშნულია, რომ „პოსტ COVID-ის სწრაფი ეკონომიკური აღდგენით, გლობალურად არის აღიარებული საქართველოს მაღალი სტანდარტების მარეგულირებელი და ბიზნეს გარემო.” ანგარიშში

აღნიშნულია, რომ „საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოები სარგებლობენ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მარტივი რეგისტრაციით, ელექტრონული მმართველობის სერვისების გაფართოებით, ფინანსებზე გამარტივებული წვდომით და RIA-ს უფრო სისტემური გამოყენებით“.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, „SME Policy Index“-ის მე-4 რაუნდის შეფასების შედეგებით, საქართველომ კვლავ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა. ქვეყანამ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ლიდერი პოზიცია შეინარჩუნა და 12-დან 11 კომპონენტში პირველი პოზიცია დაიკავა. თავის მხრივ, „ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემოს“ კომპონენტში საქართველოს შეფასებამ 4.37-ს ქულა[11] შეადგინა, რაც აღემატება საბაზისო მაჩვენებელს - 4.20 ქულას.

RIA SME ტესტის შემოღებით, პოლიტიკის შემუშავების ადრეულ ეტაპზე ხდება მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ინტერესებისა და მათი საჭიროებების გათვალისწინება. უნდა აღინიშნოს, რომ „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებულ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში, პირველად იქნა გამოყენებული RIA SME ტესტის მეთოდოლოგია, სადაც შერჩეული კრიტერიუმების საფუძველზე, შეფასდა ძირითადი გავლენები, როგორიცაა, საშუალო წლიური დანახარჯი ერთ საწარმოზე, საშუალო წლიური დანახარჯი ერთ დასაქმებულზე და საშუალო წლიური დანახარჯის პროცენტული წილი ბრუნვაში.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, საქართველოს აქვს ვალდებულება შიდა კანონმდებლობაში ასახოს საბაჟო სფეროს მარეგულირებელი დებულებები, რომლებიც მისი შინაარსიდან, მოცულობიდან და რეგულირების სფეროდან გამომდინარე, აისახება ცალკე ნორმატიულ აქტში, რაც შედეგად უზრუნველყოფს სტაბილურ და საიმედო ბიზნეს გარემოს. მნიშვნელოვანია, რომ ახალი სამართლებრივი აქტებით შენარჩუნდება ყველა პროცედურული გამარტივება, რაც საბაჟო ვალდებულებების ერთიან ადმინისტრირებას უკავშირდება.

სწორედ ამიტომ, საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-10 წიგნით დადგენილი საბაჟო ვალდებულებისაგან გათავისუფლების ახალი დებულებების იმპლემენტაციისთვის, მომზადებულია საბაჟო კოდექსის აღსრულებისათვის საჭირო ნორმატიული აქტების პროექტები.

✓ გავლენა

OECD-ის ანგარიშის თანახმად, საქართველომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისადმი უფრო მეტად სტრატეგიული მიდგომითა და შესაბამისი

[11] შენიშვნა: რეიტინგი მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით ქვეყნებს აფასებს 5 ბალიანი შკალით, 1-დან 5 ქულამდე, სადაც 5 ქულა საუკეთესოა.

მიზნობრივი ინიციატივების ეფექტიანი განხორციელებით, თვალსაჩინო პროგრესი განიცადა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მაღალი შეფასება აჩვენებს, რომ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესისთვის არსებობს ხელსაყრელი გარემო - რეგულაციების სიმარტივე, ნაკლები ბარიერები, გამჭვირვალე წესები და სტაბილური პოლიტიკა. OECD-ის რეიტინგში ქვეყნის დადებითი შეფასება კი არის ერთგვარი სიგნალი ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის.

როგორც აღინიშნა, „ფოსტის შესახებ“ რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში, პირველად იქნა გამოყენებული RIA SME ტესტის მეთოდოლოგია. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მომზადებულმა ზეგავლენის შეფასების ტესტმა უზრუნველყო მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერესების დაცვა და ხელშეწყობა.

ამდენად, RIA SME ტესტის მეთოდოლოგიის შემუშავებამ და შემოღებამ, გავლენა მოახდინა ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერესების დაცვის და არაპროპორციული ტვირთის დაწესების არიდების/შემსუბუქების მიმართულებით.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და შესაბამისად, საქართველოში ევროკავშირის მსგავსი საბაჟო პროცედურების დანერგვა, ამარტივებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ საბაჟო პროცედურებს, ქმნის საქართველოსა და ევროკავშირის მეწარმეებისთვის ერთნაირ საბაჟო რეგულირების გარემოს. შედეგად, იმპორტისა და ექსპორტის წესები უფრო პროგნოზირებადია, პროდუქციის კლასიფიკაცია, ტარიფები და კონტროლი შეესაბამება ევროპულ სისტემას, ყოველივე კი შესაბამის გავლენას ახდენს და ზრდის ქართველი მწარმოებლების ხელმისაწვდომობას და ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროპის ბაზარზე.

ამოცანა 1.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *გადამზადებული პერსონალი, ვინც ადასტურებს, რომ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას და უნარებს ყოველდღიურ მუშაობაში იყენებს.*
- *მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსება.*
- *შერჩეული სახელმწიფო პროგრამების გავლენის შეფასების განხორციელება.*

✓ შესაბამისობა

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერება მნიშვნელოვანია კერძო სექტორის განვითარებისა და

კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. სწორედ ამიტომ, ამოცანა აქტუალურია და შესაბამისობაშია მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტის საჭიროებებთან, განსაკუთრებით ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და პროგრამების გაუმჯობესების მიმართულებით. შესაბამის ინსტიტუციათა (სსიპ „აწარმოე საქართველოში“, სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“, ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“) მიერ განხორციელებული აქტივობები მიზანმიმართულად პასუხობს როგორც ინსტიტუციური გაძლიერების, ისე ბენეფიციარებზე მორგებული სერვისების მიწოდების საჭიროებას.

✓ ეფექტურობა

სააგენტოების სსიპ „აწარმოე საქართველოში“, სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ მიერ, ამოცანის ფარგლებში მიღწეული პროგრესი, როგორც საბიუჯეტო დაფინანსების ზრდის, ასევე, თანამშრომელთა გადამზადების მხრივ, მიუთითებს სახელმწიფო პროგრამების მაღალ ეფექტურობაზე - განხორციელებული აქტივობები (სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება, მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება და მათი შეფასება) პირდაპირ უკავშირდება დასახულ მიზნებს.

ხაზი უნდა გაესვას, რომ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ, 216 თანამშრომლის გადამზადება და მათგან 83%-ის მიერ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ადასტურებს აქტივობის შედეგიანობას. ანალოგიურ შეფასებას ექვემდებარება სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული ქმედებები. კვლევის შედეგებით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თანამშრომლების 81% ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს ტრენინგზე მიღებულ ცოდნას და უნარებს.

სააგენტოების მიერ ჩატარებულმა ტრენინგებმა, განსაზღვრული მიზნის ფარგლებში, ხელი შეუწყო თანამშრომელთა იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც მათ აძლევს შესაძლებლობას, მიღებული ცოდნა და უნარები გამოიყენონ ყოველდღიურ საქმიანობაში, წარმართონ საქმიანობა ეფექტიანად და უზრუნველყონ პროცესების მართვა.

2025 წლისთვის, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამების ბიუჯეტმა 180.3 მლნ. ლარი შეადგინა; სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ ბიუჯეტი 46.5 მლნ. ლარს გაუტოლდა; ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ ბიუჯეტმა სხვადასხვა პროექტების და პროგრამის ფარგლებში 269.2 მლნ. ლარი შეადგინა. ჯამურად, 2025 წლისთვის მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსებამ, 496.0 მლნ. ლარი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება როგორც საბაზისო, ასევე, სამიზნე მაჩვენებელსაც (სამიზნე - 237.7 მლნ. ლარი).

უნდა აღინიშნოს, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ შერჩეული სახელმწიფო პროგრამების ეკონომიკური გავლენის შეფასების განხორციელების საკითხის მნიშვნელობა. სააგენტოს მიერ მონაცემთა შეგროვების მიზნით განახლდა ბენეფიციართა კითხვარი ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ დანიურ პლატფორმა SurveyXact-ზე და დაეგზავნა აღნიშნული პროგრამების ბენეფიციარებს. განხორციელდა მიღებული მონაცემების გაწმენდა, დამუშავება და ანალიზი. ამასთანავე, განხორციელდა როგორც შიდა ბაზების, ისე ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი და შედეგების მიხედვით შეფასდა, რამდენად აღწევს სააგენტოს პროგრამები დასახულ მიზნებს.

ყოველწლიურად ხდება „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს 4 ძირითადი პროგრამის შეფასება. ამასთან, 2025 წელს, „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ განხორციელდა 6 პროგრამის გავლენის შეფასება.

- ✓ გავლენა

სააგენტოების - „აწარმოე საქართველოში“, „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“, „სოფლის განვითარების სააგენტო“ - მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა გააძლიერა მათი ინსტიტუციური შესაძლებლობები და გაუმჯობესა პროგრამების შესაბამისობა სამიზნე ჯგუფის საჭიროებებთან. მაგალითისთვის, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მხარდაჭერის პროგრამების ყოველწლიური შეფასება ქმნის სისტემური გაუმჯობესების საფუძველს, ხოლო მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსის მიმართვა მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერაზე, იძლევა დადებით ეფექტს სამიზნე ჯგუფზე.

საერთო ჯამში, ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები გამოირჩევა მაღალი შესაბამისობით, შედეგებზე ორიენტირებულობით და პოზიტიური გავლენით როგორც ინსტიტუციურ განვითარებაზე, ისე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე.

ამოცანა 1.3. მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *მიმართულების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო მეწარმეობის დეტალური სტატისტიკა.*

- ✓ შესაბამისობა

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სრულყოფილი სტატისტიკური აღრიცხვა.

სტრატეგიის შემუშავებამდე, მიუხედავად ბოლო წლებში ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, რომლებიც მოიცავდა მცირე და საშუალო საწარმოების განმარტების ცვლილებასა და მის დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე, რიგი მიმართულებებით სტატისტიკის წარმოებისას მცირე და საშუალო ზომის საწარმოების გამოყოფას, არსებობდა მთელი რიგი მიმართულებები, სადაც სტატისტიკის წარმოება საწარმოთა ზომის მიხედვით არ ხდებოდა. კერძოდ, ეს მიმართულებები იყო მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის წარმოების, სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის გაუმჯობესების, გენდერულ ჭრილში ბიზნეს სტატისტიკის საწარმოთა ზომის მიხედვით წარმოების, ICT-ის სფეროში საწარმოთა ზომის მიხედვით სტატისტიკის წარმოების, ექსპორტზე მოვაჭრე, მათ შორის დამწყები ექსპორტიორების რაოდენობის შესახებ საწარმოთა ზომების მიხედვით სტატისტიკის წარმოება და სხვა. აღნიშნული მნიშვნელოვნად აფერხებდა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების დინამიკის შეფასებას, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა კოვიდ პანდემიით მიყენებული ზიანის შეფასებისას.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთ-ერთ ამოცანად განისაზღვრა მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება, რომელიც სრულ შესაბამისობაში იყო როგორც ქვეყნის (მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების დინამიკის ყოვლიმომცველი შეფასება), ასევე SME-ის საჭიროებებთან.

✓ ეფექტურობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) რეგულარულად, დროულად, დეტალიზებულად და შედარებად ფორმატში აწარმოებს მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) მაღალი სანდოობის სტატისტიკას, რომელიც შეესაბამება EUROSTAT-ის სტანდარტებს. შესაფასებელ პერიოდში (2021-2025 წწ), ამ კუთხით განხორციელებულმა ქმედებებმა მომხმარებელთათვის სტატისტიკურ მაჩვენებლებზე ხელმისაწვდომობა გააუმჯობესა და შესაბამისად, ამოცანის შედეგების ეფექტურობა უზრუნველყო.

აღნიშნულ პერიოდში, საქსტატმა უზრუნველყო დამატებითი მაჩვენებლების წარმოება და საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსება. კერძოდ, სხვადასხვა ჭრილში, დამატებითი ცხრილების სახით, მათ შორის, საწარმოთა ზომის მიხედვით, განთავსდა შემდეგი ინფორმაცია - ფიქსირებული აქტივები, მოგება, ზარალი, შრომის მწარმოებლურობა, სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის პორტალზე რეგისტრირებული და აქტიური სუბიექტების მონაცემები და საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევის

ძირითადი მაჩვენებლები.

საყურადღებოა, რომ საქსტატის საქმიანობა საერთაშორისო დონეზეა აღიარებული, რაც აისახება საქართველოს ძლიერ პოზიციებში გლობალურ სტატისტიკურ და მონაცემთა გამჭვირვალობის რეიტინგებში, ასევე წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურ თანამშრომლობაში.

ამ მხრივ აღსანიშნავია ორგანიზაცია „Open Data Watch"-ის ღია მონაცემთა აღწერის (Open Data Inventory – ODIN) რიგით მეშვიდე ანგარიში, რომელშიც სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით (მათ შორის, რამდენად სრულყოფილია ქვეყნის სტატისტიკური მონაცემები და შეესაბამება თუ არა ისინი მონაცემთა ღიაობის საერთაშორისო სტანდარტებს), მსოფლიოს ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკის სამსახურების შეფასებაა წარმოდგენილი. 2024/2025 წელს, რეიტინგში საქართველოს სტატისტიკის სისტემა 75 ქულით შეფასდა და საქართველომ მსოფლიოს 198 ქვეყნას შორის 33-ე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, ასევე, ორგანიზაცია „Open Data Watch"-ის გენდერული სტატისტიკის მონაცემთა შეფასების 2024 წლის ანგარიში (Gender Data Compass Assessment), რომელშიც წარმოდგენილია მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგი გენდერული სტატისტიკის მონაცემთა წარმოების, ხელმისაწვდომობისა და ღიაობის თვალსაზრისით. შეფასების თანახმად, საქართველო მსოფლიო მასშტაბით 185 ქვეყნას შორის მე-5 ადგილს იკავებს.

საყურადღებოა ისიც, რომ 2025 წელს მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა „Statistical Performance Indicators" (SPI), რომელიც მსოფლიოს ქვეყნების ეროვნული სტატისტიკური სისტემების შეფასებას წარმოადგენს. SPI-ის შეფასების მიხედვით, საქართველოს ეროვნულმა სტატისტიკურმა სისტემამ 87.7 ქულა მიიღო და მსოფლიოს 217 ქვეყანას შორის 32-ე ადგილი დაიკავა.

✓ გავლენა

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) რეგულარულად, დროულად, დეტალიზებულად და შედარებად ფორმატში აწარმოებს მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) სტატისტიკას, რომელიც შეესაბამება EUROSTAT-ის სტანდარტებს.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება, აგრეთვე მისი მონიტორინგისა და შეფასების პროცესები, ეფუძნება ამ ოფიციალურ სტატისტიკას, რაც უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, მდგრადი და გრძელვადიანი საჯარო პოლიტიკის განვითარებას. შესაბამისად, ცალსახაა მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესების გავლენა ამ საწარმოების განვითარების დინამიკის ყოვლისმომცველი შეფასების უზრუნველყოფისა და აღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება/განხორციელების მიმართულებით.

ამოცანა 1.4. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ზრდა.*
- *ტრენინგები კონკურენციის კანონმდებლობაზე.*
- *კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა.*

✓ შესაბამისობა

სსიპ „კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო“, მისთვის მინიჭებული მანდანტის ფარგლებში, უზრუნველყოფს კონკურენციის პოლიტიკის განხორციელებას, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნას, დაცვასა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობას, გამოვლენასა და აღკვეთას. სააგენტო, ასევე, უზრუნველყოფს ბაზარზე ეკონომიკური აგენტების თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების არსებობას, ახორციელებს ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების გამოვლენას და აღმოფხვრას. სააგენტოს მიზანია, რომ დაცული იყოს ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპი და მიღწეულ იქნეს კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა.

ზოგადად, კონკურენციის პოლიტიკის მიზანია ბაზრის ეფექტიანობის ზრდა, რადგან თავისუფალი ბაზარი გრძელვადიან პერსპექტივაში, სწორედ რომ ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ყოველივე კი ხელს უწყობს ეკონომიკაში ახალი სუბიექტების გაჩენას. თავის მხრივ, ახალი სუბიექტების გაჩენა დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან, მათ შორის ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა კაპიტალის ხელმისაწვდომობა, ფისკალური პოლიტიკა და ა.შ. ამ ფაქტორებიდან ერთ-ერთს წარმოადგენს, ასევე, ბაზარზე შესვლის ხელოვნური ბარიერების არარსებობა, რასაც საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო საკუთარი მანდატის გამოყენებით უზრუნველყოფს.

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო კომპონენტი და ცნობიერების ამაღლება მოქმედებს როგორც მძლავრი პრევენციული ინსტრუმენტი, რომელიც იცავს ბიზნესს უნებლიე სანქციებისგან და უნვითარებს მათ უნარს, ამოიცნონ და რეაგირება მოახდინონ ბაზარზე არსებულ არაკეთილსინდისიერ ქმედებებზე. ამასთან, „კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს“ მიერ სამიზნე აუდიტორიის დივერსიფიცირება (ბიზნეს სექტორი, სასამართლო ხელისუფლება, მოწყვლადი ჯგუფები და სხვადასხვა

სამიზნე აუდიტორია) და მათთან სამუშაო შეხვედრების, სასწავლო სემინარების, მრგვალი მაგიდებისა და ტრენინგების ჩატარება, სრულად პასუხობს ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების საჭიროებებს.

✓ ეფექტურობა

ცხადია, ეკონომიკაში ახალი ბიზნესების გაჩენას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. თავის მხრივ, სასაქონლო ან/და მომსახურების ბაზრებზე ახალი სუბიექტების შესვლის თვალსაზრისით, კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, შესაძლებლობა აქვს შეაფასოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტი, ex-post ზეგავლენის შეფასების განხორციელების გზით.

2023 წელს, „კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს“ მიერ დამტკიცდა ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის გზამკვლევი „სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასებისა და განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შესახებ“[12]. სააგენტოს გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების მიზანია, გამოკვლეულ იქნას ამგვარი ქმედების ზეგავლენის შინაარსი და მასშტაბები შესაბამისი ბაზრის კონკურენტული გარემოს მიმართ, ასევე, მიაღწია თუ არა მიზანს სააგენტოს მის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ. აღნიშნული შეფასების პროცესის მიზანია დადგინდეს, რამდენად დადებითი ეფექტი ჰქონდა სააგენტოს გადაწყვეტილებას იმ კონკრეტული ბაზრის მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც იქნა მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ იმისათვის, რათა განხორციელდეს სააგენტოს ჩარევის ზეგავლენის შეფასება, რამდენიმე პირობის არსებობაა აუცილებელი, ერთ-ერთს კი წარმოადგენს სააგენტოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომლის შემდეგაც, ეკონომიკური აგენტ(ებ)ისთვის სააგენტოს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო ხდება.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას მოახდინოს სააგენტოს გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლი მყისიერად, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე. აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ შეაფასა მისი ერთ-ერთი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, კერძოდ, სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი და აღნიშნულ საკითხზე მოამზადა ex-post მონიტორინგის ანგარიში. სააგენტომ ამ ბაზარზე გამოავლინა არაკონკურენტული სატენდერო პირობების დაწესებით ბაზრის შეზღუდვის ფაქტი. ზეგავლენის ანგარიშმა კი დაადასტურა, რომ სააგენტოს გადაწყვეტილებისა და გაცემული რეკომენდაციების

[12] იხ. ბმული: https://gcca.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/phpP7ceXL.pdf

შემდეგ, სახელმწიფო შემსყიდველმა ორგანიზაციებმა სრულად უზრუნველყვეს სატენდერო პირობების ფორმირებისას კონკურენციის პრინციპების დაცვა და მსგავსი ადმინისტრაციული ბარიერების გამოყენებას ადგილი აღარ ჰქონია.

„კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს“ მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების აქტივობები ხასიათდება სტაბილურად მზარდი რაოდენობრივი დინამიკითა და სამიზნე აუდიტორიის დივერსიფიკაციით. 2021-2025 წლებში, კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებით, სააგენტოს ორგანიზებითა და სახელმწიფო უწყებებისა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციისა მხარდაჭერით, გაიმართა 74 ტრენინგი/ღონისძიება და 2 კონფერენცია. აღნიშნული ღონისძიებები განკუთვნილი იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის, ვაჭრობის სექტორში ჩართული მოქალაქეებისთვის, მოწყვლადი მომხმარებლებისთვის (მათ შორის, შშმ პირებისთვის, ეთნიკური უმცირესობებისთვის), სტუდენტებისთვის, მოსამართლეებისთვის, ბიზნეს ასოციაციებისთვის და ა.შ.

მიზნობრივი შეხვედრების პარალელურად, უზრუნველყოფილი იქნა საერთაშორისო პლატფორმების განვითარება. 2021-2025 წლებში სააგენტოს თანაორგანიზებით ჩატარდა 4 მასშტაბური საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები (ბიზნესი, სახელმწიფო ხელისუფლება, აკადემია), ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

✓ გავლენა

„საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების შედეგად პირდაპირ დადგინდა, რომ სააგენტოს ჩარევამ შესაბამისი გავლენა იქონია და უზრუნველყო ბაზარზე მანამდე არსებული იმ ხელოვნური ბარიერების სრულად აღმოფხვრა, რომლებსაც შემსყიდველი ორგანიზაციები ადგენდნენ შესვლით დაინტერესებული ახალი ეკონომიკური აგენტების (სუბიექტების) მიმართ[13].

საგანმანათლებლო და საინფორმაციო აქტივობებმა მიზნობრივი გავლენა მოახდინა სამიზნე ჯგუფებზე. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბიზნეს სექტორისა და საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე. სასამართლო სისტემასთან, მეწარმეებსა და ფართო აუდიტორიასთან სისტემატური თანამშრომლობა დადებითად აისახება ქვეყანაში კონკურენციის კულტურის განვითარებაზე, რაც, თავის მხრივ, ქმნის

[13] „საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში“, ოქტომბერი, 2024წ.;
იხ. ბმული: https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpoe6anU.pdf

მნიშვნელოვან წინაპირობას ბაზარზე კეთილსინდისიერი პრაქტიკის დასამკვიდრებლად და სააგენტოს საქმიანობის მიმართ ნდობის გასამყარებლად.

სააგენტოს გადაწყვეტილებებს შრომის ბაზარზე აქვს მეორეული, არაპირდაპირი გავლენა, თუმცა კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა სტრატეგიულად უწყობს ხელს ეკონომიკურ აქტივობას, რაც თავის მხრივ, ირიბად აისახება დასაქმების მაჩვენებლებზეც.

ამოცანა 1.5. ბიზნეს დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *არბიტრაჟის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად.*
- *მედიაციის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად.*
- *ბიზნესომბუდსმენისადმი მომართვების რაოდენობა.*

✓ შესაბამისობა

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება საქართველოს ავალდებულებს განავითაროს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, განსაკუთრებით კი, მედიაცია და არბიტრაჟი და შექმნას მათი გამოყენებისთვის ხელსაყრელი პირობები.

აღსანიშნავია, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმები (ADR) მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვანი შემავსებელი ელემენტია. ADR-ის მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა არბიტრაჟი და მედიაცია, ხელს უწყობს სასამართლოში საქმეთა ნაკადის შემცირებას და ხელშეკრულებათა უფრო სწრაფ და ნაკლებხარჯიან აღსრულებას. შედეგად, ADR-ის განვითარება, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ქვეყანაში მართლმსაჯულებაზე წვდომას.

კერძო სექტორისთვის სწრაფი, ეფექტიანი და სანდო დავების გადაწყვეტის მექანიზმების არსებობა, სტაბილური ბიზნეს გარემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კომერციული დავების ეფექტიან მართვას, რაც ხელს უწყობს ინვესტორთა ნდობის ზრდასა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას.

საქართველოს არბიტრთა ასოციაციის (GAA) მიზანია არბიტრაჟის, როგორც დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეფექტიანი მექანიზმის შესახებ ცნობადობის და მისდამი ნდობის ამაღლება საზოგადოებაში. ასოციაცია უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედ არბიტრთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მათი პროფესიული სტანდარტის უზრუნველყოფას, პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრებას, საქართველოში

არბიტრაჟის გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობას საკანონმდებლო და სხვადასხვა სახის ინიციატივების განხორციელების გზით. შეფასების პერიოდში (2021-2025 წწ.) არბიტრთა ასოციაციის პრაქტიკოსები მონაწილეობდნენ საარბიტრაჟო დავების განხილვის პროცესში, რომელიც გამომდინარეობდა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომლებიც დაკავშირებული იყო საზოგადოებების კორპორატიულ საკითხებთან, საერთაშორისო ნასყიდობასთან, მომსახურებასთან და სხვა საკითხებთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, როგორც წესი, საბოლოოა და მისი, სასამართლოს მიერ, არსებითი გადახედვა არ ხდება.

მედიაცია დავების მოგვარების ერთ-ერთი მეთოდია, რომლის დროსაც მიუკერძოებელი მხარე (მედიატორი) მოდავე მხარეებს ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევაში ეხმარება. სასამართლო მედიაციის მიზანია ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობის გაზრდას და თავის მხრივ, სასამართლოს მაქსიმალურად განტვირთვას ისეთი დავებისაგან, რომლებსაც აქვთ ურთიერთშეთანხმებით დასრულების პერსპექტივა. მედიაციის გზით მიღწეული მორიგება სავალდებულოა და ექვემდებარება როგორც ნებაყოფლობით, ისე სასამართლოს წესით აღსრულებას. სასამართლოში საქმის წარმოებასთან შედარებით, მედიაცია უფრო სწრაფი, იაფი და მოქნილი პროცესია.

ბიზნესომბუდსმენი, კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობდა საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტს და კანონით დადგენილი წესით ხელს უწყობდა პირის დარღვეული უფლებების აღდგენას.

ბიზნესომბუდსმენი პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ახორციელებდა ინდივიდუალურ და ერთობლივ განცხადებებზე რეაგირებით, საქართველოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში ხარვეზების გამოვლენით და საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებით.

ამრიგად, ამოცანის აქტუალურობა და შესაბამისობა დასტურდება, როგორც ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით საქართველოსადმი განსაზღვრული ვალდებულების შესრულების, ასევე, სტრატეგიის შემუშავების ეტაპზე სიტუაციური ანალიზის ფარგლებში გამოვლენილი საჭიროებით.

✓ ეფექტურობა

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სემინარები, ვორქშოპები, საერთაშორისო

კონფერენციები და საგანმანათლებლო კურსები. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ იურისტები, არბიტრები, ადვოკატები, სტუდენტები და ბიზნესის წარმომადგენლები. ასევე, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი (GIAC) აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო პროფესიულ ღონისძიებებში, მათ შორის პარიზისა და ბაქოს საარბიტრაჟო კვირეულებში.

2021-2025 წლებში საარბიტრაჟო წესით გადაწყვეტილი დავები გამომდინარეობდა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომლებიც დაკავშირებული იყო საზოგადოებების კორპორატიულ საკითხებთან, სამშენებლო, ყიდვა-გაყიდვის, სამრეწველო, საფინანსო, მომსახურების და გადაზიდვის სფეროებთან. დავების სუბიექტთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენდნენ იურიდიული პირები. განხილული დავების თითქმის ნახევარში მონაწილეობდა უცხო ქვეყნის იურიდიული პირი.

აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო ცენტრში დაინერგა დისტანციური განხილვის წესები და პროტოკოლი, რომლითაც ცენტრმა შეძლო ეფექტურად და მოქნილად მოეხდინა დავების ადმინისტრირება, დამატებითი ბარიერების გარეშე. დავების განხილვის დისტანციურმა მეთოდმა გაზარდა მოდავე მხარეთა კმაყოფილება და ნდობა საარბიტრაჟო პროცესის განხილვის მიმართ. 2021-2025 წლებში, საარბიტრაჟო ცენტრის მიერ დასრულებული იქნა 27 დავა, რომელთაგან 45% მცირე და საშუალო საწარმოებს უკავშირდება. ზოგადად, დავები დაკავშირებული იყო კორპორაციულ საკითხებთან, საერთაშორისო ნასყიდობასთან და მომსახურებასთან. მნიშვნელოვანია, რომ დავების ნაწილი საერთაშორისო ხასიათის იყო, რაც მიუთითებს საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის მიმართ ნდობის ზრდასა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და მიზნად ისახავს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული დავების სახეებს. მოსამართლეს საქმეში არსებული გარემოებების შეფასების შემდგომ, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას დავის საქმის მედიატორისთვის გადაცემის შესახებ. სასამართლო მედიაციის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის საფასური დავის საგნის ღირებულების 1%-ს შეადგენს (ნაცვლად 3%-ისა), ხოლო დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მოსარჩელეს უბრუნდება გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ყოველივე კი მნივნელოვნად ზრდის სასამართლო მედიაციის ეფექტიანობას, მოქნილობასა და დროის მცირე პერიოდში დავების დასრულების შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის ბოლოსთვის საქართველოს მასშტაბით სასამართლო მედიაცია სავალდებულო სახით დანერგილი იყო მხოლოდ თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებსა და მცხეთის რაიონულ სასამართლოში. 2021-2025 წლებში

კი, საქართველოს მასშტაბით სასამართლო მედიაცია სავალდებულო სახით დაინერგა კიდევ 16 საქალაქო/რაიონულ სასამართლოში. ჯამში 2025 წლის ბოლოსთვის, საქართველოს მასშტაბით 19 სასამართლო მედიაცია ფუნქციონირებდა.

2021-2025 წლებში სასამართლო მედიაციებს ჯამში გადაეცა 1,472 საქმე. აღნიშნულ პერიოდში დასრულებული საქმეების რაოდენობამ 1,262 შეადგინა (საბაზისო მაჩვენებელი - 150 საქმე, 2025 წლისთვის სამიზნე მაჩვენებელი - 345 საქმე), რომელთა 27.8% (351 საქმე) მორიგებით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ყველა სასამართლო მედიაცია კანონმდებლობით გათვალისწინებულ 45 დღიან ვადაში დასრულდა.

„მედიაციის შესახებ“ კანონის მიღებამ და სასამართლო მედიაციის ამოქმედებამ, ერთის მხრივ, უზრუნველყო საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, ხოლო მეორეს მხრივ, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შემოღებამ, ხელი შეუწყო სამოქალაქო დავების სიმრავლით გადატვირთული სასამართლოების განტვირთვას და საქმეების კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას. ამდენად, სასამართლო მედიაციის ქვეყნის მასშტაბით ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების მდგრადობასა და ეფექტურობას.

2021-2025 წლებში, ბიზნესომბუდსმენის აპარატმა განიხილა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტები, მოამზადა სამართლებრივი დასკვნები, შუამდგომლობები, გასცა რეკომენდაციები, მონაწილეობა მიიღო საკანონმდებლო აქტებთან დაკავშირებით RIA-ს ანგარიშის მომზადებაში. 2025 წელს, ბიზნესომბუდსმენისადმი მიმართვების რაოდენობამ 225 შეადგინა, მათ შორის, 80%-ზე მეტი მცირე ბიზნესზე მოდის. საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (1,253 მომართვა), მომართვების რაოდენობა 82%-ით შემცირდა, რითაც მიღწეული იქნა სამიზნე მაჩვენებელი.

✓ გავლენა

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების დანერგვის მიმართულებით განხორციელებულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო ბიზნეს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების პოპულარიზაციას, ბიზნესგარემოს სტაბილურობის გაძლიერებასა და სამართლებრივი მექანიზმებისადმი ნდობის ზრდას. საერთაშორისო დავების ადმინისტრირება დადებითად აისახება ქვეყნის საინვესტიციო იმიჯზეც.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს მსოფლიო ბანკის რეიტინგი „ბიზნესისთვის მზაობა“ (B-READY), რომელიც ბიზნესის ოპერირებისა და გაფართოების მიმართულებით, ერთ-ერთ ინდიკატორად, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების (ADR) საკითხს აფასებს.

„კომერციული დავების დროულად და სამართლიანად გადაწყვეტის შესაძლებლობა იწვევს დადებით ეკონომიკური შედეგებს კერძო სექტორში, დაწყებული მეწარმეობის

ზრდით, ახალი ინვესტიციების მოზიდვით, დამთავრებული მაკროეკონომიკური სტაბილურობით“[14]. ჯანსაღი ბიზნეს გარემოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყანაში დავების გადაწყვეტა ეფექტურად და ხარისხიანად ხორციელდებოდეს. დავების გადაჭრისთვის, დროისა და ხარჯების თვალსაზრისით, ეფექტური მექანიზმების არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ზედმეტად ხანგრძლივმა და ძვირადღირებულმა სამართალწარმოებამ შეიძლება ხელი შეუშალოს საქმის ფორმალურ ინსტიტუტებში წარდგენას. დადგენილია, რომ არსებობს მნიშვნელოვანი კორელაცია სასამართლო ეფექტურობასა და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობას შორის.

მსოფლიო ბანკის „ბიზნესისთვის მზაობის“ რეიტინგი დავების გადაწყვეტის საკითხს აფასებს, როგორც სასამართლო პროცესებთან, ასევე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებთან მიმართებით. რეიტინგი აფასებს დავების გადაწყვეტის სერვისებთან დაკავშირებულ მომსახურებას, ზომავს დავის გადაწყვეტის სანდოობას, დავის გადასაჭრელად საჭირო დროსა და ხარჯებს, ასევე გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ დროსა და ხარჯებს.

მსოფლიო ბანკის „B-READY“ 2025 ანგარიშის მიხედვით, საქართველო მსოფლიო რეიტინგში 101 ქვეყანას შორის მე-4 პოზიციას იკავებს, ხოლო „დავების გადაწყვეტის“ ინდიკატორში მე-2 ადგილზეა, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების კომპონენტში ერთ-ერთი მაღალი შეფასება აქვს, კერძოდ, მაქსიმალური 33.33 ქულიდან ქვეყანას 28.48 ქულა აქვს მინიჭებული, მათ შორის 13.77 ქულა - არბიტრაჟის მიმართულებით, ხოლო 14.71 ქულა - მედიაციის მიმართულებით.

რეიტინგი არბიტრაჟის და მედიაციის შეფასებას შემდეგი მიმართულებით ახორციელებს: ღიაობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, გადაწყვეტილებების აღიარება და აღსრულება, სერვისების ხელმისაწვდომობა, საქმეების რაოდენობა, დიგიტალიზაცია, გამჭვირვალობა, კომერციული დავების გადაწყვეტის საიმედოობა და სხვა.

ხაზი უნდა გაესვას, რომ აღნიშნული რეიტინგის შეფასება ეფუძნება საჯარო და კერძო სექტორის მიერ შევსებულ კითხვარებს. რეიტინგის შეფასება, ასევე, ეფუძნება მსოფლიო ბანკის „საწარმოთა კვლევის“ შედეგებს, რომელიც უშუალოდ კერძო სექტორის აღქმებს სწავლობს. უმნიშვნელოვანესია, რომ სწორედ კერძო სექტორის მხრიდან ფასდება დადებითად ქვეყანაში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების ეფექტიანობა, სანდოობა და გამჭვირვალობა, რაც უშუალოდ აისახება ბიზნეს პროცესებზე, ამცირებს დავებთან დაკავშირებულ დროსა და ღირებულებას.

[14] მსოფლიო ბანკის რეიტინგი „B-READY“, 2025 წ.;
იხ. ბმული: https://www.worldbank.org/en/businessready/methodology#tabs-b10aa00388-item-d8ca980710-tab

ამდენად, მსოფლიო ბანკის რეიტინგში საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესი არაერთი მიმართულებით, მათ შორის დავების სამართლებრივი გზით მოგვარების საკითხში, ნათლად ადასტურებს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების წარმატებას და შედეგად, ქვეყნის მიერ მიღწეულ პროგრესს.

ამოცანა 1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა MY.GOV.GE-ზე.*
- *მომხმარებელთა პროცენტული წილი, რომელთაც ელექტრონული სერვისი მიიჩნიეს 1) სასარგებლოდ, 2) მარტივად მოსახმარად.*
- *მომხმარებლების მიერ ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა მთლიან განცხადებებში.*

✓ შესაბამისობა

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, მომხმარებლების მოთხოვნა სწრაფ და დისტანციურ მომსახურებაზე ყოველდღიურად იზრდება, სწორედ ამიტომ, აღნიშნული საკითხი პრიორიტეტულ მიმართულებად არის განსაზღვრული სამთავრობო პოლიტიკის სხვადასხვა დოკუმენტში.

სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხელს უწყობს საჯარო სერვისების უფრო სწრაფ, გამჭვირვალე და ეფექტიან მიწოდებას როგორც მოქალაქეებისთვის, ისე ბიზნესისთვის. ციფრული სერვისები ამცირებს ბიუროკრატიულ ბარიერებს, დროსა და ფინანსურ ხარჯებს, ზრდის სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობას და აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. ამასთან, ციფრული სერვისების ხელმისაწვდომობა ამცირებს გეოგრაფიულ და ფიზიკურ ბარიერებს, ხელს უწყობს სერვისების ადაპტაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისა და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რადგან მათ შეუძლიათ დისტანციურად მიიღონ სხვადასხვა მომსახურება, რაც ზრდის ინკლუზიურობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ვიდეო გიდებისა და მომხმარებლის სახელმძღვანელოების შექმნა. აღნიშნული წარმოადგენს მიზნობრივ და დროულ რეაგირებას იმ გამოწვევაზე, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონული სერვისების გამოყენების სირთულესთან ან ინფორმაციის ნაკლებობასთან. აღსანიშნავია, ასევე, გადასახადის გადამხდელებისთვის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა, მომსახურების პროცესების გამარტივება და დისტანციური არხების გამოყენების

წახალისება, რომელიც საქართველოს შემოსავლების სამსახურის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

ამგვარად, დღეს ელექტრონული სერვისების განვითარება თანამედროვე სახელმწიფო მართვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება. ამოცანა მაღალი ხარისხით პასუხობს როგორც ბენეფიციართა საჭიროებებს, ისე სახელმწიფო მმართველობის თანამედროვე პრიორიტეტებს. ციფრული ტრანსფორმაცია, ტექნოლოგიური პროგრესი და მოქალაქეების მზარდი მოთხოვნა სწრაფ და მოქნილ მომსახურებაზე, განაპირობებს ამ მიზნების მუდმივ აქტუალობას.

✓ ეფექტურობა

სტრატეგიის განხორციელების პერიოდში, ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე - MY.GOV.GE, საჯარო სერვისების ინტეგრაციის პროცესი აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა.

2025 წლისთვის, MY.GOV.GE-ზე მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა 40-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 10-ით ნაკლებია (აღნიშნული შემცირება ერთი მხრივ გამოწვეული იყო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების, ხოლო მეორე მხრივ, პორტალ MY.GOV.GE-ის ტექნიკური განახლების გამო), სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ მიერ დაწყებულია და ეტაპობრივად მიმდინარეობს 2023 წელს გათიშული სერვისების აღდგენა/ოპტიმიზაცია და ინტეგრაცია პორტალზე. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანის შესრულების პროცესში, ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების დეფიციტი.

სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ დაკვეთით, კვლევითი კომპანია „ACT“-ის მიერ ჩატარდა კვლევა - „სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება“. კვლევის თანახმად, პორტალ MY.GOV.GE-ის სერვისებით სარგებლობის გამოცდილების მქონე რესპონდენტთაგან, 93% „კმაყოფილი/ძალიან კმაყოფილია“ პორტალით. კმაყოფილების მაჩვენებელი მაღალია პორტალით მოსარგებლეთა შორის ყველა სამიზნე ქალაქში, სადაც „კმაყოფილი/ძალიან კმაყოფილია“ სერვისით მოსარგებლე 10-დან 9 რესპონდენტი. ასეთივე სურათია პორტალისადმი ნდობის თვალსაზრისითაც. კერძოდ, პორტალის სერვისებით მოსარგებლეთა აბსოლუტური უმრავლესობა - 96% ენდობა/ძალიან ენდობა პორტალს და ეს მაჩვენებელი მაღალია ყველა ქალაქში.

რაც შეეხება მომხმარებლების მიერ ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობას მთლიან განცხადებებში, აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან ინდიკატორს, რომელიც ასახავს სახელმწიფო ელექტრონული სერვისების გამოყენების დონესა და ციფრული ტრანსფორმაციის ეფექტიანობას. ამ

მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებიდან ერთ-ერთია შემოსავლების სამსახურის სერვისების ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმების შემუშავება, რაც ემსახურება როგორც ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებას, ისე მოქალაქეთა და ბიზნესის დროისა და რესურსების დაზოგვას. ღონისძიების მხარდამჭერ აქტივობას წარმოადგენდა ელექტრონული სერვისების გამოყენების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ვიდეო გიდებისა და მომხმარებლის დამატებითი სახელმძღვანელოების შემუშავება. 472 იდენტიფიცირებული სერვისიდან ამ ეტაპისთვის სერვისების 86%-ზეა მომზადებული შესაბამისი ვიდეო გიდები და სახელმძღვანელოები.

ყოველწლიურად, ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების წილი მზარდია. მათ შორის, 2025 წელს ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 16%-ით გაიზარდა და 1,563,162 განცხადება შეადგინა. საბაზისო, 2019 წლის, ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებით კი ზრდამ 158% შეადგინა. ამასთან, გადასახადის გადამხდელთა მიერ უშუალოდ დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობამ შეადგინა 1,328,646, რაც მთლიანი ელექტრონული განცხადებების 85%-ია და წინა წელთან შედარებით 12.4%-ით მეტია.

მაჩვენებლები მიუთითებს, რომ ელექტრონული არხების გამოყენება არა მხოლოდ გაიზარდა, არამედ მნიშვნელოვნად გაძლიერდა მომხმარებლის თვითმომსახურების კომპონენტიც, რაც წარმოადგენს ღონისძიების მთავარ მიზანს.

აქტივობის ეფექტურობას ხელი შეუწყო შემდეგმა ფაქტორებმა:

- ვიდეო ინსტრუქციებისა და გზამკვლევების მომზადებამ;
- სერვისების სტანდარტიზაციამ;
- მომხმარებელზე ორიენტირებულმა კომუნიკაციამ;
- ელექტრონული პლატფორმების უწყვეტმა განვითარებამ.

შედეგად, ელექტრონული სერვისების განვითარების მიზნები და ამოცანები წარმატებით სრულდება. კერძოდ, იზრდება მომხმარებელთა ნდობა ციფრული პლატფორმების მიმართ, უმჯობესდება სერვისების ხელმისაწვდომობა და მცირდება ფიზიკურ სერვის ცენტრებზე დამოკიდებულება.

✓ გავლენა

სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობით გაიზარდა სახელმწიფო სერვისებისადმი ნდობა, გამარტივდა ადმინისტრაციული პროცედურები, შემცირდა მომსახურების მიღებისთვის საჭირო დრო და ხარჯები. აღნიშნული კიდევ უფრო

თვალსაჩინო გახდება ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) ტექნოლოგიური და ფუნქციური რედიზაინის დასრულების შემდეგ.

ამ მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტრონულად განხორციელებული განცხადებებისა და ტრანზაქციების რაოდენობა, გაუმჯობესდა სახელმწიფო უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლა და გაძლიერდა საჯარო სექტორის ეფექტიანობა და გამჭვირვალობა.

ელექტრონული სერვისების ერთიანმა პორტალმა ხელმისაწვდომი გახადა სახელმწიფო სერვისების დიდი ნაწილი. კერძოდ, სერვისები მარტივად ხელმისაწვდომია მეწარმე-სუბიექტებისთვის, ასევე, რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. შედეგად, საზოგადოებაში გაიზარდა ნდობა როგორც უშუალოდ ციფრული მმართველობის სისტემების, ისე ზოგადად საჯარო ინსტიტუტების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ამოცანის განხორციელებამ შექმნა როგორც პირდაპირი, ისე გრძელვადიანი პოზიტიური გავლენა მოქალაქეებზე, ბიზნესზე და საჯარო ადმინისტრაციაზე.

მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის:

- შემცირდა სერვისის მიღებისთვის საჭირო დრო;
- გაიზარდა შესაძლებლობა განცხადებების რეგისტრაციისთვის ნებისმიერ დროსა და ადგილიდან;
- შემცირდა ფილიალებში ვიზიტების საჭიროება;
- გაიზარდა მომხმარებელთა დამოუკიდებლობა და ციფრული უნარების გამოყენება.

ადმინისტრაციისთვის:

- შემცირდა მომსახურების ფიზიკურ არხებზე დატვირთვა;
- გაიზარდა პროცესების ავტომატიზაცია;
- გაუმჯობესდა რესურსების გადანაწილების შესაძლებლობა;
- გაძლიერდა მონაცემთა მართვისა და ანალიტიკის შესაძლებლობები.

ყოველივეს სისტემური გავლენა 85%-იანი თვითრეგისტრაციის მაჩვენებელია. აღნიშნული მიუთითებს, რომ მომხმარებელთა უმრავლესობა უკვე ეფექტიანად იყენებს ელექტრონულ პლატფორმებს, რაც წარმოადგენს მომსახურების კულტურის ცვლილებას და ციფრული მმართველობის განმტკიცებას.

ამოცანა 1.7. გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *გადახდისუუნარობის საქმეთა მთლიან რაოდენობაში ლიკვიდაციის ნაცვლად საწარმოს რეაბილიტაციით დასრულებულ გადახდისუუნარობის საქმეთა წილი.*

✓ შესაბამისობა

ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების ფარგლებში მნიშვნელოვან მიმართულებად განისაზღვრა ბიზნესის დახურვის და რეაბილიტაციის სისტემის გაუმჯობესება. გადახდისუუნარობის ეფექტიანი კანონმდებლობა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. მოქნილი მექანიზმების არსებობას და პროცესის განჭვრეტადობას ფინანსური პრობლემების წინაშე მდგომი საწარმოს ფუნქციონირების შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს მსოფლიო ბანკის „ბიზნესისთვის მზაობა“ (B-READY) რეიტინგი, სადაც ერთ-ერთი ინდიკატორია „გადახდისუუნარობა“. მსოფლიო ბანკის კვლევაში აღნიშნულია, რომ „არასიცოცხლისუნარიანი ფირმების ეფექტური და სწრაფი გასვლა მნიშვნელოვან ციკლურ როლს ასრულებს ეკონომიკის განახლებაში, არაპროდუქტიული ფირმების მოცილებით და უფრო პროდუქტიული ფირმებისთვის ადგილის გათავისუფლებით. ეფექტური გადახდისუუნარობის ჩარჩოს მიზანია უზრუნველყოს არასიცოცხლისუნარიანი ფირმების სწრაფი ლიკვიდაცია და სიცოცხლისუნარიანი ფირმების ეფექტური რესტრუქტურიზაცია მდგრადი გზით. ეკონომიკებში, სადაც კრედიტორების ამოღების მაჩვენებლები მაღალია და გადაწყვეტის დრო უფრო სწრაფია, ფორმალური გაკოტრების პროცესის ფარგლებში რესტრუქტურიზაცია ასრულებს თავის როლს კომპანიების შენარჩუნებით“.[15]

სწორედ ამ ძირითად პრინციპების გათვალისწინებით, 2020 წლის სექტემბერში მიღებული იქნა საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“. აღნიშნული კანონის მიღებით საქართველოში გადახდისუუნარობის პროცესის მარეგულირებელი პროგრესული ჩარჩო ჩამოყალიბდა და გაჩნდა მეტი სტიმული საწარმოების რეაბილიტაციისთვის.

[15] World Bank „B-Ready“ „Business Insolvency“, 2025;
იხ. ბმული: https://www.worldbank.org/en/businessready/methodology#tabs-b10aa00388-item-24941ffe74-tab

✓ ეფექტურობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიო ბანკის რეიტინგის „ბიზნესისთვის მზაობა“ (B-READY) ერთ-ერთი ინდიკატორია „გადახდისუუნარობა“, რომელიც მარეგულირებელ დონეზე ზომავს გადახდისუუნარობის სისტემების ძირითად მახასიათებლებს. რეიტინგი, აფასებს გადახდისუუნარობის პროცედურებთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ და ოპერაციულ ინფრასტრუქტურას, ასევე, გადახდისუუნარობის პროცედურების ოპერაციულ ეფექტურობას სამ სხვადასხვა განზომილებაში. პირველი მიმართულება აფასებს სასამართლო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების - ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის - რეგულირების ხარისხს, რომელიც მოიცავს მარეგულირებელი ჩარჩოს დე იურე მახასიათებლებს, რაც აუცილებელია ვალის მოგვარების პროცესისთვის. მეორე მიმართულება ზომავს სასამართლო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ინსტიტუციური და ოპერაციული ინფრასტრუქტურის ხარისხს, რითაც აფასებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მექანიზმების დე ფაქტო ასპექტებს და გადახდისუუნარობის შესახებ სამართლებრივი ჩარჩოს განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურას. მესამე მიმართულება კი ზომავს სასამართლოში ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის საქმის წარმოების პროცესის გადასაჭრელად საჭირო დროსა და ხარჯებს.

2025 წელს, მსოფლიო ბანკის რეიტინგში „გადახდისუუნარობის“ ინდიკატორში საქართველო მსოფლიო რეიტინგში საუკეთესო 15 ქვეყანას შორისაა 73.06 ქულით. რეიტინგის 3 მიმართულებიდან, საქართველოს სასამართლო გადახდისუუნარობის შესახებ სამართალწარმოების რეგულაციების ხარისხის კომპონენტში 73.03 ქულა აქვს, სასამართლო გადახდისუუნარობის შესახებ სამართალწარმოების ინსტიტუციური და ოპერატიული ინფრასტრუქტურის ხარისხის კომპონენტში - 54.58 ქულა, ხოლო სასამართლო გადახდისუუნარობის შესახებ სამართალწარმოების გადაწყვეტის ოპერაციული ეფექტურობის კომპონენტში საქართველოს ერთ-ერთი უმაღლესი შეფასება - 91.58 ქულა აქვს და ბელგიასთან, კანადასთან და შვედეთთან ერთად მსოფლიო საუკეთესო ოთხეულშია.

უნდა აღინიშნოს, რომ 2021-2025 წლებში, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის საფუძველზე, სასამართლოში საქმის წარმოება დაიწყო 90 საქმეზე, რეაბილიტაციით დასრულდა 27 საქმე. ჯამურად, რეაბილიტაციით დასრულებულ საქმეთა წილი გადახდისუუნარობის საქმეთა მთლიან რაოდენობაში 30%-ს შეადგენს. კანონის ერთ-ერთი მთავარი დადებითი შედეგი სწორედ ისაა, რომ უფრო მეტი ბიზნესი მიმართავს რეაბილიტაციის რეჟიმს. ამასთან, პრაქტიკამ აჩვენა, რომ გასულ პერიოდთან შედარებით, რეაბილიტაციის საქმეები გაცილებით მცირე დროში სრულდება და სასამართლოს მხრიდან კანონით დადგენილი ვადები, ძირითადად, დაცულია.

✓ გავლენა

გადახდისუუნარობის რეფორმამდე საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას არეგულირებდა, მკვეთრად განსხვავდებოდა საერთაშორისო სტანდარტებისგან და ვერ აკმაყოფილებდა ვერც კრედიტორთა და ვერც მოვალეთა საჭიროებებს. იგი არ აძლევდა სტიმულს გადახდისუუნარო სუბიექტებს, რომ აერჩიათ რეაბილიტაცია, როგორც კომპანიის ფინანსური სირთულეების გადაჭრის ოპტიმალური სტრატეგია.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს ამ ახალი კანონის დასახელებიდანვე ჩანს, რომ მისი მთავარი მიზანია კრედიტორების კოლექტიური დაკმაყოფილება კომპანიის რეაბილიტაციის გზით, ხოლო რეაბილიტაციის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში, გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით. კანონმა გააუმჯობესა გადახდისუუნარობის პროცესის ეფექტურობა, შექმნა ახალი მექანიზმები და არსებითად შეცვალა ის ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც არეგულირებდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებას.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ კანონმდებლობით გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაში სავალდებულოდ იქნა შემოღებული გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მონაწილეობა. სწორედ ამ მიზნით შექმნილია ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაცია (BRIPA), რომელიც წარმოადგენს სფეროს პროფესიონალებს - გადახდისუუნარობის პრაქტიკოსებს.

შედეგად, გადახდისუუნარობის თანამედროვე სისტემის დანერგვა ხელს უწყობს პროდუქტიულობის ზრდას, ეკონომიკის სტრუქტურულ გაუმჯობესებას და შესაბამისად, პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და მის განმაპირობებელ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, როგორიცაა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, კაპიტალის ხარჯის შემცირება, აქტივების ღირებულების ზრდა, დასაქმება, საინვესტიციო ფონდების განვითარება და სხვა.

ამდენად, გამართული და პროგნოზირებადი გადახდისუუნარობის რეჟიმის პირობებში, ინვესტორები თავს დაცულად გრძნობენ და ინვესტირების სტიმულებიც შესაბამისად უფრო მეტია.

ამოცანა 1.8. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან დაკავშირებით და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა.*

- *სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომების რაოდენობა.*
- *DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების რაოდენობა, რომელთან დაახლოების მიზნით მომზადებული საკანონმდებლო პროექტები კომენტარებისთვის განთავსებულია DCFTA.GOV.GE-ზე.*

✓ შესაბამისობა

საჯარო-კერძო პარტნიორობა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგან კერძო სექტორთან რეგულარული დიალოგი ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებას. აღნიშნული, თავის მხრივ, ხაზს უსვამს მთავრობის პოლიტიკის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც განაპირობებს რეფორმების ქმედუნარიანობას და ეფექტიანობას.

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის (PPD) ინსტიტუციური პლატფორმის დანერგვა სწორედ ის ინსტრუმენტია, რაც ეხმარება მთავრობას შეიმუშაოს ეფექტური პოლიტიკა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და აღმოფხვრას მეწარმეობის განვითარების ძირითადი დაბრკოლებები. თავის მხრივ, ეფექტური PPD ხელს უწყობს მთავრობასა და კერძო სექტორს შორის ნდობის განმტკიცებას, დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალურ ჩართულობას და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად შემუშავების შესაძლებლობას. შესაბამისად, PPD პლატფორმის განვითარების ხელშეწყობა და ქმედითობა სახელმწიფო მიზნებთან და ამოცანებთან სრულად თავსებადი და შესაბამისია.

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით, შეიქმნა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო (PSDAC) მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ კი კერძო სექტორის წარმომადგენელი განისაზღვრა.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების პროცესში საზოგადოების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფი.[16]

საკონსულტაციო ჯგუფი არის სამინისტროს სათათბირო ორგანო, რომლის მთავარი მიზანია DCFTA-ის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში ერთ-

[16] შენიშვნა: თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან; იხ. ბმული: http://www.dcfta.gov.ge/ge/coordination

ერთი მნიშვნელოვანია ამოცანაა მცირე და საშუალო მეწარმეთა ინფორმირებულობის გაზრდა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა DCFTA-ის ფარგლებში მიმდინარე საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებების პროცესში. ჯგუფი დაკომპლექტებულია საქართველოში მოქმედი ასოციაციებისა და ბიზნესის წარმომადგენლებით.

✓ ეფექტურობა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შექმნილ საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის პლატფორმის ფარგლებში, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ უახლესი ინფორმაცია მიმდინარე რეფორმებისა და საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ. თავის მხრივ, პლატფორმის მთავარი მიზანი იყო უკუკავშირის მიღება, რაც გულისხმობდა რეკომენდაციების, მოსაზრებების და შენიშვნების მიღებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა კანონშემოქმედებით პროცესს.

კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრებში (PSDAC) მონაწილეობა მიიღეს საბჭოს წევრებმა - საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა. საბჭოს შეხვედრების ფარგლებში, კერძო სექტორს წარედგინებოდა და იმართებოდა დისკუსიები მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე[17].

კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს სხდომებზე, საჯარო და კერძო სექტორის, ასევე, ასოციაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარდგენილ იქნა პრეზენტაციები შემდეგი საკითხების თაობაზე - „ტრანსპორტის სფეროში მიმდინარე რეფორმების/სიახლეების თაობაზე“; „ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობა საგადასახადო შეღავათებით“; „მდგრადი განვითარების მიზნები და კერძო სექტორის ჩართულობა მათი მიღწევის მიმართულებით“; „მიკროსაფინანსო სექტორი: არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და სერვისები“; “საქართველოს შრომის ბაზრისა და მისი სამომავლო პერსპექტივები“; „ინოვაციური ეკოსისტემის გაუმჯობესების მხარდამჭერი ახალი პროექტებისა და ინიციატივების შესახებ“; „ინკლუზიური წვდომა საექსპორტო ბაზრებზე“; „მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა სერტიფიცირების და რეესტრის თაობაზე”; „საფინანსო პროდუქტების, არსებული გამოწვევებისა და სამომავლო პერსპექტივები”; „ბიზნესი და ციფრული სერვისები და თანამედროვე გამოწვევები“ და სხვა. ჯამურად, 2021-2025 წლებში, ჩატარებულია 20 სხდომა.

DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფმა უზრუნველყო DCFTA-თან დაკავშირებული რეფორმების განხილვა; გასწია კონსულტაციები მიმდინარე და

[17] კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ოქმები;
იხ. ბმული: http://www.economy.ge/?page=economy&s=84

დაგეგმილი რეფორმების, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების, დამსაქმებლების, დასაქმებულების და მომხმარებლების ადაპტაციის პროცესზე, უზრუნველყო DCFTA-ის განხორციელების სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი ანგარიშების განხილვა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში, სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოსა და DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის ფარგლებში განსახილველი საკითხების ზოგადი ფორმატი პრაქტიკაში ნაწილობრივ ჩანაცვლდა სექტორული შეხვედრებით ბიზნესის წარმომადგენლებთან, რაც მიზნად ისახავდა კონკრეტული რეგულაციების და საკანონმდებლო ცვლილებების უფრო სიღრმისეულ განხილვას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. კერძოდ, აქტიურად იმართებოდა თემატური შეხვედრები სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ საკითხებზე, ტექნიკური რეგულაციების, სტანდარტიზაციისა და სხვა სექტორული მიმართულებებით, რაც უზრუნველყოფდა კერძო სექტორის უფრო მიზნობრივ და პრაქტიკულ ჩართულობას.

✓ გავლენა

სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ინსტიტუციური პლატფორმა - კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო (PSDAC) სწორედ ის ინსტრუმენტია, რომლის ფარგლებშიც ბიზნესს ეძლევა ღია და პირდაპირი შესაძლებლობა წარმართოს კონსტრუქციული დიალოგი სახელმწიფო სექტორთან, მიიღოს ინფორმაცია მიმდინარე თუ დაგეგმილი რეფორმების თაობაზე, განიხილოს მათ წინაშე მდგარი გამოწვევები და წარმოადგინოს ინიციატივები. შედეგად, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საბჭო ეხმარება მთავრობას შეიმუშაოს ეფექტიანი პოლიტიკა და აღმოფხვრას მეწარმეობის განვითარების ძირითადი დაბრკოლებები. პლატფორმის ფუნქციონირება ხელს უწყობს კერძო სექტორსა და მთავრობას შორის ნდობის გაზრდას და პროგნოზირებადი გარემოს ჩამოყალიბებას.

DCFTA-ს განხორციელების საკონსულტაციო ჯგუფის (DAG) და სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს (TAG) მიერ ჩატარებული შეხვედრები ხელს უწყობს დაინტერესებულ პირებს შეუფერხებლად მიიღონ ინფორმაცია იმ სარგებელის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების შესახებ, რომლებიც DCFTA-ით არის გათვალისწინებული. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობას ღებულობდნენ ჯგუფის წევრები - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის და საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლები.

შედეგად, საჯარო-კერძო დიალოგი პრაქტიკულ დონეზე აქტიურად მიმდინარეობდა და

მეტად ორიენტირებული იყო კონკრეტული სექტორების საჭიროებებსა და მარეგულირებელი ცვლილებების განხილვაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 2021-2025 წლებში საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროკავშირის 81 საკანონმდებლო აქტს. დაახლოება განხორციელდა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების და საჯარო შესყიდვების სფეროებში. დაახლოების მიზნით შემუშავებული რეგლამენტები კონსულტაციების მიზნით განთავსებული იქნა ოფიციალურ ვებ-გვერდზე dcfta.gov.ge. შესაბამისი დოკუმენტების dcfta.gov.ge-ზე განთავსებამ გაზარდა პროცესის გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ საკანონმდებლო ინიციატივების განხილვაში.

2 მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რადგან იგი არსებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, შრომითი ბაზრის განვითარებაზე, ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირებასა და ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერებაზე. მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკაში, როგორც დასაქმების, ასევე დამატებული ღირებულების შექმნის თვალსაზრისით, რის გამოც მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

სამეწარმეო უნარების განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ გარემო პირობებში, სადაც ბიზნესს უწევს ადაპტაცია ტექნოლოგიურ პროგრესთან, ციფრულ ტრანსფორმაციასთან, გლობალურ კონკურენციასა და მომხმარებელთა მოთხოვნების ცვლილებასთან. აღნიშნულ პირობებში მეწარმეებისთვის აუცილებელი ხდება ისეთი კომპეტენციების ფლობა, როგორიცაა დაგეგმვა, ფინანსური მართვა, ინოვაციური მიდგომების დანერგვა, მარკეტინგული ანალიზი და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება. შესაბამისი ცოდნისა და უნარების ნაკლებობა მნიშვნელოვნად ამცირებს მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების შესაძლებლობას, ხოლო პროფესიული კომპეტენციების გაძლიერება ხელს უწყობს მათ ბაზარზე დამკვიდრებასა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას.

სწორედ ამიტომ, სტრატეგიის ფარგლებში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზნად განისაზღვრა **მცირე და საშუალო მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება სამეწარმეო უნარებისა და სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობის გზით**. აღნიშნული მიზნის გავლენის ინდიკატორია პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების გაზრდილი მაჩვენებელი. საბაზისო მაჩვენებელი 62%-ს შეადგენდა, სამიზნე მაჩვენებლად კი 65% განისაზღვრა, თუმცა კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) ანგარიშის თანახმად, დასაქმების მაჩვენებელმა 78.7% შეადგინა.

აღნიშნულ კონტექსტში, უმნიშვნელოვანესია ქვეყნის შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება, სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობა და შედეგად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მიმართულებით აღსანიშნავია სამეწარმეო უნარების განვითარების, სასწავლო და საგანმანათლებლო, ტექნიკური დახმარების მექანიზმების სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამები. მათ შორის, უმნიშვნელოვანესია პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული

სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას, შეუსაბამობის შემცირებას ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, სამუშაო ძალის პოტენციალის განვითარებას და შედეგად, უმუშევრობის დონის შემცირებას.

თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ მიმართულებად განიხილება. შესაბამისად, მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამები, პროფესიული ტრენინგები და სამეწარმეო განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდუალური ბიზნესების განვითარების, არამედ გრძელვადიანი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

ამოცანა 2.1. შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგების პრეზენტაცია/განხილვის რაოდენობა.*

✓ შესაბამისობა

დასაქმების ზრდა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და იგი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. შესაბამისად, ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით, შრომის ბაზრის ანალიზს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ტენდენციების შესწავლას, მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობის და არსებული გამოწვევების გამოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია.

2017 წლიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახორციელებს კერძო სექტორში უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევებს, ხოლო 2025 წლიდან, ასევე, დაიწყო საჯარო სექტორში უნარებზე მოთხოვნის კვლევების ჩატარება. აღნიშნული კვლევების მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე არსებული და სამომავლო მოთხოვნის გამოვლენა, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობის შემცირება/აღმოფხვრას, რაც მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უმთავრესი წინაპირობაა.

განხორციელებული კვლევების ფარგლებში დეტალურად შეისწავლება: დასაქმების სტრუქტურა, პროფესიული უნარების შეფასება, ვაკანსიები, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა, გადამზადება, პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობა, უცხოელების დასაქმება, პირველი სამუშაოს მაძიებლების დასაქმება, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და მისი გავლენა დასაქმებაზე. აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის.

სწორედ ამიტომ, სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევები პირდაპირ პასუხობს საქართველოს შრომის ბაზარზე არსებულ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას. კერძოდ, მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირებას, ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას. უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევები ორიენტირებულია უნარების მხრივ დამსაქმებელთა საჭიროებების შესწავლაზე, რაც მას აქტუალურს და პრაქტიკულად მნიშვნელოვანს ხდის.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევების მეთოდოლოგია ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და ეყრდნობა ევროპის სასწავლო ფონდის (ETF), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) და პროფესიული სწავლების განვითარების ევროპული ცენტრის (CEDEFOP) სახელმძღვანელოს.

✓ ეფექტურობა

უნარებზე მოთხოვნის კვლევები, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ყოველწლიურად ტარდება, ქმნის მონაცემთა ისტორიულ მწკრივთა უწყვეტ ციკლს, რაც ხელს უწყობს შრომის ბაზრის ტენდენციების სწორ ანალიზსა და ქმნის მუდმივი მონიტორინგის შესაძლებლობას.

2021-2025 წლებში, სამინისტროს მიერ განხორციელდა უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის 2 კვლევა ეკონომიკის სექტორების სრულად მოცვით და უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სექტორული კვლევები, კერძოდ, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, მრეწველობისა და მომსახურების სექტორებში. კვლევების შედეგები წარედგინა ფართო აუდიტორიას და მომზადდა ანგარიშები, რომლებიც განთავსებულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე (lmis.gov.ge).

ანგარიშებში მოცემულია დასაქმების სტრუქტურა დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის ((ISCO 08) პროფესიული ჯგუფების), ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების (NACE rev. 2), რეგიონების, საწარმოთა ზომების, განათლების მიღწეული დონეების (საშუალო, პროფესიული და უმაღლესი) და სქესის მიხედვით. ანგარიშში, ასევე, წარმოდგენილია გამოწვევები, რომლებიც თან ახლავს პროფესიული ჯგუფების მიხედვით სამუშაო ძალის მოძიებას. კვლევა აანალიზებს, თუ რა წყაროზე დაყრდნობით

აჰყავთ საწარმოებს ადამიანები, რა უნარები აკლიათ აპლიკანტებს და რა ზომებს მიმართავენ საწარმოები სამუშაო ძალის უნარების განვითარების კუთხით. კვლევა, ასევე, ავლენს ახალი თანამშრომლების დაქირავების შესაძლებლობებს, არსებული ვაკანსიების რაოდენობას, სამუშაო ძალის მოთხოვნის ზრდისა და შემცირების ტენდენციებს, მათ გამომწვევ მიზეზებს, საწარმოებში პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების მაჩვენებელს, პროფესიულ სასწავლებლებთან კომპანიების თანამშრომლობის ფორმებს, მათ დამოკიდებულებას პროფესიული სწავლების მიმართ, უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების ტენდენციებს, მათი დასაქმების გამომწვევ მიზეზებს, საწარმოთა განწყობას პირველი სამუშაოს მაძიებელი პირების მიმართ, საწარმოთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების და აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაო ძალაზე შესაძლო მოთხოვნის ზრდას ან შემცირებას. კვლევაში, ასევე გამოვლენილია საწარმოების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესაძლო ზრდის ან შემცირების ტენდენციები.

ამდენად, სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები გამოიყენება სხვადასხვა სახელმწიფო, კვლევითი თუ კერძო სექტორის მიერ არაერთი მიმართულებით, მათ შორის დაფინანსების პრიორიტეტების განსაზღვრის, პროფესიული განათლების პროგრამების მომზადების, კარიერული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების კუთხით. აღნიშნული ცალსახად მიუთითებს კვლევის შედეგებისა და მიგნებების პრაქტიკაში გამოყენების მაღალ ხარისხსა და ამასთან, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელობაზე.

✓ გავლენა

შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ჩატარებული კვლევები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და შრომის ბაზრის უკეთ ფუნქციონირებას. კვლევის მიგნებები დადებითად აისახება ეკონომიკური, შრომისა და განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. იგი ზრდის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სასწავლო პროგრამების შესაბამისობას და ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის განვითარებას. ასევე, ეხმარება მოქალაქეებს პროფესიის არჩევასა და კარიერის დაგეგმვაში, რაც საერთო ჯამში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერის კუთხით.

ცხადია, ადამიანური რესურსების განვითარება ეკონომიკის ზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი ეკონომიკური დარგების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სწორედ ამიტომ, შრომის ბაზრის მოსალოდნელი ტენდენციების შესახებ ინფორმაციის ფლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რაც ასევე გადამწყვეტია დამსაქმებლებისთვის, სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, მათ შორის დონორი ორგანიზაციებისთვის.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული კვლევები ორიენტირებულია არა მხოლოდ არსებული ტენდენციების შესწავლასა და იდენტიფიცირებაზე, არამედ განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა მოსალოდნელი მომდევნო წლებში, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ამ სექტორებში დასაქმების ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას.

ამოცანა 2.2. უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *ჩატარებული ტრენინგების/შეხვედრების რაოდენობა წლიურად.*
- *ტრენინგების/შეხვედრების მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები მათ დაეხმარება გაუმჯობესონ შრომის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტი ან შრომის უსაფრთხოების რეგულაციებთან შესაბამისობის ხარისხი.*

✓ შესაბამისობა

სტრატეგიის ფარგლებში სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახურის“ ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა „უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება“, რომლის ფარგლებში სააგენტო უზრუნველყოფდა პირველადი და განმეორებითი ინსპექტირებების განხორციელებას და შესაბამისი მითითებების გაცემას, შრომის უსაფრთხოების ნორმების ეფექტურად აღსრულების მიზნით საინფორმაციო მასალების მომზადებას და უსაფრთხო შრომითი გარემოს შესახებ ტრენინგების, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრების განხორციელებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში, მცირე და საშუალო მეწარმეების მხრიდან, გაიზარდა მოთხოვნა შრომით ნორმებთან დაკავშირებით კონსულტაციებზე, ასევე, მათ მიერ სამუშაო ადგილებზე შრომითი სტანდარტებისა და შრომით უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრევენციულ ღონისძიებებს დანერგვაზე, რაც ადასტურებს აღნიშნული პოლიტიკის მიმართულებების აქტუალობას. ამასთან, შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები, მათ შორის შრომითი მიგრაციის პროცესები, შრომის უსაფრთხოების გამოწვევები, დისტანციური და მოქნილი დასაქმების ფორმების ზრდა კიდევ უფრო ზრდის ეფექტიანი შრომითი ზედამხედველობის საჭიროებას.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკა მნიშვნელოვნად პასუხობს ბენეფიციარების, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეების, ასევე, მათი დასაქმებულების საჭიროებებს. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ორიენტირებული იყო არა მხოლოდ სამართლებრივ აღსრულებაზე, არამედ ბიზნესის მხარდაჭერაზე,

ცნობიერების ამაღლებასა და პრევენციული მექანიზმების განვითარებაზე. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის, რომლებსაც ხშირად სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში.

სტრატეგიის ფარგლებში გათვალისწინებული ამოცანის შესაბამისად სამსახური აქტიურად ახორციელებდა:

- საკონსულტაციო შეხვედრებს დამსაქმებლებთან;
- საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიებს;
- რეკომენდაციების გაცემას დარღვევების პრევენციის/აღმოფხვრის მიზნით;
- რისკებზე დაფუძნებულ ინსპექტირებას;
- ელექტრონული სერვისებისა და ადმინისტრაციული პროცესების განვითარებას.

აღნიშნულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო მეწარმეებისა და მათი დასაქმებულების ინფორმირებულობის ზრდას შრომითი ნორმების შესახებ, სამუშაო ადგილებზე შრომითი სტანდარტების გაუმჯობესებას და შრომითი კანონმდებლობის დარღვევებისას გათვალიწინებული სანქციების გამოყენების პრევენციას.

შედეგად, პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მნიშვნელოვნად პასუხობდა როგორც არსებული პრობლემების გადაჭრის საჭიროებას, ისე სტრატეგიით განსაზღვრულ ამოცანებსა და მიზნებს. ამ მხრივ, სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახურმა“ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა პრევენციაზე, რისკების იდენტიფიცირებასა და შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებაზე.

რეფორმა მეტწილად ადაპტირებული იყო შრომის ბაზარზე და ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებთან. შრომის ინსპექციის სამსახური ეტაპობრივად ავითარებდა რისკზე დაფუძნებულ მიდგომებს, ელექტრონულ სერვისებსა და მონაცემებზე დაფუძნებულ სისტემებს, რაც უზრუნველყოფს უფრო მოქნილ და თანამედროვე ზედამხედველობის სისტემის განვითარებას.

ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ელექტრონული პლატფორმებისა და მონაცემთა ბაზების განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები, „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ნორმებზე ზედამხედველობის მიმართულებით მანდატის გაძლიერება, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით განსაზღვრულ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულთა საათობრივი ანაზღაურების საკითხებზე ზედამხედველობის მიმართულებით ახალი მანდატი, მაღალი რისკის სექტორებზე ფოკუსირებული ინსპექტირების გაძლიერება და რეგიონებში ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გაფართოება.

აღნიშნული ცვლილებები ხელს უწყობდა როგორც მეწარმეების საჭიროებებზე უკეთ მორგებულ მომსახურებას, ისე სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის ეფექტიანობის ზრდას.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო, ღირსეული და სამართლებრივად დაცული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფასთან, კვლავ ინარჩუნებს მაღალ აქტუალობას.

შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობა პირდაპირ პასუხობს მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრადი განვითარების საჭიროებებს, რადგან უსაფრთხო სამუშაო გარემო, შრომითი უფლებების დაცვა წარმოადგენს როგორც ეკონომიკური სტაბილურობის, ასევე, ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან წინაპირობას.

✓ ეფექტურობა

შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ანალიზი აჩვენებს, რომ სტრატეგიასთან დაკავშირებული მიზნებისა და ამოცანების მნიშვნელოვანი ნაწილი მიღწეულ იქნა. კერძოდ, გაძლიერდა ინსპექტირების მექანიზმი, რაც იმას ნიშნავს, რომ ზრდადია გეგმური ინსპექტირებების შედეგად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა - 2025 წელს, 2021 წელთან შედარებით, გაზრდილია 5,6-ჯერ. ასევე, ზრდადია ინსპექტირებების რაოდენობაც - 2025 წელს, 2021 წელთან შედარებით, გაზრდილია 6-ჯერ. ასევე, იზრდება პირველადი ინსპექტირების შედეგად იმ ობიექტების რაოდენობა, რომელთაც გაცემული მითითებები სრულად გამოასწორეს. კერძოდ, 2025 წელს 2021 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაზრდილია 12-ჯერ. გარდა ამისა, ყოველივემ ხელი შეუწყო, სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევების შემცირების ტენდენციის ჩამოყალიბებას. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2025 წელს, ფატალური უბედური შემთხვევების რაოდენობა, 2021 წელთან შედარებით, შემცირებულია 16%-ით.

ამასთან, ცნობიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების, სამსახურის ნდობისა და რეპუტაციის ზრდის, ასევე, სამსახურის მიერ ციფრული სისტემების დანერგვის და ადმინისტრაციული პროცესების განვითარების შედეგად, ზრდადია დასაქმებულების მომართვიანობის (შრომითი უფლებების დარღვევაზე საჩივრები) რაოდენობა. კერძოდ, 2025 წელს 2021 წელთან შედარებით, გაზრდილია 4-ჯერ. აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ გაიზარდა როგორც ინსპექტირების რაოდენობა, ისე პრევენციული ღონისძიებების მასშტაბი, რაც დადებითად აისახა შრომით ნორმებთან შესაბამისობის მაჩვენებლებზე.

მნიშვნელოვანია, რომ მიზნებისა და ამოცანების განხორციელება ძირითადად მიმდინარეობდა განსაზღვრული ვადების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული გამოწვევები არსებობდა, მათ შორის, პანდემიის შემდგომი ეკონომიკური გარემო, შრომის ბაზრის ცვლილებები და ინსტიტუციური დატვირთვის ზრდა,

სამსახურმა შეძლო ზედამხედველობის, პრევენციისა და საკონსულტაციო საქმიანობის უწყვეტად და ეფექტურად განხორციელება.

ამასთან, ეტაპობრივად ხდებოდა როგორც ტექნოლოგიური შესაძლებლობების, ისე ადამიანური რესურსების გაძლიერება, რამაც ხელი შეუწყო დაგეგმილი ღონისძიებების დროულ შესრულებას. ამდენად, გამოვლენილი ეფექტები მეტწილად შეესაბამება სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს.

პოზიტიურ შედეგებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომის უსაფრთხოების კულტურის გაძლიერება, ბიზნესის ინფორმირებულობის ზრდა, შრომითი უფლებების დაცვის მექანიზმების გაძლიერება და სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების შემცირების ტენდენცია.

აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ განხორციელებულმა ღონისძიებებმა პრაქტიკული გავლენა მოახდინა როგორც ბიზნეს სექტორზე, ისე დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, გარკვეული გამოწვევები კვლავ რჩება. ძირითად გამოწვევებს შორის შეიძლება გამოიყოს მცირე და საშუალო ბიზნესის ნაწილში შრომითი სტანდარტების არასაკმარისი ცოდნა, სწრაფად ცვალებადი შრომითი ბაზარი, ადამიანური და ტექნიკური რესურსების ზრდადი საჭიროება, რეგიონებში ცნობიერების არათანაბარი დონე. თუმცა, სამსახური ეტაპობრივად ახორციელებდა შესაბამის ღონისძიებებს აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, მათ შორის, ცნობიერების ამაღლების კამპანიებსა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას.

- ✓ გავლენა

პოლიტიკის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაძლიერდა შრომითი უფლებების დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ინსტიტუციური სისტემა საქართველოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გაიზარდა შრომის ინსპექციის ინსტიტუციური შესაძლებლობები; გაფართოვდა ზედამხედველობის მექანიზმები; გაუმჯობესდა ბიზნესის შესაბამისობა შრომის კანონმდებლობასთან; გაიზარდა პრევენციული ღონისძიებების როლი და განვითარდა ელექტრონული სერვისები და მონაცემთა მართვის სისტემა. ამასთან, ბიზნეს სექტორში ეტაპობრივად იზრდებოდა უსაფრთხო სამუშაო გარემოს მნიშვნელობის აღქმა.

პოლიტიკის განხორციელებამ დადებითი გავლენა მოახდინა როგორც ბიზნეს სექტორზე, ისე დასაქმებულებსა და საზოგადოებაზე. დამსაქმებლებისთვის გაიზარდა ინფორმირებულობა შრომითი ვალდებულებების შესახებ, წვდომა საკონსულტაციო მომსახურებაზე და შესაძლებლობა დროულად აღმოეფხვრათ დარღვევები. დასაქმებულებისთვის გაძლიერდა შრომითი უფლებების დაცვის მექანიზმები,

უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობა.

საზოგადოებრივი თვალსაზრისით, გაიზარდა შრომითი უფლებებისა და უსაფრთხოების საკითხების მნიშვნელობა და საჯარო ინტერესიც აღნიშნული მიმართულებით. შედეგად, პოლიტიკის განხორციელებამ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე განსხვავებული, თუმცა საერთო ჯამში პოზიტიური ეფექტი მოახდინა.

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი იყო საკონსულტაციო და პრევენციული მხარდაჭერის გაძლიერება, შრომით ნორმებთან შესაბამისობის პროცესის ხელშეწყობა და სამუშაო ადგილზე არსებული რისკების შემცირება.

დასაქმებულებისთვის პოლიტიკამ უზრუნველყო შრომითი უფლებების დაცვის უკეთესი მექანიზმების დანერგვა, უსაფრთხო სამუშაო გარემოს სტანდარტების გაუმჯობესება და საჩივრებისა და რეაგირების ეფექტიანი სისტემების დანერგვა.

სახელმწიფო ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით, პოლიტიკამ ხელი შეუწყო შრომით ნორმებზე ზედამხედველობის სისტემის გაძლიერებას, მონაცემებზე დაფუძნებული მართვის პოლიტიკის განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

ამოცანა 2.3. სამეწარმეო უნარების გაძლიერება რეგულარული ტრენინგების გზით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *დატრენინგებულ მეწარმეთა პროცენტული წილი, რომლებიც თვლიან, რომ ტრენინგის განმავლობაში მიღებული უნარები და ცოდნა გამოადგებათ საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესებაში.*

✓ შესაბამისობა

სამეწარმეო უნარების გაძლიერება რეგულარული ტრენინგების გზით ეფექტური და პრაქტიკული მიდგომაა, რადგან მეწარმეობა მუდმივად განვითარებად გარემოსთან არის დაკავშირებული, რასაც მეტწილად განაპირობებს ახალი ტექნოლოგიები, ბაზრის ტენდენციებისა და მომხმარებლის ქცევის ცვლილები.

მეწარმეებისთვის პრაქტიკული სამეწარმეო უნარების განვითარება უმნიშვნელოვანესია. ტრენინგებზე მიღებული ცოდნა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა წარმომადგენლებს, ხელს უწყობს საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესებაში. კერძოდ, ტრენინგების დროს რეალური მაგალითების განხილვა და სიმულაციები, მეწარმეებს ეხმარება უფრო სწრაფად და სწორად შეაფასონ სიტუაციები

და მიიღონ ეფექტური გადაწყვეტილებები, გაიუმჯობესონ ბიზნესის დაგეგმვის, ფინანსების მართვის, მარკეტინგისა და გაყიდვების უნარები, შეძლონ პრობლემების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა. უნდა აღინიშნოს, რომ ტრენინგები მნიშვნელოვანია ინოვაციური აზროვნების მხრივაც, რადგან ახალი იდეები და სხვადასხვა გამოცდილება მეწარმეებს უბიძგებთ კრეატიულობისკენ და ეხმარებათ მათ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში. შედეგად, ცოდნისა და გამოცდილების ზრდის თანმდევად, იზრდება საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება და მცირდება რისკების მიმართ შიშები. ამასთან, ტრენინგები ხელს უწყობს ქსელების გაფართოებას (Networking), რადგან ტრენინგებზე სხვა მეწარმეებთან და პროფესიონალებთან ურთიერთობები, ქმნის რეალურ საფუძველს ეს შეხვედრები გადაიზარდოს პარტნიორობასა თუ ახალ შესაძლებლობებში.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს სხვადასხვა მხარდამჭერ პროგრამებთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მეწარმეობით დაინტერესებული და მოქმედი მეწარმეებისათვის ტრენინგების ჩატარება. აღნიშნული საკითხი სრულად შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტის საჭიროებებს და აქტუალურია, ვინაიდან სამეწარმეო უნარების განვითარება წარმოადგენს ბიზნესის ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას.

სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ რეგულარულად ატარებს ტრენინგებს მეწარმეებისთვის, რაც სრულად შეესაბამება ინოვაციური მეწარმეობის განვითარების საჭიროებებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტარტაპ ეკოსისტემის გაძლიერებისთვის. ტრენინგები და ვორქშოპები მიზნად ისახავს ტექნოლოგიური, ციფრული და ინოვაციური მეწარმეობის კომპეტენციების სისტემურ განვითარებას სხვადასხვა ასაკობრივ და პროფესიულ ჯგუფებში. პროგრამები ხორციელდება STEAM, ICT, ხელოვნური ინტელექტის და ინოვაციური მეწარმეობის მიმართულებებით. სწავლება ეფუძნება პრაქტიკულ დავალებებს, რეალურ ქეისებს და გუნდურ მუშაობას, რის შედეგადაც მონაწილეები მოკლე დროში იძენენ კონკრეტულ კომპეტენციებს და ემზადებიან გრძელვადიანი პროგრამებისთვის, მათ შორის ინკუბაციისა და საგრანტო მხარდაჭერისთვის.

სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს სტარტაპების მხარდაჭერას განვითარების ადრეულ და შუალედურ ეტაპებზე - იდეის ფორმირებიდან და პროტოტიპირების პროცესიდან დაწყებული, ზრდისა და საერთაშორისო მასშტაბირების ეტაპამდე (series A-მდე), აერთიანებს, როგორც საგანმანათლებლო და გადამზადების პროგრამებს, ისე დაფინანსების სხვადასხვა ინსტრუმენტს. აღნიშნული სტარტაპებს ეხმარება საკუთარი იდეების სწორად განვითარებასა და ბიზნესის მასშტაბირებაში. სწორედ ამ მიზნით, სააგენტო ახორციელებს გადამზადების პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს სტარტაპების მხარდაჭერას იდეის ფორმირების, პროდუქტის განვითარებისა და ბაზარზე გასვლის ყველა ეტაპზე. ამ პროცესში კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სწორედ პრაქტიკული

უნარებისა და ცოდნის განვითარებაა, რაც წარმოადგენს ბიზნესის წარმატების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას.

ამდენად, მცირე და საშუალო მეწარმეების გადამზადება პასუხობს იმ პრაქტიკულ საჭიროებებს, რომლებიც ბიზნესებს ყოველდღიურ საქმიანობაში აქვთ. მეწარმეებს ხშირად სჭირდებათ ცოდნის განახლება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გაყიდვების ზრდა, მომხმარებელთან კომუნიკაცია, პროდუქტის სწორად წარმოჩენა, ციფრული არხების გამოყენება, საგადასახადო და შრომით კანონმდებლობასთან დაკავშირებული სიახლეები. შესაბამისად, ტრენინგები მათ ეხმარება საქმიანობის უკეთ დაგეგმვაში, ბაზრის მოთხოვნებთან დროულად ადაპტირებასა და საკუთარი ბიზნესის უფრო ეფექტიანად მართვაში.

✓ ეფექტურობა

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების“ სააგენტოების მიერ განხორციელებული ტრენინგები თემატურად მორგებულია ბენეფიციართა საჭიროებებს და მოიცავს როგორც საბაზისო, ისე პრაქტიკულ საკითხებს.

ეფექტურობის კუთხით, მიღწეული შედეგები მიუთითებს აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგების მაღალ ხარისხზე – ბენეფიციართა 90%-ზე მეტი ტრენინგებს დადებითად აფასებს. ტრენინგებით ფართო რეგიონული დაფარვა, როგორც მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის, ასევე რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის ფარგლებში, ხაზს უსვამს ამოცანის სისტემურ განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ტრენინგთან შედარებით, რომელიც მოიცავდა ბიზნეს გეგმის შედგენისა და სამეწარმეო უნარების საბაზისო მოდულს, საკონსულტაციო ცენტრებში 2024 წლიდან გამართული ტრენინგები შვიდ სხვადასხვა მოდულს მოიცავს (გაციფრულება, გაყიდვები და მარკეტინგი, ბიზნეს მოდელირება და სტრატეგიული დაგეგმვა, გადასახადები, იურიდიული საკითხები, ფინანსები და ბუღალტერია, ადამიანური რესურსების მართვა) და თითოეულს უფრო სიღრმისეულად ფარავს.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის (მიკრო გრანტების პროგრამა) ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების 1330 გამოკითხული ბენეფიციარიდან, საშუალოდ 94% თვლის, რომ ძალიან სასარგებლო ან სასარგებლო არის მათ მიერ გავლილი ტრენინგ(ებ)ი. ცალკეული მოდულების (მეწარმეობის საფუძვლები; შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები; გადასახადის გადახდისა და ანგარიშგების წესი; ბიზნეს გეგმის შედგენა; გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები; ციფრული ტექნოლოგიები) შეფასება 93%-96% ფარგლებშია.

ასევე, ჩატარდა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის პროგრამის (რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები) ფარგლებში მიწოდებული ტრენინგების მონაწილეთა გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც 90%-მა დააფიქსირა, რომ გავლილი ტრენინგით კმაყოფილი, ან ძალიან კმაყოფილია. ასევე, არაერთი ტრენინგი განახორციელა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში მეწარმეებისთვის სამეწარმეო უნარების გაძლიერების მიმართულებით.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში მეწარმეებისთვის არაერთი ტრენინგი განახორციელა. სამეწარმეო უნარების გაძლიერების მიმართულებით.

ამრიგად, ამოცანის ფარგლებში განხორციელებულმა ტრენინგებმა ხელი შეუწყო მეწარმეების პროფესიული უნარების განვითარებას, თანამედროვე ბიზნესგარემოსთან ადაპტაციასა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას.

- ✓ გავლენა

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ უზრუნველყოფილი ტრენინგები ქმნის პოზიტიურ გავლენას სამეწარმეო უნარების განვითარებაზე. „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ განხორციელებული პროგრამა უზრუნველყოფს სტარტაპების ხარისხის ზრდას და მათი შემდგომი ჩართულობის შესაძლებლობას სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებში. კერძოდ, პრე-აქსელერაციის ფარგლებში განვითარებული იდეების 37%-მა მონაწილეობა მიიღო „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ პროგრამაში, ხოლო მათგან 7%-მა მოიპოვა დაფინანსება, რაც მიუთითებს პროგრამის ეფექტიანობაზე სტარტაპების მომზადების კუთხით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრე-აქსელერაციის პროგრამა სრულად ფარავს იდეის ეტაპს და მიზნად ისახავს რეგიონებში ინოვაციური გუნდების ფორმირებასთან ერთად ადრეული ეტაპის ბიზნეს-იდეების სისტემურ განვითარებას. პროგრამა მიმართულია დამწყები მეწარმეებისა და გუნდებისკენ, რომლებსაც გააჩნიათ ინოვაციური იდეა, თუმცა საჭიროებენ სტრუქტურირებულ მხარდაჭერას მის ბიზნეს-მოდელად გადაქცევაში. შვიდკვირიანი ინტენსიური პროგრამა მოიცავდა პრაქტიკულ ტრენინგებს, მენტორინგსა და „იდეიდან პროდუქტამდე“ სასწავლო ციკლს, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები მუშაობდნენ პრობლემის ანალიზზე, ბაზრის შეფასებაზე, ბიზნეს-მოდელსა და პირველადი პროდუქტის კონცეფციაზე. პროგრამა სრულდება დემო-დღით, სადაც გუნდები საკუთარ პროექტებს წარადგენენ.

შედეგად, პრე-აქსელერაციის პროგრამამ 11 ლოკაციაზე გავლენა იქონია და ხელი შეუწყო სამეწარმეო კულტურის დამკვიდრებას და შესაბამისად, ადგილობრივი ინოვაციური პოტენციალის რეალიზებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოებისა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფინანსებული ტრენინგებ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სამეწარმეო უნარებს და ხელს უწყობს ბიზნეს-იდეების სისტემურ განვითარებას, რაც უმნიშვნელოვანესია ბიზნესის წარმატებისთვის. აღნიშნული ტრენინგების შეფასებისას, მეწარმეთა 80% თვლის, რომ ტრენინგების განმავლობაში მიღებული უნარები და ცოდნა გამოადგებათ საკუთარი ბიზნესის წარმოებასა და გაუმჯობესებაში.

ამოცანა 2.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (პსდ-ები) რაოდენობა, სადაც დანერგილია მეწარმეობრივი კულტურის კონცეფცია.*
- *მოკლევადიანი პროფესიული მომზადება- გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა.*
- *დანერგილი დუალური მიდგომის პროფესიული პროგრამების რაოდენობა.*

✓ შესაბამისობა

სამეწარმეო უნარებისა და სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობის გზით მცირე და საშუალო მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის სისტემური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი პროფესიული განათლების სისტემის გაძლიერებაა. ვინაიდან სწორედ პროფესიული განათლების სისტემას შეუძლია შედარებით მოკლე დროში უპასუხოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრები, ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, ინდივიდის პროფესიულ განვითარებასა და პირის დასაქმებას, მათ შორის თვითდასაქმებას.

პროფესიული განათლების სისტემის განვითარების მიზნით განხორციელებული ინტერვენციები, პოზიტიურად აისახა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელზე. კვლევის მონაცემებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი ბოლო წლებში მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს. კერძოდ, 2021 წლის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი 74%-ს, 2022 წლის - 81%-ს, ხოლო უახლესი (2025) კვლევის მიხედვით კი 2023 წლის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი 79.4%-ს შეადგენს. საგულისხმოა, რომ სამეწარმეო უნარების განვითარება ხელს უწყობს არა მარტო

დასაქმებას, არამედ თვითდასაქმებასაც. კვლევის თანახმად, კურსდამთავრებულთა შორის თვითდასაქმების მაჩვენებელი 2021-2023 წლებში 15-დან 20%-მდე მერყეობს.

აღნიშნული კვლევა (ე.წ. Tracer Study) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად ტარდება და შეისწავლის იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც გამოკითხვის მომენტისთვის სწავლა დაახლოებით 1 წლის დასრულებული აქვთ.

მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება სრულად პასუხობს ქვეყნის სტრატეგიულ პრიორიტეტს - მცირე და საშუალო მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ამოცანა ინარჩუნებს აქტუალობას, ვინაიდან პროფესიულ განათლებაში სამეწარმეო კომპონენტის გაძლიერება პირდაპირ კავშირშია შრომის ბაზრის დინამიურ მოთხოვნებთან და ქვეყანაში მდგრადი სამეწარმეო ეკოსისტემის ჩამოყალიბებასთან.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების სისტემის განვითარება, ასევე, პასუხობს გლობალურ გამოწვევებს, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია და შრომის ბაზრის განვითარების სწრაფ ტემპთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა. გამოწვევაზე საპასუხოდ, სისტემა ორიენტირებულია სწავლების მოქნილი გზების შექმნაზე, რაც მოიცავს დისტანციური სწავლების კომპონენტების დანერგვას, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზებას და სხვ. ასევე, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა პროფესიულ განათლებაში, როგორც კვალიფიკაციების შემუშავებაში, ისე პროგრამების შემუშავებასა და სწავლებაში, მათ შორის დუალური პროგრამების გაძლიერების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები შრომის ბაზრის მოთხოვნების შედარებით მოკლე დროში დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა, რაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია დინამიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილია პროგრამების დაფინანსება. ყოველივე ზემოხსენებული ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის დასაქმებასა და თვითდასაქმებას, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

✓ ეფექტურობა

ამოცანის ფარგლებში, დასახული ინდიკატორის საბოლოო მაჩვენებლები მიღწეულია, კერძოდ:

- მეწარმეობრივი კულტურის კონცეფცია დანერგილია 4 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

- პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები დაასრულა 10,500-ზე მეტმა ბენეფიციარმა, რაც ადასტურებს ზრდასრულთა განათლებაში ჩართულობის მნიშვნელოვან ზრდას (საბაზისო 2019 წ. – 444);
- დუალური პროგრამების რაოდენობა 57-მდე გაიზარდა (საბაზისო 2019 წ. – 35-მდე). დუალური პროგრამები კიდევ უფრო აძლიერებს კერძო სექტორთან თანამშრომლობისა და პრაქტიკული სწავლების კომპონენტს.

აღნიშნული შედეგები მიუთითებს ამოცანის ეფექტურ შესრულებაზე და დაგეგმილი აქტივობების დადებით დინამიკაზე.

ამოცანის შესრულების მიზნით განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები, კერძოდ, სტრატეგიის განხორციელების პერიოდში საჯარო-კერძო პარტნიორობის არსებული მექანიზმების შესახებ ჯამში 300-ზე მეტ ორგანიზაციასთან ჩატარდა საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრები, განხორციელდა პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი ღონისძიებები და აქტივობები, რამაც უზრუნველყო დუალურ პროგრამებში და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების გაზრდილი რაოდენობა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მეწარმეობრივი კულტურის განვითარების მიზნით მოწესრიგდა სამართლებრივი ჩარჩო და ჩატარდა 30-ზე მეტი საკონსულტაციო/სამუშაო შეხვედრა კოლეჯებთან. გადამუშავდა და დაინერგა მეწარმეობის ახალი მოდული, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევროპის სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩოსთან (EntreComp), შემუშავდა შესაბამისი სახელმძღვანელო, ახალ კვალიფიკაციებში გათვალისწინებულია მეწარმეობის განახლებული მოდული.

ამასთან, სამეწარმეო კომპეტენციების განმავითარებელ აქტივობებში ჩაერთო 150-მდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით კი ჩამოყალიბდა მეწარმეობის მასწავლებელთა ქსელი. პროფესიული სტუდენტების სამეწარმეო უნარების განვითარებისათვის გარდა შესაბამისი მოდულისა, დაწესებულებების მიერ უზრუნველყოფილია არაფორმალური განათლების აქტივობები სხვადასხვა პროექტის, კურსის თუ კონკურსის სახით. მათ შორის, 2025 წელს განხორციელდა სტუდენტური სამეწარმეო პროექტების კონკურსი, რომლის ფარგლებშიც დასაქმების/თვითდასაქმების, აგრომეწარმეობის მიმართულებით გადამზადდა 60 პროფესიული სტუდენტი და გამოვლინდა კონკურსის გამარჯვებული 12 პროფესიული სტუდენტი.

✓ გავლენა

სამეწარმეო უნარებისა და სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელების შედეგად, პროფესიული განათლების სისტემაში გაძლიერდა მეწარმეობაზე ორიენტირებული სწავლების კომპონენტი. ასევე, გაიზარდა

დუალური მიდგომით განხორციელებული პროგრამების წილი. აღნიშნულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო განათლების სისტემის უფრო მჭიდრო დაკავშირებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მასშტაბი - 2019 წლიდან დღემდე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებში ჩაერთო 45,000-ზე მეტი პირი. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ პროფესიული განათლების სისტემა ბევრად მიმზიდველი და ხელმისაწვდომი გახდა ზრდასრული მოსახლეობისათვის. აღნიშნული კი დადებითად აისახება სამუშაო ძალის უნარების სწრაფ განვითარებაზე და შესაბამისად, შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

დუალური პროგრამების რაოდენობის ზრდა ნიშნავს კერძო სექტორის უფრო მჭიდრო ჩართულობას პროფესიული განათლების მიწოდებაში და ზრდის პროფესიული სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობებს, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ამასთან, განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების საშუალებას აძლევს, ხელი შეუწყო მეწარმეობრივი კულტურის გაძლიერებას. აღნიშნული ცვლილებები დადებით გავლენას ახდენს, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, ასევე მათ იმიჯზე და პრესტიჟზე საზოგადოებაში.

ამოცანა 2.5. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS), შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემისა (WORKNET) და შესაბამისი სერვისების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *სერვისების მიმღებთა რაოდენობა.*
- *სერვისების მიმღებთა რაოდენობა, რომელიც დასაქმდება.*

✓ შესაბამისობა

საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან გამოწვევას და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს დასაქმების ზრდა წარმოადგენს. შესაბამისად, ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით, შრომის ბაზრის სიღრმისეულ ანალიზს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ტენდენციების შესწავლას, მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობის და არსებული გამოწვევების გამოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. შრომის ბაზარზე

მოთხოვნა-მიწოდების მიმართულებით მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელება, თავის მხრივ, ხელს უწყობს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობის შემცირება/აღმოფხვრას. სწორედ ამიტომ, მონაცემებზე სწრაფი, მარტივი და ფართო ხელმისაწვდომობა სრულად პასუხობს თანამედროვე საჯარო მმართველობის ძირითად საჭიროებებს.

ზოგადად, მომხმარებლისათვის სირთულეს წარმოადგენს შრომის ბაზართან მიმართებით არსებული ტენდენციების თაობაზე ინფორმაციის გაფანტულობა, მისი გაანალიზება და პრაქტიკაში გამოყენება. სწორედ აღნიშნულის საპასუხოდ შეიქმნა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა (lmis.gov.ge), რომელიც წარმოადგენს „ერთი ფანჯრის“ პრინციპზე შექმნილ საჯარო ვებ-პორტალს და უზრუნველყოფს სხვადასხვა მომხმარებლისათვის განახლებული ინფორმაციის მიწოდებას ქვეყანაში შრომის ბაზრის ტენდენციებზე, კარიერულ დაგეგმვასა და პროფესიებზე. სისტემა წარმოადგენს საინფორმაციო ბანკს, სადაც თავმოყრილია შრომის ბაზრის ინფორმაცია, ადვილად გასაგებია და მარტივია მისი პრაქტიკაში გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახორციელებს კერძო სექტორში უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევებს. ნიშანდობლივია, რომ კვლევების შედეგების (ანგარიშები, პრეზენტაციები) lmis.gov.ge-ზე საჯაროდ ხელმისაწვდომობის მიუხედავად, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას მაინც სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის ადვილად აღსაქმელ ფორმატში და მისი ინტერესის შესაბამისი ინფორმაციის სწრაფად მიღება წარმოადგენდა, რადგან უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის შედეგები საკმაოდ მოცულობითი და კომპლექსურია. სწორედ ამ ამოცანის გადასაჭრელად გადაწყდა კვლევის შედეგების გაციფრულება და სპეციალური ვებ-პორტალის შექმნა - „შრომის ბაზრის კვლევის ელექტრონული სისტემა“ (gs.economy.ge)[18].

ხაზი უნდა გაესვას, რომ აღნიშნული ორენოვანი ვებ-პორტალი (ქართული და ინგლისური ენები), მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს სასურველ ფორმატში, ჭრილში და დინამიკაში მიიღონ საჭირო ინფორმაცია.

ვებ-პორტალის შექმნით სრულად იქნა გათვალისწინებული სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის (სახელმწიფო უწყებები, საგანმანათლებლო სექტორი და სოციალური პარტნიორები) საჭიროებები. ასევე, ვებ-პორტალის შექმნა სრულად შეესაბამება ციფრული ტრანსფორმაციის, გამჭვირვალობისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის პრინციპებს.

საყურადღებოა, რომ 2020 წლის 14 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მოქალაქეების დასაქმებას, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელებას, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის

[18] „შრომის ბაზრის კვლევის ელექტრონული სისტემა“; იხ. ბმული: https://gs.economy.ge/

განვითარებას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კანონი აწესრიგებს დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო საქმიანობას, განსაზღვრავს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“ 2020 წლის პირველი იანვრიდან ფუნქციონირებს. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო უზრუნველყოფს, სამინისტროში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ფარგლებში, შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას, რომელიც ემსახურება ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულებით, მნიშვნელოვანია დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს პლატფორმის - Worknet.moh.gov.ge-ის განვითარების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები.

✓ ეფექტურობა

2025 წლის პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით სერვისების მიმღებთა რაოდენობამ 14,258 შეადგინა, მათ შორის 10,058 ქალია. ასევე, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების/სერვისების ფარგლებში, დასაქმებულია 6,269 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის - 4,562 ქალი. საბაზისო წელთან შედარებით (2020წ.), დასაქმების მაჩვენებელი 6.9-ჯერ გაიზარდა.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო სამუშაოს მაძიებლებისთვის მუდმივად უზრუნველყოფდა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებების და პროგრამების მიწოდებას. სააგენტოს სერვის ცენტრებში განხორციელდა ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირების მომსახურება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადების ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა პროფესიულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, რომელთა მიერ წარმოდგენილ მოთხოვნად პროფესიაზე სწავლა დაიწყეს სამუშაოს მაძიებლებმა; სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში, პროგრამაში ჩაერთო და ხელშეკრულება გაფორმდა დამსაქმებლებთან.

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა[19] ორიენტირებულია შრომის ბაზრის მონიტორინგზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებაზე, განხორციელებული პროგრამების შედეგების შეფასებაზე და შრომის ბაზრის შესახებ სხვადასხვა მონაწილე მხარისა თუ მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე. აღნიშნული სისტემის განვითარების მიზანს სწორედ სრულყოფილი შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარებით ფრიქციული (უმუშევრობის არსებული დონის) და სტრუქტურული უმუშევრობის შემცირების ხელშეწყობა და შრომის ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსის აღმოფხვრა წარმოადგენს.

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახელმწიფო პოლიტიკის სწორად დაგეგმვას და განახორციელებას. სწორედ სისტემის განვითარებით, კვლევებისა და ანალიზის შედეგად, შესაძლებელი გახდა სრული სიზუსტით დაგეგმილიყო და განხორციელებულიყო პროფესიული სასწავლო პროგრამები, განსაზღვრულიყო მათი დაფინანსების პრიორიტეტები.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის გაციფრულების საკითხი. ვებ-პორტალზე მონაცემთა ხელმისაწვდომობამ კონკრეტული პრობლემა გარდაქმნა პრაქტიკულ და ფუნქციურ გადაწყვეტად. კვლევის შედეგები გადაიტანა სტატიკური ანგარიშგებიდან ინტერაქციულ ციფრულ პლატფორმაზე, სადაც მომხმარებელს შეუძლია მონაცემების სწრაფად მოძიება, გაფილტვრა, შედარება და დინამიკაში ანალიზი. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად გაზარდა ინფორმაციის გამოყენების სისწრაფე და პრაქტიკულობა. დამატებითი ეფექტურობა გამოიხატება იმაშიც, რომ სისტემის ადმინისტრირება და განახლება უკვე სამინისტროს შიდა რესურსებით ხორციელდება, რაც ამცირებს გარე ხარჯებს და ზრდის ინსტიტუციურ მდგრადობას. ასევე, პროექტის პროცესში თანამშრომლებმა შეიძინეს ახალი უნარები, რაც გრძელვადიან ეფექტიანობას აძლიერებს.

✓ გავლენა

ამოცანის შედეგის ინდიკატორებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, ვინაიდან ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარებით, დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა სერვისების განხორციელებით, სამუშაოს მაძიებლებს ეძლევათ საშუალება გახდნენ კონკურენტუნარიანები ღია შრომის ბაზარზე.

„შრომის ბაზრის კვლევის ელექტრონული სისტემის“ ვებ-პორტალის შექმნამ სრულად უპასუხა დასახულ ამოცანას - კომპლექსური კვლევის შედეგები გადაიქცა ხელმისაწვდომ და პრაქტიკულად გამოყენებად ციფრულ პლატფორმად. ვებ-პორტალმა პირველ რიგში გააუმჯობესა შრომის ბაზრის მონაცემებზე წვდომა, გაიზარდა მონაცემების გამოყენების ინტენსივობა, ხელი შეუწყო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დაჩქარებასა და

[19] შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა; იხ. ბმული: www.lmis.gov.ge

ხარისხის ზრდას. მეორე მხრივ, პლატფორმა აძლიერებს განათლებისა და დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვას, რადგან დაინტერესებულ მხარეებს რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლიათ მოქმედება. პროექტმა ასევე გააძლიერა სამინისტროს ადამიანური კაპიტალი და ორგანიზაციული შესაძლებლობები ციფრული მართვის მიმართულებით.

ვებ-პორტალმა მნიშვნელოვნად გაამარტივა ინფორმაციის მიღება სახელმწიფო უწყებებისთვის, სოციალური პარტნიორებისთვის, მკვლევარებისთვის, საგანმანათლებლო სექტორისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. სისტემის შექმნამ წარმატებით დააკავშირა მონაცემები, ტექნოლოგია და ადამიანური კაპიტალი, რის შედეგადაც შეიქმნა მდგრადი, ინოვაციური და მაღალი პრაქტიკული ღირებულების სახელმწიფო სერვისი.

სამინისტრომ ევროპის სასწავლო ფონდის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ღონისძიებებზე (ფლორენცია, ჰელსინკი, ტალინი და ტაშკენტი), წარადგინა პრეზენტაცია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS.GOV.GE) თაობაზე, რომლის ფარგლებში, ასევე, წარადგინა ინფორმაცია **შრომის ბაზრის კვლევების შედეგების გაციფრულების პლატფორმის თაობაზე.** აღნიშნულ შეხვედრებზე პლატფორმამ მიიღო საერთაშორისო მოწონება და აღიარება.

შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის წარმატებით და ეფექტურად განხორციელების კუთხით შესაბამისი გავლენა იქონია Worknet.moh.gov.ge პორტალის და შესაბამისი სერვისების განვითარებამ.

ამოცანა 2.6 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა.*
- *შემუშავებული ESG სახელმძღვანელო.*
- *დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები დაეხმარება RBC/ESG პრინციპების იმპლემენტაციაში.*

✓ შესაბამისობა

ამოცანა შეესაბამება თანამედროვე ეკონომიკურ ტენდენციებს და მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტის საჭიროებებს, განსაკუთრებით ESG და პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება განსაკუთრებით აძლიერებს ESG-ის მნიშვნელობას. ამასთან, მზარდია ქართველი მეწარმეების თანამშრომლობა ევროპელ

პარტნიორებთან, რის გამოც სულ უფრო იზრდება მოთხოვნა კომპანიებში გარემოს დაცვის საკითხების დანერგვის, ეთიკური მართვისა და სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით.

ამ მიმართულებით, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული აქტივობები (ვორქშოფები, საინფორმაციო სესიები, ESG სახელმძღვანელოს მომზადება და სასწავლო კურსები) მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბენეფიციარებში ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას და ცოდნის გაძლიერებას.

✓ ეფექტურობა

„აწარმოე საქართველოში“ სააგენტოსთან და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა (UN Global Compact Network Georgia) შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის სახელმძღვანელო „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო“ (ESMS).

სააგენტო - მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (მმსს) მხარდამჭერი პროგრამების ფარგლებში (მმსს-ების ფინანსური დახმარება; ელექტრონული გადახდების და ფინანსური ინფრასტრუქტურის განახლება; პროექტის მართვა და მონიტორინგი; გაუთვალისწინებელ საგანგებო გარემოებებზე რეაგირება და სხვ.) შესაბამისად ითვალისწინებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკის მართვის მიდგომებს.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკის მართვის საფუძველზე, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და კონტრაქტორი ორგანიზაციები ახორციელებენ შემომავალი საგრანტო განაცხადების რისკის სკრინინგს და სკრინინგის შედეგების გათვალისწინებით, იღებენ გადაწყვეტილებას საგრანტო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ, ახორციელებენ გრანტის მიმღებთა საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ზედამხედველობას და ამზადებენ რეგულარულ ანგარიშებს აღნიშნულის შესახებ მიკროგრანტების სქემის ფარგლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ პროპორციულია მიდგომა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკის მართვის მიმართ, რაც ნიშნავს, რომ მარტივი პროცედურები არის გამოყენებული დაბალი და საშუალო რისკის მატარებელ საქმიანობებთან დაკავშირებით, ხოლო უფრო მეტი ძალისხმევა არის მიმართული არსებითი რისკის მატარებელი ოპერაციების შესასრულებლად.

ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაციის მიზნით, UN GCNG-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ფარგლებში, სხვადასხვა მიმართულებით, ჯამში გადამზადდა 604 კომპანიის წარმომადგენელი. კომპანიების წარმომადგენლები

დატრენინგდნენ ბიზნესის მდგრადი განვითარების/ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის საკითხებში. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემებს: შრომითი უფლებები; გარემოს დაცვა; ბიზნესი და ადამიანის უფლებები; კომუნიკაცია პროგრესის შესახებ (COP). აღნიშნული მიმართულებით, ჯამურად, ჩატარდა 17 საინფორმაციო (261 მონაწილე) შეხვედრა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამოცანის ფარგლებში მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები. კერძოდ, კომპანიების ჩართულობა და ტრენინგების მაღალი შეფასება (100% მიიჩნევს, რომ მიღებული ცოდნა დაეხმარება პრაქტიკაში) და ამასთან, საინფორმაციო მასალების შექმნა, მიუთითებს ამოცანის სრულად განხორციელებაზე.

✓ გავლენა

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო ქვეყანაში შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების და პროცედურების ჩამოყალიბება, რომელიც სრულ შესაბამისობაშია მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტების მოთხოვნებთან.

ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია და ESG საკითხების დანერგვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე არაერთი მიმართულებით, მათ შორის, როგორიცაა მომხმარებელთა ნდობის ზრდა, ინვესტიციებისა და დაფინანსების მიღება, კონკურენტუნარიანობის გაზრდა, თანამშრომლების მოტივაცია, საერთაშორისო ბაზრებზე წვდომა და სხვა.

ESG საკითხებზე ცნობიერების ზრდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. შედეგად, ESG-ზე ცნობიერების ზრდა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესს ეხმარება არა მხოლოდ სოციალური პასუხისმგებლობის შესრულებაში, არამედ გრძელვადიან წარმატებასა და მდგრად განვითარებაში.

საერთო ჯამში, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის პრინციპების პოპულარიზაციას და ESG საკითხებზე ცნობიერების ზრდას მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებში. აღნიშნული კი, თავის მხრივ, პირდაპირ გავლენას ახდენს მომხმარებელთა ნდობის ზრდაზე, ინვესტიციებისა და დაფინანსების მიღებაზე, კონკურენტუნარიანობის ზრდასა, თანამშრომლების მოტივაციასა და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომაზე.

ამოცანა 2.7. ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *ციფრული წიგნიერების (მათ შორის ციფრული უნარების) ხელშემწყობი პროგრამებით მოცული დასახლებების რაოდენობა.*

✓ შესაბამისობა

ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა თანამედროვე ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, რადგან ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა პირდაპირ კავშირშია სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციასთან. აღნიშნული ამოცანა განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონული განვითარების, საჯარო სერვისებზე თანაბარი წვდომისა და ციფრული უთანასწორობის შემცირების კონტექსტში. თავის მხრივ, ციფრული სერვისების გამოყენება დამოკიდებულია როგორც ინტერნეტზე ხელმისაწვდომობაზე, ისე შესაბამის ციფრულ უნარებზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ციფრული წიგნიერების ხელშემწყობი პროგრამებით მოცული დასახლებების რაოდენობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინდიკატორს, ვინაიდან იგი ასახავს არა მხოლოდ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის არსებობას, არამედ მოსახლეობის შესაძლებლობას, ეფექტიანად გამოიყენოს ციფრული სერვისები ყოველდღიურ ცხოვრებაში. აღნიშნული ინდიკატორი, ასევე, შეესაბამება როგორც სახელმწიფო ციფრული ტრანსფორმაციის პოლიტიკას, ისე საერთაშორისო მიდგომებს, რომლებიც მოსახლეობის ციფრული უნარების განვითარებას მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს.

✓ ეფექტურობა

ამოცანის განხორციელება დადებითად უნდა შეფასდეს, იმის გათვალისწინებით, რომ 500 საბოლოო სამიზნე მაჩვენებლიდან 300 დასახლების მოცვა მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენს. პანდემიისა და მსოფლიოში მიმდინარე სხვა მოვლენების შედეგად მნიშვნელოვნად გაზრდილმა ხარჯებმა გავლენა იქონია „Log-in Georgia" პროექტის განხორციელების მიმდინარეობასა და ვადებზე, რის გამოც პროექტის განხორციელების ვადა საქართველოს მთავრობის დადგენილებით გაგრძელდა 2027 წლის ჩათვლით, შესაბამისად, აღნიშნული ამოცანის განხორციელებაც ამავე დროით გაგრძელდა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის მიღწევა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2022 წლიდან, „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა"

წარმატებით განხორციელდა 20 სამიზნე მუნიციპალიტეტში. პროგრამით დაიფარა 300 სოფელი/დასახლება, ჯამში, ჩატარდა 800-მდე ტრენინგი და გადამზადდა 10,000-ზე მეტი ადგილობრივი ბენეფიციარი.

- ✓ გავლენა

ციფრული წიგნიერების პროგრამების განხორციელებას მრავალმხრივი სოციალური და ეკონომიკური გავლენა აქვს. პირველ რიგში, იზრდება მოსახლეობის ჩართულობა ციფრულ გარემოში, რაც ამცირებს ინფორმაციულ და ტექნოლოგიურ იზოლაციას, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. აღნიშნული ხელს უწყობს განათლების, დასაქმებისა და საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ასევე ეკონომიკური აქტივობის ზრდას. ციფრული უნარების განვითარება ქმნის წინაპირობას მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად, რადგან მეწარმეები უფრო აქტიურად იყენებენ ციფრული კომუნიკაციის საშუალებებს. გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნული პოლიტიკა აძლიერებს ქვეყნის ციფრულ მდგრადობას, ხელს უწყობს ინოვაციების გავრცელებას და ქმნის უფრო ინკლუზიურ, თანამედროვე და ტექნოლოგიურად განვითარებულ საზოგადოებას.

„Log-in Georgia“ პროექტის ფარგლებში „ფართოზოლოვანი განვითარების ეროვნული სტრატეგიის“ ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო ციფრული ცნობიერების ამაღლებას, ინტერნეტის მიზნობრივი და უსაფრთხო გამოყენების გავრცელებას, რეგიონებში ციფრული ჩართულობის ზრდას და ადგილობრივი ბენეფიციარებისთვის ციფრული შესაძლებლობების გაფართოებას. პროგრამამ შექმნა მნიშვნელოვანი საფუძველი, რათა ადგილობრივმა მეწარმეებმა უკეთ გამოიყენონ ონლაინ პლატფორმები, ელექტრონული სერვისები და ციფრული კომუნიკაციის საშუალებები.

მნიშვნელოვანია, რომ ამოცანის შედეგები მდგრადობის პოტენციალს ინარჩუნებს, რადგან ციფრული უნარების განვითარება და ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა კვლავ აქტუალურია. აღნიშნული მიმართულება გაგრძელდება 2025–2030 წლების ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სტრატეგიისა და 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

3 ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ფინანსური სექტორის გაძლიერება და შედეგად, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. სტრატეგიის შემუშავების ეტაპზე, სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად განისაზღვრა **მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენების ზრდა**.

ფინანსური რესურსები და მათზე ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ბიზნესისთვის მიზნების მიღწევის პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ფინანსების ხელმისაწვდომობა და დაფინანსება თამაშობს ძირითად როლს მეწარმეობის განვითარებაში. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების, დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება და ფინანსური განათლების დონის ამაღლება.

აღნიშნული მიმართულებით, ერთ-ერთი პრიორიტეტია მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენების ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ, ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი სააგენტოების მიერ აქტიურად განხორციელდა არსებული სახელმწიფო პროგრამების პერიოდული განახლება და მათი მუდმივი განვითარება, რითაც სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები პირდაპირ პასუხობდა იმ გამოწვევებს, რომლებიც ბაზარზე არსებობდა და ზღუდავდა მცირე და საშუალო საწარმოების წვდომას ფინანსურ რესურსებზე.

მესამე პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულების და დასახული მიზნის მიღწევის გავლენის მაჩვენებლად განსაზღვრულია **მცირე და საშუალო საწარმოების ინვესტიციების მაჩვენებელი ფიქსირებულ აქტივებში.**

2024 წელს, ბიზნეს სექტორში ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში 6,488.9 მილიონი ლარი შეადგინა, მათ შორის, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილმა 45.3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან, მას შემდეგ რაც მოგების ახალი მოდელი იქნა შემოღებული, რომელიც გაუნაწილებელი მოგების ნულოვან დაბეგვრას გულისხმობს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილი ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მთლიან მაჩვენებელში გაიზარდა, რომელიც 2017 წელს მხოლოდ 39.2%-ს შეადგენდა. ამდენად, აღნიშნულმა რეფორმამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეინვესტირებას ეკონომიკაში, რაც მცირე და საშუალო საწარმოებზე დადებითად აისახა.

ამოცანა 3.1. სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *შექმნილი ახალი პროდუქტები ან განახლებული არსებული პროდუქტები.*
- *სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებში მონაწილე კომპანიების %-ული მაჩვენებელი, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დაფინანსება არასახელმწიფო წყაროებიდან სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ.*

✓ შესაბამისობა

ამოცანა სრულად შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებებს, როგორიცაა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, მათ შორის ინოვაციური მეწარმეობის და სტარტაპების განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით და მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საკითხი კვლავ რჩება მაღალპრიორიტეტულ მიმართულებად.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დაფინანსების პროგრამები წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ინოვაციური იდეების კომერციალიზაციისა და ტექნოლოგიური ბიზნესების ზრდისთვის, ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოების ბაზრის საჭიროებების მიმართ მოქნილობის და მდგრადობის ზრდის ხელშეწყობისთვის.

სწორედ ამიტომ, სახელმწიფო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები სრულად ასახავს ბაზრის საჭიროებებზე ადაპტაციას და არსებული პოლიტიკის მოქნილობას.

✓ ეფექტურობა

ეფექტურობის კუთხით, პროგრამების განვითარებისა და განახლების მიმართულებით ფიქსირდება მნიშვნელოვანი პროგრესი. სააგენტოების „აწარმოე საქართველოში“, „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ და „სოფლის განვითარების სააგენტოს“ მიერ, 2021-2025 წლებში, ჯამურად, 37 ახალი პროგრამა შეიქმნა, ხოლო არსებული პროგრამები განახლდა. კერძოდ, არსებულ პროგრამებში განხორციელდა 79 ცვლილება. საშუალოდ, წლიურად 7 ახალი პროგრამა შეიქმნა და 15 პროგრამაში შევიდა ცვლილება/განახლდა.

კერძოდ, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ, ცვლილები შევიდა კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის და მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამაში. ასევე, განხორციელდა უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ცვლილებები, საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმისა და მიკრომეწარმეობის პროგრამის მოდიფიკაცია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების

სააგენტოს“ მიერ საგრანტო პროგრამებში დაფინანსებულ ყველა სტარტაპს აქვს შესაძლებლობა მოიზიდოს არასახელმწიფო წყაროებიდან დამატებითი დაფინანსება და ინვესტიცია. ამასთან, ყველა დაფინანსებული სტარტაპი (თანადაფინანსების საგრანტო პროგრამის სქემის ფარგლებში) წარმოადგენს 10%-ის ოდენობით სხვა წყაროებიდან მიღებულ ფულად რესურსს. სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელშიც საგრანტო პროგრამებში მონაწილე 204 ბენეფიციარი კომპანია გამოიკითხა, 102-მა კომპანიამ (50%) აღნიშნა, რომ მოიზიდა დამატებითი გარე კაპიტალი. თანადაფინანსების საგრანტო პროგრამებისა და ინოვაციების თანადაფინანსების საგრანტო პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული სტარტაპების მიერ მოზიდული ინვესტიციების საერთო მოცულობამ 345 მლნ. ლარი შეადგინა[20].

„სოფლის განვითარების სააგენტოს“ მიერ პროექტების/პროგრამების ეფექტურობის გაზრდის ჭრილში, შეიქმნა 14 ახალი პროექტი/პროგრამა[21] და ამასთან, 15 პროექტში/პროგრამაში შევიდა 50-ზე მეტი ცვლილება. აღსანიშნავია, რომ ფულად რესურსებზე წვდომის ოპტიმიზაციისთვის, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში შევიდა არაერთი ცვლილება, რამაც გამოიწვია ბენეფიციართა აქტიურობის ზრდა და მეტი ფინანსური რესურსის ინექცია სოფლის მეურნეობის და ზოგადად სოფლის განვითარებაში.

ყოველივე კი ცხადად მიუთითებს სააგენტოების მხრიდან ბიზნესის საჭიროებების მიმართ დროულ რეაგირებასა და ეფექტურობაზე.

✓ გავლენა

გავლენის თვალსაზრისით, ყველა ძირითადი პროგრამის ფარგლებში სამიზნე მაჩვენებლები შესრულებულია გადაჭარბებით, რაც მიუთითებს მათ მაღალ ეფექტიანობაზე. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამები, როგორიცაა ფინანსური მხარდაჭერის მრავალფეროვანი მექანიზმები (პროცენტის თანადაფინანსება, საკრედიტო გარანტიები და სხვა), ხელს უწყობს ბიზნესების ფინანსურ მდგრადობასა და ზრდას.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მიკრო გრანტების კომპონენტი ჩანაცვლდა მიკრომეწარმეობის

[20] შენიშვნა: „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ 2025 წელს განხორციელებული კვლევა;

[21] შემოშვნა: ახლად შექმნილი პროექტები/პროგრამები: ბიო წარმოება და მწვანე ტექნოლოგიები; მეწარმე ქალების გაძლიერება; კოოპერირების ხელშეწყობა; მაღალმთიან დასახლებებში მეწარმეობის განვითარება; პირველადი წარმოების განვითარება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და მექანიზაციით უზრუნველყოფა; რეგიონებში არასასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარების ხელშეწყობა; პროექტების ტექნიკური მხარდაჭერა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბრენდირება და უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა; გადამამუშავებელი და შემნახველი ინფრასტრუქტურა.

ხელშეწყობის ახალი პროგრამით, რომელიც შეღავათიანი პირობებით მიკრო სესხების გაცემას ითვალისწინებს.

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ პროგრამები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტარტაპ ეკოსისტემის გაძლიერებას, კერძო ინვესტიციების მობილიზაციას და ინოვაციური ბიზნესების მასშტაბირებას. 2025 წლისთვის, 345 მლნ. ლარის მოზიდული ინვესტიცია ნიშნავს, რომ ეკოსისტემა გადავიდა თვითკმარობის ეტაპზე და აღარ არის დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო გრანტებზე, ხოლო საერთაშორისო სერტიფიცირების მქონე 340 სპეციალისტი კი ქვეყნის ეკონომიკისთვის მუდმივ აქტივს წარმოადგენს.

ამდენად, სააგენტოების მიერ დანერგილი ფინანსური მხარდაჭერის მრავალფეროვანი მექანიზმები (პროცენტის თანადაფინანსება, საკრედიტო გარანტიები და სხვა) ხელს უწყობს და პირდაპირ გავლენას ახდენს ბიზნესების ფინანსურ მდგრადობასა და ზრდაზე.

ამოცანა 3.2. დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *ლიზინგის პორტფელის მოცულობა.*
- *ფაქტორინგის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო.*

✓ შესაბამისობა

ლიზინგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გაჩენის თვალსაზრისით. ლიზინგი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტია.

ბოლო წლების განმავლობაში, ლიზინგი ხდება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დაფინანსების ალტერნატიული გზა, ვინაიდან, უმეტეს შემთხვევაში, დამატებითი უზრუნველყოფის საგნის მოთხოვნა არ ხდება, რადგან თავად ლიზინგით გაცემული აქტივი ასრულებს გირაოს როლს. 2025 წლისთვის, ლიზინგის პორტფელის მოცულობა საბაზისო წელთან შედარებით (471.7 მლნ. ლარი) გაორმაგდა (ზრდა 104%-ით) და 961.9 მლნ. ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ მოძრავი ქონების გირავნობის რეესტრის მოდერნიზება და შეტყობინებაზე დაფუძნებული რეესტრის სისტემის შექმნა პირდაპირ პასუხობს მცირე და საშუალო მეწარმეობის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საჭიროებას. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ბიზნეს სექტორის

განვითარების მიზნით, განხორციელდა მოძრავი ქონების გირავნობის რეესტრის სისტემური მოდერნიზება.

აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების, კერძოდ, ფინანსური გირავნობის, იპოთეკური ობლიგაციების და ლიზინგის ეფექტურ ფუნქციონირებას. მიუხედავად იმისა, რომ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ იპოთეკური ობლიგაციების რეგისტრაციისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა დადგენილ ვადებში შემუშავებულია, ამ ეტაპზე, აღნიშნული ინსტრუმენტი პრაქტიკაში არ გამოიყენება, რაც განპირობებულია შესაბამის სერვისზე მოთხოვნის არარსებობით. შესაბამისად, განცხადებების არარსებობის გამო, ტრანზაქციები ამ დრომდე არ განხორციელებულა. სისტემის ადაპტირებულობას თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან განაპირობებს მჭიდრო კოორდინაცია ეროვნულ ბანკთან და რეგისტრაციის გამარტივებული, შეტყობინებაზე დაფუძნებული ფორმატის დანერგვა.

ფაქტორინგის სამართლებრივი ჩარჩოს განვითარება შესაბამისობაშია სტრატეგით გათვალისწინებულ მიზნებთან და ამოცანებთან და ხელს უწყობს ქვეყანაში დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების გაძლიერებას. ამოცანის ფარგლებში, ფაქტორინგის განვითარებისათვის გაწეული ძალისხმევა თანხვედრაშია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საჭიროებებთან. ფაქტორინგს შეუძლია შეამციროს კომპანიების დამოკიდებულება ტრადიციულ საბანკო სესხებზე და გააფართოვოს ფინანსურ ბაზრებზე არსებული კონკურენცია.

შესაფასებელ პერიოდში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ფაქტორინგის შესახებ“[22] კანონი. ფაქტორინგი კომპანიებს საშუალებას აძლევს დებიტორული დავალიანებიდან წინსწრებით მიიღონ შემოსავალი და ამით დაიკმაყოფილონ მოკლევადიანი სამუშაო კაპიტალის საჭიროება. ფაქტორინგის გამოყენებით კომპანიებს შეუძლიათ მართონ ფულადი ნაკადები და არ იყვნენ დამოკიდებულნი მხოლოდ დაფინანსების ტრადიციულ წყაროებზე. აღნიშნული ინსტრუმენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც ხშირად აწყდებიან საბანკო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემას, რაც უმეტესწილად განპირობებულია კომპანიების არასაკმარისი უზრუნველყოფით. საბანკო კრედიტისაგან განსხვავებით, ფაქტორინგული კომპანია აფასებს დებიტორული დავალიანების ხარისხს, რაც ბიზნესს უზრუნველყოფის წარმოდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს და უმარტივებს ფინანსურ რესურსებზე წვდომას.

ამოცანის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილი იყო ვენჩერული და კერძო საინვესტიციო ფონდების გაძლიერებისაკენ მიმართული ღონისძიებები. საინვესტიციო ფონდების ბაზრის დივერსიფიკაცია და მისი შემდგომი გაღრმავება შეესაბამება როგორც ქვეყნის,

[22] საქართველოს კანონი „ფაქტორინგის შესახებ“, 2026წ.;
იხ. ბმული: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6825189?publication=0

ასევე ბენეფიციარების საჭიროებებს. ბაზარზე კერძო კაპიტალის ფონდებისა და ვენჩერული ფონდების მასტიმულირებელი მექანიზმების დანერგვით შესაძლებელი გახდა მეწარმეებისათვის დაფინანსების წყაროების გაზრდა. 2022 წლიდან, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“, როგორც შეზღუდული პარტნიორი, მონაწილეობს ვენჩერულ საინვესტიციო ფონდ „500 Georgia“-ში. აღნიშნული ფონდი წარმატებით ახორციელებს ინოვაციურ და ტექნოლოგიურ სექტორში სტარტაპებისათვის საწყისი კაპიტალის მიწოდებას. 2023-2025 წლებში, ჯამურად, ფონდში გადარიცხული თანხა 9,254,962 ლარს შეადგენს. სტარტაპ აქსელერაციის პროგამაში მონაწილე კომპანიებს „500 Global“-ი ასევე უწევს სხვადასხვა მომსახურებას, რაც მიმართულია მათ ზრდასა და განვითარებაზე. კერძო საინვესტიციო ფონდების შემთხვევაში, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში შემუშავდა საინვესტიციო ფონდების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს ორ მიმართულებას: საინვესტიციო ფონდის საქმიანობის ხელშემწყობ მექანიზმებსა და საინვესტიციო ფონდების კაპიტალში ინვესტირებას. აღნიშნული პროგრამის ამოქმედება დაგეგმილია 2026 წელს და ის მიმართული იქნება მცირე და საშუალო საწარმოების ზრდაზე ორიენტირებული კერძო კაპიტალის ფონდების დაფუძნების ხელშეწყობისაკენ. აღნიშნული პროგრამის ამოქმედება შესაბამისობაშია გრძელვადიან სტრატეგიულ მიზანთან, რაც ითვალისწინებს ქვეყანაში საინვესტიციო ფონების დივერსიფიცირებული ბაზრის ფორმირებას.

შესაფასებელ პერიოდში ამოცანის ფარგლებში ასევე განსაზღვრული იყო სახალხო დაფინანსების (crowdfunding) ინსტრუმენტის დანერგვასთან დაკავშირებული ღონისძიებები. 2025 წლის აპრილიდან საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების ლაბორატორიის ფარგლებში გამოცხადდა სახალხო დაფინანსების მოდელთან მიმართებით განცხადებების მიღება და ინტერესი ორმა კომპანიამ გამოხატა. სახალხო დაფინანსების ინსტრუმენტის დამკვიდრებით ქვეყანაში გაჩნდება დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებზე წვდომის დამატებითი შესაძლებლობა.

✓ ეფექტურობა

შეტყობინებაზე დაფუძნებული რეესტრის ფორმირება და იპოთეკური ობლიგაციების აქტივების რეგისტრაციის მექანიზმის დანერგვა წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის ფუნდამენტურ ფინანსურ ინსტრუმენტს.

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ, ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფს მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე უფლებათა რეგისტრაციის პროცესის სრულ ოპტიმიზაციას.

აღნიშნული ტრანსფორმაციის ეფექტიანობას რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი განაპირობებს: ადმინისტრაციული ბარიერების შემცირება და რეგისტრაციის

პროცედურების გამარტივება პირდაპირპროპორციულად ზრდის გადაწყვეტილების მიღების სისწრაფეს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ფინანსური ინსტრუმენტების დივერსიფიკაციას. რეფორმის ეფექტიანობა ვლინდება არა მხოლოდ ტექნიკურ გამართულობაში, არამედ მის ეკონომიკურ ზეგავლენაში: სისტემის მოდერნიზება პირდაპირ პასუხობს ლოგიკური ჩარჩოთი განსაზღვრულ მიზანს, რაც გულისხმობს კერძო სექტორისთვის ფინანსური რესურსების მობილიზების პროცესის გამარტივებასა და სტიმულირებას.

ამოცანის ფარგლებში, ფაქტორინგის სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებისათვის გაწეული ძალისხმევა ეფექტურად უნდა შეფასდეს, ვინაიდან პროცესი წარმატებით დასრულდა და შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. რაც შეეხება უშუალოდ კანონის მიღებიდან გამომდინარე პრაქტიკულ შედეგებს, ამ ეტაპზე მათი შეფასება არაჯეროვანი იქნება, რადგან კანონი სულ ახლახან იქნა მიღებული.

კერძო კაპიტალის ფონდების განვითარებისათვის გაწეული ძალისხმევა მეტწილად ეფექტურად უნდა შეფასდეს, რადგან შესაფასებელი პერიოდის ბოლოს უკვე შემუშავებულია საინვესტიციო ფონდების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა და მისი ამოქმედება 2026 წლის განმავლობაში იგეგმება. თუმცა, რეალური ეფექტის შეფასება მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როდესაც პროგრამით პირველი ბენეფიციარები ისარგებლებენ. რაც შეეხება ვენჩერული საინვესტიციო ფონდების ბაზრის გააქტიურებისაკენ მიმართულ ძალისხმევას, აღნიშნული ეფექტურად უნდა შეფასდეს, რადგან სწორედ შესაფასებელ პერიოდში დაფუძნდა სახელმწიფოს მხარდაჭერით პირველი ვენჩერული საინვესტიციო ფონდი. ფონდის დაარსებიდან მომდინარე სარგებელი პირდაპირ აისახება ქვეყნის სტარტაპ ეკოსისტემაზე და იმ კომპანიებზე, რომლებშიც ფონდი ახორციელებს ინვესტირებას.

✓ გავლენა

შეტყობინებაზე დაფუძნებული რეესტრის ფორმირებისა და იპოთეკური ობლიგაციების აქტივების რეგისტრაციის მექანიზმის დანერგვის პოლიტიკის განხორციელებამ თვისებრივად შეცვალა მდგომარეობა სამიზნე ბენეფიციარი ჯგუფებისთვის. კერძოდ, საჯარო რეესტრის ფუნქციური გაფართოება უზრუნველყოფს უფრო სანდო და მაღალტექნოლოგიური სარეგისტრაციო გარემოს ფორმირებას, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ფინანსური ინსტიტუტების ოპერაციულ ეფექტიანობაზე. გაუმჯობესებული მექანიზმების ფარგლებში, ერთი მხრივ, დაინერგა შეტყობინებაზე დაფუძნებული იპოთეკური ობლიგაციების აქტივების რეგისტრაცია, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკის აქტივების რეგისტრაცია განხორციელდება ფინანსური გირავნობის ანალოგიური, გამარტივებული ფორმატით.

აღნიშნული რეფორმის ძირითადი შედეგი ფინანსური გირავნობის, როგორც ინსტრუმენტის, ხელმისაწვდომობის ზრდასა და მის ტექნიკურ მოქნილობაში გამოიხატება.

ამასთან, ფინანსური გირავნობის გამოყენების მასშტაბს საკრედიტო ურთიერთობებში ნათლად ადასტურებს არსებული სტატისტიკური მონაცემები. კერძოდ, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით ფინანსური გირავნობა სულ დარეგისტრირდა 5,210,626 საკრედიტო მოთხოვნაზე. ამ მოთხოვნებიდან, დღეის მდგომარეობით, გაუქმებულია 4,231,710 ჩანაწერი, ხოლო ძალაში რჩება 978,916 საკრედიტო მოთხოვნაზე რეგისტრირებული ფინანსური გირავნობა.

მოსალოდნელია, რომ ფაქტორინგის შესახებ სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას გრძელვადიანი გავლენა ექნება. ფაქტორინგის კანონის მიღებით ჩამოყალიბდა ფაქტორინგის მომაწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები, ასევე განისაზღვრა ფაქტორინგის მხარეებისა და ფაქტორინგთან დაკავშირებული სუბიექტების უფლებრივი დაცვის მექანიზმები. ამასთან ფაქტორინგის კანონის მიღებთ შეიქმნა მნიშვნელოვანი წინაპირობა ფაქტორინგის რეესტრისა და ფაქტორინგული პლატფორმის დასანერგად. თუმცა, კანონის ამოქმედებიდან გამომდინარე, გავლენის სრულყოფილად შეფასება შესაძლებელი იქნება მხოლოდ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, როდესაც ბაზარზე ფაქტორინგული გარიგებების დადების პრაქტიკული გამოცდილება დაგროვდება.

კერძო კაპიტალის ფონდების განვითარებისათვის გაწეული ძალისხმევის გავლენის შეფასება შესაძლებელი იქნება „საინვესტიციო ფონდების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ პრაქტიკული ამოქმედების შემდეგ. კერძოდ, მაშინ როდესაც სახელმწიფოს მხარდაჭერით ქვეყანაში საქმიანობას დაიწყებს პირველი მსგავსი ტიპის საინვესტიციო ფონდი და მცირე თუ საშუალო ზომის საწარმოებს გაუჩნდებათ მისი მეშვეობით დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებზე წვდომა.

შესაფასებელ პერიოდში ადგილობრივ ბაზარზე ოპერირება დაიწყო პირველმა ვენჩერულმა საინვესტიციო ფონდმა, რომელშიც სახელმწიფო შეზღუდული პარტნიორის სტატუსით არის წარმოდგენილი. აღნიშნული პრაქტიკის დანერგვამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ფონდების შესაძლებლობები, რათა მათ ეფექტურად განახორციელონ საინვესტიციო სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები და პარალელურად, უზრუნველყონ დამატებითი კაპიტალის მოზიდვა. 2023-2025 წლებში „500 Georgia“-ს მიერ როგორც ქართულ, ისე უცხოური კომპანიებისათვის საწყისი კაპიტალისა და საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება პოზიტიურად აისახა მათ ზრდასა და განვითარებაზე.[23]

[23] შენიშვნა: დეტალური ინფორმაცია მოცემულია 3.6 ამოცანის ფარგლებში

ამოცანა 3.3. ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *ტრენინგის მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები და ცოდნა დაეხმარება მათ უკეთესად წარმართონ თავიანთი კომპანიის ფინანსები*
- *საგანმანათლებლო პოსტები ფინანსური განათლების პორტალის სოციალური ქსელით*
- *OECD/INFE კვლევის ანგარიშში მეწარმეთა ფინანსური განათლების არსებული ქულა*

✓ შესაბამისობა

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ფინანსური განათლება კი განიხილება, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩოს განუყოფელი ნაწილი. აღნიშნული გულისხმობს ცნობიერების, ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ქცევების ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია ფინანსურად ჯანსაღი და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად და ფინანსური კეთილდღეობის მისაღწევად.

„ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია - 2023“ დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ფინანსურად განათლებულ მომხმარებლებს უკეთ ესმით ფინანსური საკითხებისა და პროდუქტების არსი; აქვთ ცოდნა, უნარი და რწმენა გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი; იღებენ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს; იციან ვის მიმართონ კონსულტაციის მისაღებად და მოქმედებენ ისე, რომ გაიუმჯობესონ ფინანსური კეთილდღეობის დონე. შედეგად, ფინანსური განათლების დონის ამაღლება მნიშვნელოვანია არა მარტო მომხმარებლისთვის, არამედ ფინანსური სექტორისთვისაც, რამდენადაც მისთვის გაცილებით ხელსაყრელი და ნაკლებად სარისკო იქნება გათვითცნობიერებულ, პასუხისმგებლიან მომხმარებელთან ურთიერთობა“.

შედეგად კი, ქვეყანაში ყალიბდება ჯანსაღი ეკონომიკური გარემო, რომელშიც, როგორც ინდივიდები, ისე ფინანსური სექტორი მოქმედებს გააზრებულად და იღებს ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებში ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა სრულად შეესაბამება როგორც ეროვნული სტრატეგიის მიზნებს, ასევე სამიზნე აუდიტორიის რეალურ საჭიროებებს. ამოცანის საჭიროება ეფუძნებოდა როგორც ადგილობრივ პრაქტიკულ გამოცდილებას

და დაკვირვებას, ასევე საერთაშორისო კვლევით გამოვლენილ გამოწვევებს. კერძოდ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის „ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის“ (OECD/INFE) მიერ 2021 წელს ჩატარებული მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების საერთაშორისო კვლევის შედეგების მიხედვით, რომელშიც 14 ქვეყანას შორის საქართველოც მონაწილეობდა, საქართველოს ფინანსური განათლების ქულამ 17 ქულიანი შკალით 10.3 ქულა (60%) შეადგინა, რაც გამოკითხვაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.

აღნიშნული შედეგი ნათლად მიუთითებდა ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესების საჭიროებაზე. შესაბამისად, სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები მიზნობრივად პასუხობდა გამოვლენილ გამოწვევებს და ორიენტირებული იყო ფინანსური ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებაზე, მათ შორის საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობის, დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობის, ფინანსური უსაფრთხოებისა და სხვა საკითხებში.

✓ ეფექტურობა

ფინანსური განათლების გაუმჯობესების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები უმეტესწილად ეფექტურად შესრულდა და უზრუნველყო დასახული მიზნებისა და ინდიკატორების მიღწევა. ერთ-ერთი აქტივობა იყო საინფორმაციო ვიდეო შეხვედრების ჩატარება, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პორტალის „ფინედუს“ ფეისბუქ გვერდზე პირდაპირ (LIVE) რეჟიმში ხდებოდა. სერიის „საუბრები ბიზნესზე“ ფარგლებში დაგეგმილი იყო 20 ჩართვის განხორციელება, თუმცა რეალურად განხორციელდა მნიშვნელოვნად მეტი ჩართვა. ასევე, სტრატეგიით განსაზღვრული ერთ-ერთი აქტივობა იყო „ფინედუს“ სოციალურ ქსელებში საგანმანათლებლო პოსტების განთავსება, მისი ინდიკატორი კი იყო 90,000 პირზე წვდომა და 9,000 პირის ჩართულობა. 2021-2025 წლებში „ფინედუს“ საინფორმაციო კამპანიებს, რომლებიც მეწარმეების სეგმენტისთვის იყო გათვლილი, ჰქონდა 337,000-მდე წვდომა და 23,000-მდე ჩართულობა.

ამოცანის ფარგლებში განსაზღვრული ინდიკატორები ძირითადად შესაბამისობაში იყო მიზნებთან. თუმცა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელიც OECD/INFE-ის კვლევაში მეწარმეთა ფინანსური განათლების არსებული ქულის გაუმჯობესებას ითვალისწინებდა, მოცემულ პერიოდში ვერ შეფასდა OECD/INFE-ის მიერ შესაბამისი კვლევის არ ჩატარების გამო. შესაბამისად, ეფექტიანობის შეფასება ხდებოდა სხვა ინდიკატორების საფუძველზე, მათ შორის მონაწილეთა უკუკავშირის, pre და post შეფასებებისა და ციფრული პლატფორმების გამოყენების მონაცემების მიხედვით.

მნიშვნელოვანია, რომ აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ხასიათდებოდა მოქნილობითა და გარემო პირობებთან ადაპტაციის მაღალი უნარით, რაც უზრუნველყოფდა მათ შესაბამისობას სამიზნე აუდიტორიის საჭიროებებთან. მაგ:

ვიდეო შეხვედრების ჩატარებამდე, განსაზღვრული იყო ტრენინგების ჩატარება, თუმცა პანდემიის პირობებში აღნიშნული აქტივობის ადაპტაციის საჭიროება დადგა. პირდაპირი ჩართვების არსებობიდან დროთა განმავლობაში შეიცვალა სამიზნე აუდიტორიის ქცევა და შემცირდა ონლაინ ფორმატების ეფექტიანობა. აღნიშნულის საპასუხოდ, განხორციელდა აქტივობების შემდგომი ადაპტაცია - პირდაპირი ჩართვების სერია ეტაპობრივად ჩანაცვლდა ვიდეოკონტენტით და განახლდა ტრენინგების ფორმატი. მიუხედავად ამისა, ტრენინგების მიმართულებით გამოვლინდა გამოწვევა, რომელიც დაკავშირებულია მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ჩართულობის სირთულესთან, რაც ზღუდავს ამ მიმართულების მასშტაბს. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ვიდეოკონტენტის განვითარებაზე, რომლის თემატიკა განისაზღვრება საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის OECD/INFE-ს მიერ შემუშავებული კომპეტენციათა ჩარჩოებისა და კვლევების საფუძველზე.

საერთო ჯამში, ცალკეული გამოწვევების მიუხედავად, ამოცანის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ფასდება როგორც ეფექტური, რაც განპირობებულია როგორც დასახული ინდიკატორების მიღწევით, ისე გარემო პირობებზე დროული და შესაბამისი რეაგირებით.

✓ გავლენა

შუალედურ შეფასებებზე (pre და post ტესტები, უკუკავშირები, ჩართულობის მაჩვენებლები) დაყრდნობით, იკვეთება პოზიტიური ტენდენციები ფინანსური ცოდნისა და დამოკიდებულებების გაუმჯობესების მიმართულებით, განსაკუთრებით იმ აუდიტორიასთან, რომლებთანაც პირდაპირი წვდომა მოხდა. თუმცა, ქვეყნის ფინანსური განათლების ქულის ცვლილება ამ პერიოდში ვერ შეფასდა და საერთო დონის ცვლილების განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა გლობალურია და მისი განხორციელების პერიოდულობა დამოკიდებულია ინიციატორ მხარეზე.

გრძელვადიან პერსპექტივაში, ფინანსურ განათლებაზე უწყვეტი მუშაობა ხელს უწყობს ფინანსურად უფრო ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი საზოგადოების ფორმირებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც ფინანსური სექტორის მდგრადობის, ისე ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვისაც და ამ მიმართულებით საქათველოს ეროვნული ბანკი „ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის“ (2023) ფარგლებში აგრძელებს მუშაობას.

ამოცანა 3.4. გირავნობის საგნის გაფართოება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *რეგისტრირებული მიწების ფართობი.*
- *სესხები უძრავი ქონების უზრუნველყოფით.*

✓ შესაბამისობა

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან ქვეყნის მასშტაბით 59 მუნიციპალიტეტში განხორციელებული მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა 2025 წლის 31 დეკემბერს წარმატებით დასრულდა. რეფორმის ფარგლებში სახელმწიფომ მოსახლეობისთვის უსასყიდლოდ აზომა და დაარეგისტრირა როგორც საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული, ისე თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები. ამასთან, მასშტაბური საინფორმაციო კამპანია, დაინტერესებული პირების ინფორმირება და საკადასტრო აღწერის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება უწყვეტად მიმდინარეობდა.

განხორციელებული აქტივობები პირდაპირ პასუხობს გამოწვევებს, რომლებიც რეფორმის განხორციელებამდე არსებობდა. კერძოდ, საკადასტრო მონაცემები არასრულყოფილი იყო, ხოლო მიწის ნაკვეთების სამართლებრივი სტატუსი, ხშირ შემთხვევაში, დაუზუსტებელი რჩებოდა. შედეგად, მოწესრიგდა საკადასტრო მონაცემები, დაზუსტდა მიწის ნაკვეთების სტატუსი და გაუმჯობესდა საკუთრების უფლების დაცულობა.

საბოლოო ჯამში, რეფორმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები საკუთრების უფლების რეალიზაციასთან ერთად, შეესაბამება პოლიტიკის მიზანს - მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენების ხელშეწყობას.

✓ ეფექტურობა

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ განხორციელებული მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა, მისი მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, მაღალი ეფექტურობით ხასიათდება. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის შედეგად, აიზომა 2,121,081 მიწის ნაკვეთი (ჯამური ფართობით 1,110,250 ჰა) და ქვეყნის საკადასტრო დაფარულობამ 95%-ს გადააჭარბა. ამასთან, საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ფართობი 3,422,380 ჰა-ს შეადგენს, აქედან 59 მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მაჩვენებელი - 3,371,827 ჰა. შესაბამისად, საკადასტრო და უფლებრივი მონაცემების სრულყოფის შედეგად, მნიშვნელოვნად შეეწყო ხელი გირავნობის საგნის გაფართოებას. უნდა

აღინიშნოს, რომ განხორციელებული რეფორმა დროული პასუხია პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებზე.

- ✓ გავლენა

განხორციელებულმა რეფორმამ მრავალმხრივი გავლენა მოახდინა სხვადასხვა ბენეფიციარ ჯგუფზე, რაც უპირველეს ყოვლისა, აისახა მოსახლეობისთვის მიწის რეგისტრაციის სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდასა და მათი საკუთრების სამართლებრივი დაცვის გარანტიების განმტკიცებაში. საკუთრების უფლების ლეგიტიმაცია ქმნის მყარ საფუძველს საინვესტიციო კაპიტალის მოსაზიდად და ინფრასტრუქტურული პროექტების ინიცირებისთვის, რაც ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და პროგრესის წინაპირობაა.

რეფორმის წარმატებულ განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში წარმოებულმა კომპლექსურმა საინფორმაციო კამპანიამ, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა საზოგადოების ცნობიერება და უზრუნველყო მოქალაქეთა მაღალი ჩართულობა მიმდინარე პროცესებში.

აღსანიშნავია, რომ მიწის სისტემური რეგისტრაციის ქართულმა მოდელმა მაღალი აღიარება მოიპოვა საერთაშორისო დონეზე. მსოფლიო ბანკის მისიის შეფასებით, გამოყენებული მეთოდოლოგია და ტექნოლოგიური გადაწყვეტები მსოფლიო მასშტაბით სამაგალითოა და სააგენტოს აქვს მაღალი პოტენციალი იმისთვის, რომ სხვა ქვეყნებს ექსპერტული მხარდაჭერა გაუწიოს.

ამოცანა 3.5. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებელი.*
- *ტრენინგების და გადამზადებული პირების რაოდენობა.*
- *გადამზადებული ბუღალტერების %-ული წილი, რომელთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არის გაუმჯობესებული ხარისხის.*

- ✓ შესაბამისობა

მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდის ფარგლებში დასახული მიზნები სრულად ინარჩუნებს აქტუალობას, რადგან გამჭვირვალობის ზრდა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უცვლელი პრიორიტეტია და პირდაპირ პასუხობს ბენეფიციარების ფუნდამენტურ საჭიროებას —

მოიპოვონ და შეინარჩუნონ სანდო რეპუტაცია ბაზარზე. აქტივობები ზუსტად პასუხობს გამოვლენილ პრობლემას (დაბალი ხარისხის ან დაგვიანებით წარდგენილი ანგარიშგებები) და ორგანულად არის მორგებული რეფორმის ზოგად კონტექსტსა და მომავალ განვითარების სტრატეგიასთან. პოლიტიკა ითვალისწინებს ბაზრის ცვალებად საჭიროებებს, რაც ვლინდება მუდმივი კომუნიკაციისა და მხარდაჭერის მექანიზმების არსებობაში.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში მომუშავე ბუღალტრების, ფინანსისტების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი აქტუალური გახდა 2018 წლიდან, როდესაც მცირე და საშუალო საწარმოებს (SMEs) პირველად დაევალათ ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა „მსს ფასს“ (IFRS for SMEs) შესაბამისად. ვინაიდან მანამდე მსგავსი ვალდებულება არ არსებობდა, რეფორმამ პირდაპირ უპასუხა ბენეფიციარების უმთავრეს საჭიროებას - კვალიფიციური კადრებისა და მეთოდოლოგიური რესურსების დეფიციტს. რეფორმა დინამიურად პასუხობს შეცვლილ გარემოებებს, რაც დასტურდება იმით, რომ 2025 წელს „ფასს ფონდის“ მიერ „მსს ფასს“ განახლებისთანავე, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა ოპერატიულად უზრუნველყო განახლებული სტანდარტის და დაკავშირებული სახელმძღვანელო მასალების ქართულ ენაზე თარგმნა და ახალი ტრენერთა ტრენინგის პროექტის ინიცირება. ეს ადასტურებს, რომ ანგარიშგების მიმართულებით რეფორმა არა მხოლოდ წარსულ საჭიროებებს, არამედ სამომავლო გლობალურ პრიორიტეტებსაც სრულად ფარავს.

კომპანიების მიერ ხარისხობრივად გაუმჯობესებული წარდგენილი ანგარიშგებების საკითხი უაღრესად აქტუალურია, რადგან რეფორმის წარმატებისთვის მხოლოდ ანგარიშგების ტექნიკური წარდგენა არ არის საკმარისი. რეფორმა ორიენტირებულია ფინანსური ინფორმაციის სისწორეზე, რაც საწარმოთა ძირითადი მოთხოვნაა. ვინაიდან მესამე კატეგორიის საწარმოების მიერ წარდგენილი ანგარიშგებები არ საჭიროებს სავალდებულო აუდიტს, მთელი პასუხისმგებლობა უშუალოდ ბუღალტრებზე გადადის. შესაბამისად, რეფორმა ზუსტად პასუხობს ბაზრის დინამიკას და ემსახურება ფინანსური სექტორის ნდობის გაუმჯობესებასა და გაზრდას. რეფორმა მორგებულია ქვეყნის საჭიროებებზე, რათა ბუღალტრების მიერ მომზადებული დოკუმენტაცია იყოს სარწმუნო წყარო ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის, რაც სრულ თანხვედრაშია სამომავლო განვითარების სტრატეგიასთან.

✓ ეფექტურობა

ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებლის თვალსაზრისით, მიზნები მიღწეულია დროულად და ხარისხიანად, რასაც ადასტურებს წარდგენის მაჩვენებლის სტაბილური მაჩვენებელი 94%-მდე. ეს წარმატება განპირობებულია მასშტაბური ონლაინ და რეგიონალური ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებით, რომლებიც რეგულარულად

ტარდება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. აღნიშნულ შეხვედრებზე დეტალურად განიხილება წარდგენის პროცესთან დაკავშირებული ყველა პროცედურული თუ შინაარსობრივი საკითხი. ეფექტურობის კიდევ ერთი დასტურია სამსახურის მიერ 2024-2025 წლებში განხორციელებული მიმოხილვა, რომლის ფარგლებშიც სიღრმისეულად შემოწმდა 450-მდე „მსს ფასს“ მომზადებული ანგარიშგება უშუალოდ სტანდარტთან შესაბამისობის კუთხით. სამომავლოდ სამსახური გეგმავს კიდევ უფრო ინტენსიურ აქტივობებს, ღონისძიებების რაოდენობის ზრდას და მეტი რეგიონის მოცვას, რაც გამორიცხავს მიზნების მიუღწევლობის რისკებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში მომუშავე ბუღალტრების, ფინანსისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებული ტრენინგები მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება. მრავალწლიანი ToT (ტრენერთა ტრენინგის) პროგრამის ფარგლებში, რომელიც 2018-2022 წლებშიც აქტიურად მიმდინარეობდა, ჯამში ჩატარდა 59 ტრენინგი და გადამზადდა 1400-ზე მეტი პირი. რესურსების ოპტიმალური გამოყენების შედეგად, მიზნების მიღწევა მოხდა დროულად და ხარისხიანად. აღსანიშნავია, რომ 2026 წლისთვის სამსახურს უკვე დაგეგმილი აქვს ახალი აქტივობები, კერძოდ, განახლებულ სტანდარტთან დაკავშირებული ToT ღონისძიებები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ რეფორმის ეფექტები გრძელვადიანია და სისტემა მუდმივად მზადყოფნაშია უპასუხოს ამოცანებს.

პოზიტიური ტენდენციებია ხარისხობრივად გაუმჯობესებული წარდგენილი ანგარიშგებების მაჩვენებლის თვალსაზრისითაც. დასახული მიზნები მიღწეულია დადგენილ ვადებში და შედეგები თვალსაჩინოა. კერძოდ, გადამზადებული ბუღალტრების მიერ წარდგენილი გაუმჯობესებული ანგარიშგებების წილი 72%-დან 80%-მდე გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ გადამზადებული კადრების აბსოლუტური უმრავლესობა დოკუმენტაციას პრაქტიკულად უხარვეზოდ წარადგენს. გამოვლენილი ეფექტები (ხარისხის ზრდა) ზუსტად პასუხობს დასახულ ამოცანებს და რესურსების ოპტიმალური გამოყენების შედეგად, მიღწეულია ის ხარისხობრივი ნიშნული, რაც დაგეგმილი იყო რეფორმის საწყის ეტაპზე.

✓ გავლენა

პოლიტიკის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა ბიზნესის დამოკიდებულება ანგარიშვალდებულების მიმართ, რამაც საზოგადოებისა და ბენეფიციარი ჯგუფებისთვის (ინვესტორები, კრედიტორები) შექმნა უფრო პროგნოზირებადი და უსაფრთხო გარემო. სამომავლო გეგმები, რომლებიც უფრო სიღრმისეულ და მასშტაბურ მიმოხილვებს ითვალისწინებს, კიდევ უფრო გააძლიერებს პოლიტიკის პოზიტიურ ეფექტს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის. საბოლოო ჯამში, გავლენა ვლინდება გამჭვირვალე ფინანსური მონაცემების საჯარო ხელმისაწვდომობასა და მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდაში,

რაც სრულ თანხვედრაშია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან ხედვასთან.

რეფომის განხორციელების შედეგად ქვეყანაში ჩამოყალიბდა ცოდნის გადაცემის მდგრადი ინსტიტუციური სისტემა, რომელმაც ფუნდამენტურად შეცვალა პროფესიული მომზადების დონე მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორში „მსს ფასს“ კუთხით. ამ მიმართულებით არსებული სახელმწიფო პოლიტიკისა და სამომავლო გეგმების თანხვედრა უზრუნველყოფს იმას, რომ რეფორმის გავლენა იყოს შეუქცევადი და მზარდი, რაც ქვეყნის ფინანსური გამჭვირვალობის ხარისხს ახალ საფეხურზე აიყვანს.

რეფორმის სამიზნე ეფექტი არის ის, რომ მაღალი ხარისხის ანგარიშგება საწარმოებისთვის გახდეს არა დამატებითი ადმინისტრაციული ტვირთი, არამედ რეალური ინსტრუმენტი ფინანსებზე წვდომის გასამარტივებლად და ბიზნესის გამჭვირვალობის დასადასტურებლად.

ამოცანა 3.6. „VENTURE CAPITAL” (VC) და „BUSINESS ANGELS” ეკოსისტემის შემდგომი განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *ინვესტიციები „VC” და „BUSINESS ANGELS” ფონდებიდან წლიურად.*

✓ შესაბამისობა

„საქართველოს განვითარების სტრატეგია 2030“-ში აღნიშნულია, რომ „Venture Capital (VC)“[24] და „Business Angels“[25] ეკოსისტემის შემდგომი განვითარება, შესაძლებლობას მისცემს ქართულ სტარტაპებს, მიიღონ უფრო მეტი დაფინანსება ადრეულ ეტაპზე მათი განვითარებისთვის, რაც ასევე შექმნის მიმზიდველ გარემოს უცხოელი ინვესტორების მოზიდვისთვის.

ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს როლი, რომლის მისიაა ქვეყანაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო ეკოსისტემის ჩამოყალიბება, ცოდნისა და ინოვაციების კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ინოვაციური და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გამოყენების სტიმულირება და

[24] Venture Capital (VC) - ახალ საწარმოში ან საწარმოს გაფართოების მიზნით მაღალი რისკის შემცველ ბიზნესპროექტში ინვესტიცია, რომელიც ჩვეულებრივ აქციათა პაკეტის მნიშვნელოვანი წილის ინვესტორის საკუთრებაში გადასვლის სანაცვლოდ ხორციელდება.

[25] Business Angel - ფიზიკური პირი, კარგი ფინანსური შესაძლებლობებით, რომელიც აბანდებს პირად კაპიტალს, დამწყებ კომპანიებში, სარისკო ბიზნესის განვითარებაში, კაპიტალის წილის სანაცვლოდ.

ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების ფარგლებში სააგენტო უზრუნველყოფს კერძო ინვესტორების და ვენჩურული კაპიტალის ბაზრის გაძლიერებას. აღნიშნული მიმართულება აუცილებელია სტარტაპების ადრეული და ზრდის ეტაპის დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

- ✓ ეფექტურობა

საქართველოში რეგისტრირებულ სტარტაპებში ინვესტირების, ინოვაციების მხარდაჭერისა და შემდგომი განვითარების მიზნით, „500 Global"-ის მიერ, საქართველოში დაფუძნდა ვენჩურული ფონდი „500 Georgia", რომელთანაც სააგენტომ ხელშეკრულება 2022 წელს გააფორმა. ფონდის მაქსიმალური სამიზნე მოცულობა 20 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, სადაც სააგენტო 5 მლნ. დოლარით მონაწილეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობის ფარგლებში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 4 წლის განმავლობაში, აქსელერაცია გაიარა 80-მა ადგილობრივმა და საერთაშორისო სტარტაპმა. ჯამურად 7 რაუნდის ფარგლებში აქსელერაციაზე მიღებულ იქნა 2,775 აპლიკაცია. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ 2025 წლის მონაცემებით, ვენჩერული ფონდის მიერ 59 სტარტაპში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობამ 5.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ანგელოზ ინვესტორთა ქსელის პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში ანგელოზ ინვესტორთა ქსელის ფორმირების ხელშეწყობას, რაც ადგილობრივი სტარტაპებისთვის pre-seed და seed ეტაპებზე დაფინანსებაზე წვდომის დამატებითი შესაძლებლობების შექმნასა და ანგელოზ ინვესტორთა ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. საქართველოში ანგელოზ ინვესტორთა ერთადერთი ქსელია „შპს საქართველოს ანგელოზი ინვესტორების ქსელი". სამი წლის განმავლობაში აქსელმა 25 ღონისძიება განახორციელა, რის შედეგადაც 18 სტარტაპმა ანგელოზ ინვესტორებისგან დაფინანსება მოიზიდა - მათ შორის 12 თანადაფინანსების საგრანტო პროგრამის ბენეფიციარია. მოზიდული ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ 617,000 აშშ დოლარი შეადგინდა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მიმართულებით არაერთი შეხვედრა ჩატარდა, რომელის მიზანი იყო სტარტაპებსა და პოტენციურ ინვესტორებს შორის პირდაპირი კომუნიკაციის ხელშეწყობა, ინოვაციური იდეების წარდგენა და დაფინანსების შესაძლებლობების გაზრდა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სააგენტოს ბენეფიციარებმა მოიზიდეს ინვესტიცია არაერთი მიმართულებით, მათ შორისაა: აპლიკაცია, რომელიც შუამავალია მომწოდებელსა და პაციენტს შორის; ხელოვნური ინტელექტზე დაფუძნებული რეკრუტინგის პლატფორმა; ხელოვნური ინტელექტით გამდიდრებული სამედიცინო აპლიკაცია; ინოვაციური AdTech პლატფორმა, რომელიც ციფრულ რეკლამას უფასო

ფოტო ბეჭდვასთან აერთიანებს; ფინანსური ანალიტიკის პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და სხვა.

- ✓ გავლენა

სააგენტოს მიერ განხორციელებული ინვესტიცია ვენჩურულ ფონდში „500 Global“ ქმნის მნიშვნელოვან ინსტიტუციურ საფუძველს ეკოსისტემის განვითარებისთვის, ხელს უწყობს ქართული სტარტაპების დაფინანსებას და მათ გლობალურ ბაზრებზე ინტეგრაციას.

შედეგად, ვენჩერული ფონდები და ანგელოზ ინვესტორთა ქსელი ხელს უწყობს ვენჩურული დაფინანსების ბაზრის განვითარებას საქართველოში და ზრდის სტარტაპებისთვის კაპიტალზე წვდომის შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს ინოვაციური ბიზნესების ზრდის დაჩქარებას.

4 მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

საქართველოს ეკონომიკისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდა, ბაზარზე წვდომა და ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, რადგან სწორედ მცირე და საშუალო საწარმოები ქმნიან ეკონომიკაში სამუშაო ადგილების დიდ ნაწილს, ხელს უწყობენ რეგიონულ განვითარებას და ეკონომიკის დივერსიფიკაციას.

ინტერნაციონალიზაცია, როგორც კონკურენტუნარიანობის გზა, ექსპორტთან ერთად გულისხმობს უცხოურ პარტნიორებთან თანამშრომლობას, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობას, ციფრულ პლატფორმებზე გასვლასა და გლობალური მიწოდების ჯაჭვებში ჩართვას. ეს პროცესი კომპანიებს უქმნის სტიმულს გაზარდონ პროდუქტის ხარისხი, გააუმჯობესონ მენეჯმენტი, შექმნან ინოვაცია და ხელი შეუწყონ ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას. შედეგად, კი იქმნება მეტი შესაძლებლობები ქართული ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის.

საქართველოს მნიშვნელოვანი ფაქტორები გააჩნია საწარმოთა საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის და მათი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. მათ შორის, უნდა აღინიშნოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები სხვადასხვა ქვეყანასა და ქვეყანათა გაერთიანებებთან[26], რაც ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს ქართული პროდუქცია დაბალი ან ნულოვანი ტარიფებით შევიდეს საერთაშორისო ბაზრებზე. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც ექსპორტზე გასვლას ცდილობენ.

ბოლო წლებში, საქართველოს მთავრობის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. აღნიშნული, მათ შორის, განაპირობა სსიპ „აწარმოე საქართველოში" მიერ, მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, მათი ბაზარზე წვდომისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით შემუშავებული მექანიზმების ეფექტიანმა განხორციელებამ. მიზნობრივი აქტივობების კუთხით, აღსანიშნავია, ასევე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მანდატი და ამ მიმართულებით მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს DCFTA-ის შეთანხმებაზე ხელმოწერა, რომელმაც ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანის რეალური პერსპექტივა შექმნა. ქართველ მეწარმეებს მიეცათ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების

[26] შენიშვნა: საქართველო თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით სარგებლობს ევროკავშირთან (DCFTA), ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA - შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტეინი), დსთ-ს ქვეყნებთან, ჩინეთთან, ჰონგ-კონგთან, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებთან და თურქეთთან.

ეტაპობრივად დანერგვის შესაძლებლობა. შედეგად, გაიზარდა ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების მასშტაბები, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ბაზარზე.

მიზნობრივი ღონისძიებები განხორციელდა ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის, შესაბამისი ინსტიტუტების განვითარებისა და საერთაშორისო ან/და ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით, რომელიც ადგილობრივი საწარმოებისთვის საერთაშორისო ბაზრებზე წვდომისთვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, კვლავ არსებობდა გამოწვევები, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, ექსპორტის მიმართულებით არსებული ცოდნისა და გამოცდილების, ციფრული უნარების მიმართულებით და სხვა.

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ და შემდგომი პროგრესის მიღწევის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ სტრატეგიულ დონეზე განისაზღვრა მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის საკითხები და ამ მიმართულებით განხორციელდა მიზნობრივი აქტივობები.

აღნიშნულმა პოზიტიური ასახვა ჰპოვა შესაბამის სტატისტიკაზე. კერძოდ, 2025 წლის წინასწარი მონაცემებით[27], ექსპორტის მოცულობა საბაზისო 2019 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა (92%-იანი ზრდა) და ისტორიულ მაქსიმუმს - 7,291.2 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია. წინა წელთან შედარებით კი ზრდამ 11% შეადგინა.

2025 წელს, მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტმა 2,729.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 30.7%-ით გაიზარდა, ხოლო საბაზისო 2019 წელთან მიმართებით თითქმის გაორმაგდა (ზრდა 91%-ით). ამასთან, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ექსპორტმა მთლიანი ექსპორტის 49.5%-ს შეადგინა, რაც 2019 წელს 41.9%-ს უტოლდებოდა.

მეოთხე პრიორიტეტული მიმართულება - მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა - აერთიანებს 4 ამოცანას და 9 აქტივობას.

[27] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti

ამოცანა 4.1. საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *ჩატარებულ ღონისძიებებთან მიმართებით კომპანიების კვლევის საფუძველზე, გამოვლენილი კომპანიების დადებითი უკუკავშირი.*
- *B2B შეხვედრების რაოდენობა, რომელიც ჩატარდა მხარდაჭერილი კომპანიებსა და საერთაშორისო მყიდველებს შორის.*
- *იდენტიფიცირებული საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი პროდუქტის/მომსახურების რაოდენობა.*

✓ შესაბამისობა

საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაცია ქვეყნის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის, მდგრადი განვითარების და ევროპულ და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის მნიშვნელოვანი საფუძველია.

მცირე და საშუალო საწარმოები საქართველოში ბიზნეს სექტორის აბსოლუტურ უმრავლესობას 99.7%-ს შეადგენენ. შესაბამისად, მათი საექსპორტო შესაძლებლობების ზრდა და ინტერნაციონალიზაცია, რაც განაპირობებს მათ გაძლიერებას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც მათი, ასევე, ქვეყნის საჭიროებებისათვის, რამდენადაც აღნიშნული პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში მეტი სამუშაო ადგილის შექმნასთან, რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის ზრდასთან და ადგილობრივი წარმოების გაძლიერებასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამოცანა სრულად შეესაბამება სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს ინტერნაციონალიზაციის კუთხით და ეფექტიანად პასუხობს მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტის შესაძლებლობების გაძლიერებას ექსპორტის ზრდის მიმართულებით.

✓ ეფექტურობა

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ეფექტურად განხორციელდა. აღსანიშნავია, სამიზნე ინდიკატორების შესრულების პროგრესი. კერძოდ, ერთ-ერთ ინდიკატორად განსაზღვრული იყო B2B (Business-to-Business) შეხვედრების რაოდენობა, რომელიც ჩატარდა მხარდაჭერილ კომპანიებსა და საერთაშორისო მყიდველებს შორის. ინდიკატორის საბოლოო სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრული იყო საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში მხარდაჭერილი კომპანიების მიერ 4,000 შეხვედრის ორგანიზება პოტენციურ მყიდველებთან. 2025 წლისთვის, სსიპ „აწარმოე

საქართველოში” მიერ მხარდაჭერილმა ბენეფიციარებმა, საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში 5,742 B2B შეხვედრა გამართეს.

სააგენტოს მიერ, მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობის მიზნით, გამოყენებული იქნა კომპლექსური მექანიზმები სხვადასხვა მიმართულებით (სხვადასხვა მიზნობრივი მექანიზმი). კერძოდ, მხარდაჭერილი იქნა მეწარმეების მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებსა და ღონისძიებებში, რომლის ფარგლებში წარმოდგენილები იყვნენ ისეთი ინდუსტრიები, როგორიცაა საკვები და სასმელი პროდუქტები, მოდის ინდუსტრია, ბავშვის ტანსაცმელი, ტყავი და ტყავის პროდუქტები, ცხოველის და ფრინველის საკვები დანამატები, მზის პანელები, ელ. სადენები და ელექტრონული ნაწარმი, სამკაულები და ძვირფასეულობა, შესაფუთი მასალები. საერთაშორისო გამოფენა/ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით, სააგენტოს მიერ, ჯამურად, განხორციელდა 800-ზე მეტი თანადაფინანსება.

სააგენტოს მიერ, ასევე, განხორციელდა კომპანიათა თანადაფინანსება ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, რომლის ფარგლებში, 2021-2025 წლებში, ჯამურად, გაფორმდა 93 ხელშეკრულება.

ფინანსური რესურსების შეზღუდულობასთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა მეწარმეების ინფორმირებულობა საერთაშორისო ღონისძიებებთან დაკავშირებით. ამ კუთხით, უნდა აღინიშნოს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიზნობრივი აქტივობები მცირე და საშუალო მეწარმეთა მხარდასაჭერად, კერძოდ, საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის ბიზნეს წრეებს შორის ბიზნეს ფორუმების ორგანიზება, ექსპორტ/იმპორტის საკითხებზე ინდივიდულური კონსულტაციები, პარტნიორის მოძიებაში მხარდაჭერა, სავაჭრო პარტნიორებს შორის პრობლემური ქეისების განხილვაში დახმარება, საერთაშორისო პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო გამოფენების/ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ჯამურად, პალატის მიერ 1000-ზე მეტი ინდივიდუალური კონსულტაცია იქნა გაწეული ექსპორტ/იმპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

განხორციელებული ღონისძიებების მიზნობრიობამ და ეფექტურობამ პოზიტიური ასახვა ჰპოვა დაგეგმილ შედეგზე, რომელიც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. კერძოდ, აღსანიშნავია სსიპ „აწარმოე საქართველოში” ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა - საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი პროდუქტების/მომსახურებების იდენტიფიცირება, რომლის საბოლოო სამიზნე მაჩვენებლად 4 პროდუქტი/მომსახურება იყო განსაზღვრული. 2021-2025 წლებში დაიდენტიფიცირდა 6 ახალი საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტის/მომსახურების სექტორი:

- შესაფუთი მასალები;
- სამშენებლო მასალები;
- ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის ნაწარმი;

- ფარმა პროდუქტები;
- ცხოველის საკვები და დანამატები;
- კოსმეტიკური საშუალებები.

✓ გავლენა

მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტზე გასვლა, სხვადასხვა ბაზარზე წვდომის გაფართოება და ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ მდგრადობასა და კონკურენტუნარიანობის ზრდაზე. შედეგები კომპლექსურია, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- **ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა**

მცირე და საშუალო საწარმოები ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. მათი ექსპორტზე გასვლა ზრდის წარმოების მოცულობას, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას.

- **ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება**

საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა კომპანიებს ასტიმულირებს გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, დანერგონ ინოვაციები და საერთაშორისო სტანდარტები. შედეგად, იზრდება როგორც საწარმოების, ასევე, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა.

- **საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია**

ექსპორტის გაფართოება შესაძლებლობას აძლევს საწარმოებს შეამცირონ ბაზრის შეზღუდვებთან დაკავშირებული საფრთხეები და მიიღონ უფრო სტაბილური შემოსავლები.

- **უცხოური ვალუტის შემოდინება**

ექსპორტის ზრდა უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, რაც დადებით გავლენას ახდენს სავაჭრო ბალანსზე და ეროვნული ეკონომიკის ფინანსურ მდგრადობაზე.

- **ტექნოლოგიური და ცოდნის განვითარების სტიმულირება**

ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოები უფრო მეტად ინტერესდებიან თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, ციფრული ტრანსფორმაციითა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებით.

- **პოსტ-პანდემიური და გლობალური ეკონომიკური გამოწვევები**

თანამედროვე პირობებში, გლობალური კრიზისების, ინფლაციისა და მიწოდების ჯაჭვების გამოწვევების ფონზე, მცირე და საშუალო საწარმოების მდგრადობა და საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

- **ევროპულ და საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაცია**

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების შესაძლებლობების მაქსიმალური ათვისება, რაც ქვეყანაში მოქმედ მცირე და საშუალო მეწარმეებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს მათი კონკურენტუნარიანობის ზრდისა და საერთაშორისო ბაზრებზე ინტეგრაციის კუთხით.

ამ მიმართულებით განხორციელებულმა ღონისძიებებმა, მათ შორის, საერთაშორისო გამოფენებში მცირე და საშუალო მეწარმეთა მონაწილეობის ხელშეწყობამ, ფინანსურმა, ინფორმაციულმა და ტექნიკურმა მხარდაჭერამ ხელი შეუწყო სისტემურ და თანმიმდევრულ მიდგომას SME-ების ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით. ამ კუთხით, უნდა აღინიშნოს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილე კომპანიების გამოკითხვა, რომლის თანახმად, მონაწილე კომპანიების 84% დადებითად აფასებს ღონისძიებებში მონაწილეობის გამოცდილებას.

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები, მათ შორის, ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის სირთულეები, უცხოურ ბაზრებთან მიმართებით დაბალი ცნობადობა, ლოგისტიკური და სატრანსპორტო ხარჯები, ექსპორტის მართვის გამოცდილების ნაკლებობა, რაც შესაბამისი სტრუქტურების დამატებით ძალისხმევას საჭიროებს.

ამოცანა 4.2. DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *ევროკავშირის ბაზარზე აქცენტირებული ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის რომ DCFTA-ის შესახებ მიღებულ ცოდნას გამოიყენებს ყოველდღიურ მუშაობაში.*
- *DCFTA.GOV.GE ვებ-გვერდის ვიზიტორთა რაოდენობა.*

✓ შესაბამისობა

ამოცანა, რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესაძლებლობებისა და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას გულისხმობს,

პოლიტიკის მიზნისადმი მაღალი შესაბამისობით ხასიათდება. DCFTA ქმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქვეყანაში მოქმედი მეწარმეებისთვის, ახალ სტანდარტებს როგორც სამეწარმეო საქმიანობისთვის, ასევე, ინსტიტუციებისთვის. შეთანხმება ქართულ საწარმოებს შესაძლებლობას აძლევს ევროკავშირის ბაზარზე შევიდნენ შეღავათიანი სავაჭრო პირობებით. DCFTA ითვალისწინებს პროდუქციის ხარისხის, სურსათის უვნებლობის, კონკურენციის, საჯარო შესყიდვების, შრომითი უფლებების, გარემოს დაცვისა და სხვა მიმართულებების ევროკავშირის მოთხოვნებთან დაახლოებას. ამ პროცესის წარმატებული განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების ცნობიერების ამაღლება იმ სარგებლის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების შესახებ, რომლებიც DCFTA-ით არის გათვალისწინებული. არასაკმარისი ცოდნა, რომელიც აფერხებს ბიზნესების მზადყოფნას ჩაერთონ პროცესში და ეფექტიანად გამოიყენონ შეთანხმების შესაძლებლობები, განსაკუთრებით რეგიონებისთვის წარმოადგენს გამოწვევას, სადაც მეწარმეებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია DCFTA-ის პრაქტიკული სარგებლის, რეგულაციებისა და დაფინანსების მექანიზმების შესახებ. ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ხელს უწყობს მათ ჩართულობას ეკონომიკურ პროცესებში და საერთაშორისო ბაზრებზე ინტეგრაციას.

✓ ეფექტურობა

ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები მაღალი ეფექტურობით ხასიათდება. DCFTA-ის შეთანხმებასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობის გაზრდისა და ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციაში მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა სსიპ „სურსათის ეროვნულმა სააგენტომ". კერძოდ, დაინტერესებული პირებისთვის (ბიზნეს ოპერატორებისთვის), მათ შორის, დარგობრივი ასოციაციების (რესტორატორთა ასოციაცია, გასტრონომიული ტურიზმის ბიზნეს ასოციაცია) ჩართულობით, ჩატარდა შეხვედრა/ტრენინგები DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების თაობაზე. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა ექსპორტის ხელშეწყობა და ევროკავშირში სურსათის ექსპორტისათვის საჭირო მოთხოვნების გაცნობა ბიზნესოპერატორებისათვის. ჯამურად, თბილისსა და რეგიონებში სააგენტოს მიერ ჩატარდა 155 შეხვედრა/ტრენინგი. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს, მათ შორის, ექსპორტიორმა მეწარმეებმა. ამ მიმართულებით, ეფექტურობით ხასიათდება სსიპ „ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს" მიერ განხორციელებული აქტივობები. კერძოდ, სააგენტოს მიერ ჩატარდა სექტორული შეხვედრები შემდეგ სფეროებში: სამშენებლო პროდუქტები, სათამაშოები, ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობები, აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები, მანქანა-დანადგარები. ჯამში, გაიმართა 13

ტრენინგი. აქვე აღსანიშნავია, რომ აქტივობის ინდიკატორი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. კერძოდ, სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრული იყო 50 შეხვედრა/ტრენინგი, 2025 წლისთვის ფაქტობრივმა შესრულებამ კი 168 შეხვედრა/ტრენინგი, რაც 3-ჯერ აღემატება პროგნოზირებულ მაჩვენებელს.

DCFTA-ის შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია ექსპორტთან დაკავშირებულ საკითხებზე მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ მიერ განხორციელებული მიზნობრივი აქტივობა - ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსის ჩატარება.

ჯამურად, სააგენტომ 2021-2025 წლებში უზრუნველყო ექსპორტის მენეჯერთა 15 კურსის ჩატარება თბილისსა და რეგიონებში. ამ მიმართულებითაც აღსანიშნავია დაგეგმილი მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულება. სამიზნე მაჩვენებელს წარმოადგენდა 10 კურსი.

DCFTA შეთანხმების თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მნიშვნელოვანია სპეციალური ვებ-გვერდის ფუნქციონირება - dcfta.gov.ge[28], რომელიც მაქსიმალურად არის მორგებული მომხმარებლის საჭიროებაზე და რომლის მიზანს შეთანხმების, მისი მნიშვნელობის, სარგებლიანობისა და შექმნილი შესაძლებლობების თაობაზე ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. dcfta.gov.ge ფუნქციონირებდა როგორც ძირითადი საინფორმაციო პლატფორმა DCFTA-სთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ვებ-გვერდზე სისტემატურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების, საკანონმდებლო ცვლილებების, სექტორული მოთხოვნების, საჯარო კონსულტაციების და ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ, რომლის განახლებაც სისტემატიურად ხორციელდებოდა. ვებ-გვერდზე ვიდეოინსტრუქციებისა და გზამკვლევების დამატებამ კიდევ უფრო გაზარდა მომხამრებლისთვის ვებ-გვერდის სარგებლიანობა და პრაქტიკული გამოყენება. ჯამურად, ვებ-გვერდს ეწვია 32100 ვიზიტორი, ზრდამ საბაზისო წელთან (20 079 ვიზიტორი) 60% შეადგინა, ხოლო საშულოწლიურმა ზრდამ 12% შეადგინა, მაშინ, როდესაც სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრული იყო საშუალოწლიური ზრდა 5%-ით. ვებ-გვერდს სტუმრობდნენ აშშ-დან, ჩინეთიდან, სინგაპურიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, გაერთიანებული სამეფოდან, თურქეთიდან და სხვ.

ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია მიუთითებს DCFTA-ის თემატიკის მიმართ მზარდ ინტერესსა და ინფორმაციის ციფრული არხებით გავრცელების მნიშვნელობის ზრდაზე. საერთო ჯამში, ამოცანის ფარგლებში მიღწეული შედეგი ასახავს სახელმწიფოს

[28] DCFTA ვებ-გვერდის ბმული: https://dcfta.gov.ge/ge

ძალისხმევას DCFTA-ის შესახებ ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ბიზნესის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

- ✓ გავლენა

განხორციელებული ღონისძიებების პოზიტიური გავლენები მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური განვითარების, ასევე, ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერის კონტექსტში.

განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტში ექსპორტთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას, რაც პირდაპირ კავშირშია მათი კონკურენტუნარიანობის და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობების ზრდასთან.

ამოცანის გავლენის თვალსაზრისით, აღსანიშნავია ექსპორტის მენეჯერთა კურსის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვა, რომლის თანახმადაც კურსის ბენეფიციარების 84% პოზიტიურად აფასებს ღონისძიებებში მონაწილეობის გამოცდილებას და მის პრაქტიკულ გამოყენებას პერსპექტივაში.

ამ მიმართულებით, ასევე, უნდა აღინიშნოს კმაყოფილების კვლევა ევროკავშირის ბაზარზე აქცენტირებული ტრენინგის შედეგებისა და სამომავლო გამოყენების თაობაზე. კერძოდ, გამოკითხვის თანახმად, ტრენინგის მონაწილეთა 100% თვლის, რომ DCFTA– ის შესახებ მიღებულ ცოდნას გამოიყენებს ყოველდღიურ მუშაობაში. აღნიშნული ნათლად აჩვენებს ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აქტუალობას, მიზნობრიობას და პოზიტიურ გავლენებს.

ამოცანა 4.3 ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის შესაბამისი ინსტიტუტების (აკრედიტაცია, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ა.შ.) განვითარება საერთაშორისო და/ან ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *საერთაშორისო და ევროკავშირის ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მიერ აღიარებული აკრედიტაციის სფეროები.*
- *დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა.*
- *მეტროლოგიის სფეროში დაინტერესებული პირებისათვის გაწეული სერვისების გაზრდილი დიაპაზონი ან/და სფერო, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერვისები.*

✓ შესაბამისობა

ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარება, მისი დაახლოება საერთაშორისო და ევროპულ საუკეთესო პრაქტიკასთან მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი წინაპირობაა. საერთაშორისო და ევროკავშირის ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მიერ აღიარებული აკრედიტაციის სფეროების რაოდენობა პირდაპირ უკავშირდება დასახულ სტრატეგიულ მიზნებს და ასახავს, თუ რამდენად შეესაბამება აკრედიტაციის სისტემა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

აკრედიტაციის გაცემის სფეროების გაფართოება დამოკიდებულია ეკონომიკის სტრუქტურასა და ვაჭრობის დივერსიფიცირების საჭიროებაზე. რაც უფრო მრავალფეროვანია ეკონომიკური საქმიანობები ქვეყანაში, მით უფრო მაღალია მოთხოვნა სხვადასხვა სექტორში აკრედიტაციაზე. შესაბამისად, აკრედიტაციის სფეროების ზრდა პირდაპირპროპორციულად უკავშირდება ეკონომიკის დივერსიფიკაციას და საგარეო ვაჭრობის გაფართოებას.

ამასთან, საერთაშორისო და ევროკავშირის ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მიერ აღიარებული აკრედიტაციის სფეროები უზრუნველყოფს ქვეყნის ინტეგრაციას გლობალურ ბაზრებში, რაც კიდევ უფრო ზრდის ინდიკატორის შესაბამისობას ეროვნული განვითარების მიზნებთან.

ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი კომპონენტებია როგორც მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერვისების, ასევე, საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარებზე ხელმისაწვდომობა. გაზრდილია ასევე ეროვნულ დონეზე სტანდარტების მიღებისა და შემდგომი დანერგვის აქტუალურობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

საბოლოო ჯამში, ამოცანის ფარგლებში განხორციელებული მიზნობრივი აქტივობები პირდაპირ შესაბამისობაშია პოლიტიკის პრიორიტეტთან და ქმნის მდგრად საფუძველს სექტორში მომუშავე ორგანიზაციების მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის.

✓ ეფექტურობა

ამოცანის ფარგლებში ღონისძიებების განხორციელება მაღალი ეფექტურობით ხასიათდება. კერძოდ აღსანიშნავია, რომ საქართველოს აკრედიტაციის ცენტრმა აღიარება მოიპოვა ევროპული აკრედიტაციის ორგანიზაცია „EA“-გან (European Accreditation). საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ EA-ს აღიარების მოპოვება და შენარჩუნება უზრუნველყოფს საქართველოში მიღებული აკრედიტაციის აღიარებას

ევროპაში და საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის თანასწორობას ევროპული ქვეყნების აკრედიტაციის ეროვნული ორგანოების საქმიანობასთან. აკრედიტაციის ცენტრის მიერ EA-ს აღიარების მოპოვების შემდეგ საქართველოს აკრედიტაციის ცენტრს 2023 წლის 1 აგვისტოდან, საერთაშორისო აღიარების სფერო გაუფართოვა ლაბორატორიების საერთაშორისო აკრედიტაციის თანამშრომლობამ (ILAC). შესაბამისად, გაიზარდა აკრედიტაციის ცენტრის აღიარებული სფერო საკვალიფიკაციო ტესტირების მიმწოდებლების მიმართულებით (ისო/იეკ 17043 სტანდარტის შესაბამისად) და 2025 წლისთვის, აკრედიტაციის ცენტრი ფლობს ევროპულ და საერთაშორისო აღიარებას 7 სფეროში.

საქართველო, ასევე, აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმისა (IAF) და საერთაშორისო ლაბორატორიის აკრედიტაციის თანამშრომლობის (ILAC) ორგანიზაციების წევრია. აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების სრული წევრობა უზრუნველყოფს საქართველოში აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ გაცემული შედეგების აღიარებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რაც მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, ზრდის საქართველოში აკრედიტებული ორგანიზაციების მიერ სერტიფიცირებული და გამოცდილი პროდუქტების კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე. ამასთან, ხაზგასმას იმსახურებს ხელმისაწვდომი და გამართული მექანიზმები აკრედიტაციის პროცესში ორგანიზაციების მარტივად და გამჭვირვალედ ჩართულობის კუთხით, რაც ზრდის მის ეფექტურობას.

მნიშვნელოვანია სტანდარტების მიმართულებით მიღწეული პროგრესი, რომლის ეფექტურობაც სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად, ასევე მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განსაზღვრულმა შეღავათმაც განაპირობა. კერძოდ, შექმნილია და ფუნქციონირებს სტანდარტების ელექტრონული პლატფორმა, რომელიც დაინტერესებულ პირებს სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მოძიების გაზრდილ საშუალებებს სთავაზობს, ხოლო 2023 წლის 1 იანვრიდან მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ამოქმედდა სტანდარტებზე შეღავათიანი ფასების პროგრამა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია მცირე და საშუალო მეწარმეობის (SME) მხარდაჭერისათვის სტანდარტების ეროვნული ორგანოებისადმი ევროპული რეგულაციით (EU Reg.1025/2012) განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2019 წლიდან 2025 წლის ჩათვლით: საქართველოს სტანდარტად მიღებულ იქნა სტანდარტიზაციის საერთაშორისო და ევროპული ორგანიზაციის 28,285 სტანდარტი (2025 წლისთვის სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრული იყო 23 000 სტანდარტი); საქართველოს სტანდარტად მიღებულ იქნა 246 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები (2025 წლისთვის სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრული იყო 210 სტანდარტი); დაინტერესებული პირების მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოს მიერ გაყიდული/გავცელებული იქნა 3,268 საქართველოს სტანდარტი (2025 წლისთვის სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრული იყო 600

სტანდარტი). აღსანიშნავია, რომ მეტროლოგიის სფეროში მიმდინარეობდა ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესი, ახალი ან/და გაუმჯობესებული სერვისების მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის, მათ შორის, რეგიონულ დონეზე.

2019 წლიდან 2025 წლის ჩათვლით, სულ გაცემულია 1410 ცალი დაკალიბრების სერთიფიკატი, ხოლო საკანონმდებლო მეტროლოგიის მიმართულებით, აღნიშნულ პერიოდში გაცემულია 1953 ცალი დამოწმების მოწმობა ალკომეტრზე/ალკოტესტერზე. 2025 წლიდან შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვი აირების ანალიზატორების დაკალიბრება/დამოწმება.

✓ გავლენა

ამოცანის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების გავლენა მიზნობრივ ჯგუფებზე პოზიტიურია. კერძოდ, მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ზრდა პირდაპირ კავშირშია მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან. სტანდარტებზე წვდომის გამარტივებით სხვადასხვა დაინტერესებული პირებისთვის, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოთა წარმომადგენლებისათვის, შესაძლებელი ხდება საწარმოო შესაძლებლობების ზრდისათვის აუცილებელი ტექნიკური ცოდნის მიღება და სხვადასხვა ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის გამარტივებული პროცედურების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

გაიზარდა მეტროლოგიის სფეროში დაინტერესებული პირებისათვის გაწეული სერვისების დიაპაზონი და სფეროები, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერვისები. ფიზ-ქიმიური გაზომვების განვითარება და შემდგომ ეტაპზე ამ სფეროში საერთაშორისო აღიარების მიღწევა კი, მნიშვნელოვანია აღნიშნულ სფეროში ქვეყნის მასშტაბით საერთაშორისოდ აღიარებული სერვისების ხელმისაწვდომობისათვის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ფინანსური რესურსების დაზოგვას. დაინტერესებული პირების ჩართულობა პროცესში შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ახალი საჭიროებები და მოთხოვნები გაზომვების სხვადასხვა მიმართულებაში.

აკრედიტაციის სფეროების გაფართოება მიუთითებს არა მხოლოდ სფეროების რაოდენობრივ ზრდაზე, არამედ, მთლიანად აკრედიტაციის სისტემის ეფექტურობაზე. რაც უფრო მეტ სფეროში ხდება აკრედიტაციის გაცემა, მით უფრო ფართოვდება მისი გამოყენების არეალი ეკონომიკაში. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკის ფუნქციონირებაში ერთვება მეტი სუბიექტი, იზრდება სერტიფიცირებული და სტანდარტებთან შესაბამისი საქმიანობების რაოდენობა, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს პროდუქტებისა და სერვისების ხარისხს. ეფექტური აკრედიტაციის სისტემა ქმნის ნდობას როგორც შიდა, ასევე, საერთაშორისო ბაზრებზე.

საერთო ჯამში, განხორციელებული ღონისძიებები ხელშესახებ პოზიტიურ გავლენას ახდენს პოლიტიკის პრიორიტეტზე, რომელიც ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას.

ამოცანა 4.4. ინვესტიციების და SME-ების კავშირების გაძლიერება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *პოტენციური ადგილობრივი მეწარმეების/მომწოდებლების მონაცემთა ბაზა, რომლებიც შეთავაზებულ იქნებიან საქართველოში არსებულ უცხოელ ინვესტორებს.*

✓ შესაბამისობა

ინვესტიციებისა და მცირე და საშუალო საწარმოების (SME) კავშირების გაძლიერება თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მიმართულებაა. სწორედ SME წარმოადგენს ეკონომიკის საფუძველს, ისინი ქმნიან სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან ნაწილს, ეკონომიკურ ღირებულებას, ხელს უწყობენ ინოვაციებს და ადგილობრივი ბაზრების განვითარებას. თუმცა, მათი მთავარი გამოწვევა ხშირად ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინვესტიციებთან SME-ის ეფექტიანი კავშირების გაძლიერება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

საკითხის აქტუალობა განსაკუთრებით გაიზარდა გლობალიზაციის, ტექნოლოგიური ცვლილებებისა და ეკონომიკური კრიზისების ფონზე. მცირე და საშუალო საწარმოები საჭიროებენ კაპიტალს - განვითარებისთვის, გაფართოებისთვის, ციფრული ტრანსფორმაციისა და კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად. ამ კონტექსტში, ინვესტორებისთვის SME საინტერესო მიმართულებად იქცა, რადგან ისინი ხშირად გამოირჩევიან მოქნილობით, ინოვაციური იდეებითა და სწრაფი განვითარების პოტენციალით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს საკითხი განვითარებადი ეკონომიკისთვის, სადაც SME ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა.

✓ ეფექტურობა

ამოცანის მიზნის მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებები ეფექტურობით ხასიათდება. კერძოდ, ამოცანის ინდიკატორად განისაზღვრა პოტენციური ადგილობრივი მეწარმეების/მომწოდებლების მონაცემთა ბაზა, რომლებიც შეთავაზებული იქნება საქართველოში არსებული უცხოელი ინვესტორებისთვის.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მანდატი, რომელიც ამუშავებს ინფორმაციას საქართველოში არსებული სახელმწიფო და კერძო პროექტების შესახებ და კატალოგის სახით უზიარებს პოტენციურ ინვესტორებს. პროცესი მოიცავს კონსულტაციების, ინფორმაციის შეგროვების, კატალოგის შექმნისა და გავრცელების ეტაპებს. ამ მიზნით, სააგენტო ატარებს მიზნობრივ შეხვედრებს/კონსულტაციებს ბიზნეს ასოციაციებთან ბაზაში შესატანი პოტენციალის მქონე კომპანიების გამოსავლენად.

სააგენტომ ბიზნეს ასოციაციებთან კონსულტაციების საფუძველზე, შექმნა ადგილობრივი მიმწოდებლების ბაზა და მომზადდა კომპანიებისა და საინტერესო პროექტების შესახებ კატალოგი, რომლებიც გაზიარდა დაინტერესებულ ინვესტორებთან. აღნიშნული ასოციაციებში გასავრცელებლად გაეგზავნა ინვესტორთა საბჭოსაც. აღსანიშნავია ასევე, რომ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ შედგა პოტენციური საინვესტიციო პროექტების სია (70 პროექტი), რომელთა შეთავაზება მოხდა საქართველოში მოქმედი უცხოელი ინვესტორებისთვის.

✓ გავლენა

ამოცანა პასუხობს სამიზნე ჯგუფის, SME-ის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას - ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას და ამ მიმართულებით შეესაბამება SME-ის მნიშვნელოვან საჭიროებას - ინვესტორებთან კავშირების გაძლიერებას. განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო ადგილობრივი საწარმოების წარმოჩენასა და მათ დაკავშირებას პოტენციურ ინვესტორებთან.

მცირე და საშუალო საწარმოების მიერ საჭირო ფინანსური მხარდაჭერის (საბანკო სესხები, ვენჩურული კაპიტალი, სახელმწიფო პროგრამები, უცხოური ინვესტიციები) მიღება პირდაპირ ზრდის მათ შესაძლებლობას გახდნენ უფრო მდგრადი და კონკურენტუნარიანი. ამასთან, ინვესტიციების და SME-ის კავშირების გაძლიერება ზრდის ეკონომიკის სტაბილურობას. განვითარებული SME სექტორი ამცირებს ეკონომიკის დამოკიდებულებას მხოლოდ მსხვილ ბიზნესზე და ქმნის უფრო მოქნილ ეკონომიკურ გარემოს.

ინვესტიციებსა და SME- ის შორის კავშირების გაძლიერება ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, რეგიონული განვითარების გაძლიერებას, ექსპორტის შესაძლებლობების გაფართოებას და მდგრადი და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. შედეგად, ინვესტიციებისა და SME-ის თანამშრომლობა არა მხოლოდ ცალკეული საწარმოების განვითარებას უწყობს ხელს, არამედ, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესსა და სოციალურ კეთილდღეობაზე ახდენს გავლენას.

5 ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

თანამედროვე მსოფლიოში, ტექნოლოგიურ სიახლეებსა და ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებული ზრდა მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევისთვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის მიზანს წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლება აღნიშნულის ხელშეწყობის გზით.

ტექნიკური პროგრესის ეპოქაში ინოვაცია, ტექნოლოგია, კვლევა/განვითარება (R&D) და მათი დანერგვა ბიზნესში გადამწყვეტი ფაქტორია კომპანიების კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლებისთვის. სწორედ ინოვაციების, ცოდნის და R&D-ის ბიზნესში დანერგვის დაბალი მაჩვენებელი განაპირობებს კომპანიების საწარმოო პროცესის არაეფექტიანობას და დაბალი დამატებული ღირებულების ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია.

საგულისხმოა, რომ ტექნოლოგიურ განვითარებაზე დაფუძნებული ზრდა და ინოვაციების ხელშეწყობა გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაწილია, რომელსაც მოიცავს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან ერთ-ერთი, მე-9 მიზანი. ამ ეტაპზე, საქართველოს ნაციონალიზებული აქვს მდგრადი განვითარების 17-ვე მიზანი[29]. შესაბამისად, ინოვაციების ხელშეწყობა და განვითარება ქვეყნის სტრატეგიული დღის წესრიგის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ამასთან ხაზგასასმელია, რომ ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულებით თანამშრომლობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც შეთანხმების არაერთ მიმართულებაშია ინტეგრირებული.

ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლის შედეგია საწარმოთა შემდგომი განვითარება თანამედროვე ციფრულ სამყაროში და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,

[29] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის N2328 განკარგულება „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე“;
იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4732470?publication=0

ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი პრიორიტეტია.

ამ მიმართულებით ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რამაც ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინოვაციების სფეროში პოზიტიური ტენდენციები განაპირობა.

პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულების და დასახული მიზნის მიღწევის გავლენის მაჩვენებლად განსაზღვრულია OECD-ის „SME Policy Index 2024" კვლევაში 12-დან ერთ-ერთ ინდიკატორში - „SME Innovation Policy" საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ OECD-ის „SME Policy Index 2024" კვლევის თანახმად, SME ინოვაციურ პოლიტიკაში საქართველოს შეფასება წინა კვლევის შეფასებასთან შედარებით (3.27 ქულა) გაუმჯობესდა და 3.44 ქულა შეადგინა. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ საქართველოს ქულა, აღემატება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საშუალო ქულას (3.09 ქულა) და აღნიშნულ ინდიკატორში ლიდერ პოზიციას იკავებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, როგორც საკანონმდებლო, ისე აღსრულების ნაწილში, ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების კუთხით კვლავ არსებობს გამოწვევები. აღნიშნულს ადასტურებს, OECD-ის კვლევა „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი 2024", რომლის მიხედვითაც „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მცირე და საშუალო ბიზნესის პროგრესში ლიდერობის მიუხედავად, საქართველოს მაინც შეუძლია გააძლიეროს თავისი მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ჩარჩო - განსაკუთრებით სამეწარმეო და ციფრული უნარების განვითარების ხელშეწყობით".

სწორედ აღნიშნულის საპასუხოდ, „ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა" მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიაში ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა, რომლის ფარგლებშიც მთელი რიგი მიზნობრივი აქტივობები განხორციელდა.

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულება - ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა - აერთიანებს 5 ამოცანას და 8 აქტივობას.

ამოცანა 5.1. ინოვაციური დაფინანსების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *ინოვაციური დაფინანსების სახელმწიფო პროდუქტების ბენეფიციარების რაოდენობა.*
- *იმ მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა, რომლებმაც შეიმუშავეს ინოვაციური პროდუქტი (პროტოტიპის დონეზე) ან მომსახურება, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ბენეფიციართა შორის.*

✓ შესაბამისობა

ამოცანა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო დაფინანსების ინსტრუმენტების გაფართოებას, სრულად შეესაბამება და პასუხობს ინოვაციური მეწარმეობის მიმართულებით მოქმედ ბენეფიციართა საჭიროებებს.

ტრადიციული ფინანსური მექანიზმები ხშირად არასაკმარისად აკმაყოფილებს სტარტაპების, ინოვაციური საწარმოებისა და მაღალტექნოლოგიური პროექტების საჭიროებებს, რის გამოც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაფინანსების ახალ ინოვაციურ მექანიზმებს. ამასთან, ინოვაციური დაფინანსების განვითარების საკითხის აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე ეკონომიკის სწრაფი ტრანსფორმაციით, ტექნოლოგიური პროგრესითა და გლობალური კონკურენციის ზრდით.

ინოვაციური დაფინანსების აქტუალობას რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის:

- ✓ ინოვაციების როლის ზრდა ეკონომიკაში;
- ✓ სტარტაპ ეკოსისტემის გაფართოება;
- ✓ ციფრული ტექნოლოგიების განვითარება;
- ✓ ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდა;
- ✓ რისკების დივერსიფიკაცია;
- ✓ გლობალიზაცია და საერთაშორისო ინტეგრაცია.

შესაბამისად, ინოვაციური დაფინანსების განვითარება წარმოადგენს ეკონომიკური პროგრესის, ტექნოლოგიური წინსვლისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას.

საქართველოს კონტექსტში, ინოვაციური დაფინანსების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის ეკონომიკა საჭიროებს ინოვაციური და ტექნოლოგიური სექტორის გაძლიერებას, სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებასა და უცხოური ინვესტიციების ზრდას.

✓ ეფექტურობა

ამოცანის ფარგლებში ღონისძიებების განხორციელება მაღალი ეფექტურობით ხასიათდება. აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილის განმახორციელებელს წარმოადგენს სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო" (GITA).

2021-2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო სტარტაპებისთვის 100,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების და 650,000 ლარიანი ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების (GENIE), ასევე, მცირე გრანტების (15 000 ლარიანი) გაცემა.

აღნიშნულ პერიოდში, თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 40 სტარტაპი, ხოლო მცირე გრანტების ფარგლებში, რომლის მიზანს წარმოადგენს სტარტაპების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა, დაფინანსდა 58 ბენეფიციარი. შედეგად, სტატაპებს გაუჩნდათ ინოვაციურ ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობა.

2023 წელს მცირე გრანტების პროგრამა ჩანაცვლდა ახალი საგრანტო პროექტით – „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის", რომლის ფარგლებშიც, დაფინანსებულ სტარტაპებს მიეცათ გაზრდილი დაფინანსების (25 000 ლარამდე) შესაძლებლობა. პროგრამა განხორციელდა საქართველოს 10 რეგიონში და დაფინანსდა 39 სტარტაპი.

სააგენტო, 2023-2025 წლებში, ასევე, ახორციელებდა თანადაფინანსების საგრანტო პროგრამას სტარტაპებისთვის - 150,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების სახით. ჯამურად, 2021-2025 წლებში, დაფინანსდა 351 სტარტაპი.

აღსანიშნავია, ამოცანის ინდიკატორის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულება, რაც თავის მხრივ დასახული ამოცანისა და მიზნის მიღწევის მაჩვენებელია. კერძოდ, ინოვაციური დაფინანსების სახელმწიფო პროდუქტების ბენეფიციარების რაოდენობა გაორმაგდა და 2025 წლისთვის, 351 სტარტაპი შეადგინა (114%-იანი ზრდა). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამოცანა კვლავაც აქტუალურია.

✓ გავლენა

ამოცანის გავლენა სამიზნე ჯგუფებზე დადებითია. აღნიშნულს, მათ შორის, ადასტურებს ამოცანის ინდიკატორი - მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა, რომლებმაც სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ბენეფიციართა შორის შეიმუშავეს ინოვაციური პროდუქტი (პროტოტიპის დონეზე), ან მომსახურება.

ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელს (2019 წ.) წარმოადგენდა 27 მეწარმე, 2025 წლისთვის, სამიზნე მაჩვენებელს - 100 მეწარმე. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორი

გადაჭარბებით შესრულდა და მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა, რომლებმაც შეიმუშავეს ინოვაციური პროდუქტი[30] 124 შეადგინა.

ინოვაციური დაფინანსების ხელშეწყობამ და დაფინანსების სხვადასხვა ინსტრუმენტების განვითარებამ გაზარდა ბენეფიციარებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მასშტაბი და მიღწეული შედეგების პოზიტიური გავლენა სამიზნე ჯგუფზე.

ამოცანა 5.2. ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *დატრენინგებული ბენეფიციარების რაოდენობა.*

✓ შესაბამისობა

ელექტრონული კომერციის განვითარება თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური მიმართულებაა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, რადგან ელექტრონული კომერცია წარმოადგენს გაყიდვების არხების გაფართოების, მომხმარებელთან პირდაპირი კომუნიკაციის, ახალ ბაზრებზე წვდომისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის მნიშვნელოვან საშუალებას.

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა პროგრესმა, ინტერნეტის ფართო გავრცელებამ და მომხმარებელთა ქცევის ცვლილებამ ელექტრონული ვაჭრობა ბიზნესის, სახელმწიფოებისა და მომხმარებლებისთვის აუცილებელ კომპონენტად აქცია.

ელექტრონული კომერციის მნიშვნელობა და აქტუალობა განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლებში, რაც განპირობებულია რიგი ფაქტორებით, რომელთა შორისაა, გლობალიზაცია და ციფრული ტრანსფორმაცია, პანდემიის გავლენა, ტექნოლოგიური პროგრესი, მომხმარებელთა ქცევის ცვლილება და სხვ.

ციფრული პლატფორმების, ონლაინ გადახდის სისტემებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ბიზნესებისთვის, რომლებიც ცდილობენ ბაზარზე ცნობადობის გაზრდას და ახალი მომხმარებლების მოძიებას.

[30] შენიშვნა: პროდუქტს ქმნის სტარტაპი, რომელშიც რეალურად რამდენიმე მეწარმეა.

✓ ეფექტურობა

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ეფექტურად შესრულდა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ განხორციელებული აქტივობები. კერძოდ, პალატამ, ელექტრონული კომერციის საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მასშტაბური უფასო ტრენინგები (როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურ ფორმატში) განახორციელა, რომლის ფარგლებშიც მეწარმეებს მიეცათ შესაძლებლობა, მიეღოთ როგორც საბაზისო თეორიული, ასევე, პრაქტიკული ცოდნა ელექტრონული კომერციის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, მიღებული იქნა „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელმაც სამართლებრივად დაარეგულირა ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებული ურთიერთობები. ხაზგასასმელია, რომ კანონის მიღებას წინ უძღოდა საჯარო კონსულტაციების უმნიშვნელოვანესი პროცესი, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ ასევე მეწარმეები. შეხვედრების ფარგლებში, დეტალური ფორმატით, განხორციელდა კანონთან მიმართებით ცნობიერების ამაღლება.

ამოცანის ფარგლებში მიღწეული მიზნის ინდიკატორი - ელექტრონული კომერციის მიმართულებით დატრენინგებულ ბენეფიციართა რაოდენობა - წარმატებით შესრულდა. კერძოდ, ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელს წარმოადგენდა არანაკლებ 700 დატრენინგებული ბენეფიციარი. 2021-2025 წლებში კი, ჯამურად, ელ. კომერციის მიმართულებით 2300-მდე მეწარმე დატრენინგდა, რაც დაგეგმილ სამიზნე მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აჭარბებს.

✓ გავლენა

ელექტრონული კომერციის განვითარება მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური ზრდის, ინოვაციების, კონკურენტუნარიანობისა და მომხმარებელთა კეთილდღეობისათვის. თანამედროვე მსოფლიოში მისი აქტუალობა და მეწარმეობის განვითარებაზე პოზიტიური გავლენები მუდმივად იზრდება, რადგან ეკონომიკური და სოციალური პროცესები სულ უფრო მეტად გადადის ციფრულ სივრცეში. ონლაინ ვაჭრობა ზრდის მეწარმეთა შესაძლებლობებს ნაკლები დანახარჯებით გავიდეს უფრო ფართო ბაზარზე და გაზარდოს წვდომა საერთაშორისო ბაზარზეც. ელექტრონული კომერციის დადებითი გავლენები სხვადასხვა მიმართულებით ვლინდება, მათ შორის: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის, საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის, დასაქმების, ინოვაციების, მომხმარებლის კომფორტის, ასევე, გამჭვირვალობისა და კონკურენციის ზრდის მიმართულებით.

ამოცანის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა პოზიტიური გავლენა მოახდინა მეწარმეების ინფორმირებულობის ზრდაზე ელექტრონული კომერციის

შესაძლებლობებისა და სამართლებრივ ჩარჩოსთან მიმართებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც გეგმავენ ონლაინ გაყიდვების არხების გამოყენებას ან ელექტრონულ პლატფორმებზე ინტეგრაციას.

ამოცანა 5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *საკანონმდებლო და ტექნიკური ჩარჩო ფართოზოლოვანი ქსელების განვითარებისთვის.*
- *მეწარმეთა რაოდენობა, რომელთაც გაიარეს ტრენინგი ციფრულ უნარებში.*

✓ შესაბამისობა

საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის საკითხი თანამედროვე ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT) აღარ წარმოადგენს მხოლოდ დამატებით შესაძლებლობას, არამედ, ის კონკურენტუნარიანობის, ეფექტიანობისა და ბაზარზე ოპერირების აუცილებელ პირობად იქცა, შემდეგ ფაქტორთა გათვალისწინებით:

- კონკურენტუნარიანობის ზრდა;
- ბაზარზე წვდომის გაფართოება;
- ეფექტური მართვა და მონაცემების ანალიზი;
- დისტანციური მუშაობისა და მოქნილობის მხარდაჭერა.

ამოცანა სრულად შეესაბამება ქვეყნისა და მცირე და საშუალო მეწარმეების საჭიროებებს, ვინაიდან საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება პირდაპირ არის დაკავშირებული ფართოზოლოვანი ქსელების განვითარებასთან, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობის გამარტივებასთან და ციფრულ სერვისებზე წვდომის გაფართოებასთან. ამოცანის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები პასუხობს იმ პრაქტიკულ საჭიროებებს, რომლებიც უკავშირდება უნივერსალური მომსახურების ამოქმედებას, შენობებში შესაბამისი ფიზიკური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობის წესების მოწესრიგებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამოცანა პოლიტიკის პრიორიტეტთან და მიზანთან მიმართებით მაღალი შესაბამისობით ხასიათდება.

- ✓ ეფექტურობა

ამოცანის ფარგლებში განხორციელდა დაგეგმილი მარეგულირებელი და ტექნიკური ხასიათის აქტივობები. კერძოდ, დამტკიცდა „საქართველოს მთავრობის 2024 წლის 7 ოქტომბრის N337 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „საქართველოს მთავრობის 2024 წლის 7 ოქტომბრის N336 დადგენილება „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის, რადგან ქმნის უფრო მკაფიო სამართლებრივ და ტექნიკურ საფუძველს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების, შენობებში ინფრასტრუქტურაზე დაშვების და სატელეკომუნიკაციო ქსელების მოწყობის პროცესებისთვის.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია ასევე საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები. კერძოდ, ICT ტრენინგების ჩატარება რეგიონებში, მათ შორის, ფრონტ-ენდ დეველოპმენტში, სოციალურ მედია მენეჯმენტსა და ქოფირაითინგში, გრაფიკულ დიზაინში და სხვ.

სააგენტოს მიერ „3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის“ და შემდგომში „5000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში, ასევე, რეგიონალურ ცენტრებსა და ტექნო პარკებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის/პროგრამის ფარგლებში (მათ შორის, Do IT in Georgia, Code IT ტექნოპარკებში) ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები. ბენეფიციარები გადამზადდნენ ციფრულ უნარებში შემდეგი მიმართულებებით: 3D მოდელირება & TinkerCad, Corel draw, Front end development, Web Programming, პროგრამირება, დიზაინი&მართვა და ა.შ. ჯამურად, 2021-2025 წლებში გადამზადდა 10 494 სპეციალისტი.

აღსანიშნავია, ამოცანის ფარგლებში ამ მიმართულებით განსაზღვრული ინდიკატორის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულება. კერძოდ, მეწარმეთა რაოდენობამ, რომელთაც გაიარეს ტრენინგი ციფრულ უნარებში, 10 494 შეადგინა, რაც სამიზნე მაჩვენებელს (3000 მეწარმე), 3-ჯერ აღემატება.

ეფექტურობის კუთხით, უნდა აღინიშნოს, ასევე, ამოცანის ფარგლებში განსაზღვრული ინდიკატორი - ციფრული უნარების ტრენინგების მიმღებ მეწარმეთა რაოდენობაში იმ მეწარმეთა %-ული წილი, რომლებმაც მიიღეს საერთაშორისო სერთიფიკატი, რაც სამუშაოს მიღების წინაპირობას წარმოადგენს. სააგენტოს მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული პროგრამა „Do IT with the EU“ გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით,

კერძოდ, 1,048 მონაწილიდან, ტრენინგი წარმატებით დაასრულა 887-მა (85%). მათგან 654-მა მიიღო საერთაშორისო სერტიფიცირების გამოცდის ვაუჩერი, ხოლო 340-მა მონაწილემ მოიპოვა საერთაშორისო სერტიფიკატი.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს ამოცანის ფარგლებში განხორციელებული მიზნობრივი აქტივობების ეფექტურობას.

- ✓ გავლენა

ამოცანის განხორციელებამ დადებითი გავლენა მოახდინა საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისთვის აუცილებელი მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესებაზე.

მომზადებული საკანონმდებლო და ტექნიკური დოკუმენტები ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის განთავსებისა და გამოყენების პროცესების უფრო სისტემურ მოწესრიგებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში გააუმჯობესებს ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, რადგან ხარისხიანი და ხელმისაწვდომი კავშირი წარმოადგენს ციფრული სერვისების, ელექტრონული კომერციისა და თანამედროვე ICT ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებელ წინაპირობას.

საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025–2030 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში, გაგრძელდება მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკულ დანერგვაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის შემდგომი გაუმჯობესება, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება და მცირე და საშუალო მეწარმეების ციფრულ ეკონომიკაში უფრო ეფექტიანი ჩართვა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით მეწარმეების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულმა აქტივობებმა და ფართოზოლოვანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებამ, ასევე დადებითი გავლენა იქონია და მნიშვნელოვნად გაზარდა მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე, ხოლო ციფრული უნარების/ცნობიერების ამაღლების კომპონენტმა დამატებით შეუწყო ხელი მათი დასაქმების შესაძლებლობების ზრდას.

ამოცანა 5.4. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინტერნეტ ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობა.*
- *ინტერნეტ ქსელებით დაფარული მაღალმთიანი რეგიონების დასახლებული პუნქტების (<200 მოსახლეობით) რაოდენობა (სათემო ინტერნეტიზაცია).*

✓ შესაბამისობა

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე მსოფლიოში და ბუნებრივია საქართველოშიც განსაკუთრებით აქტუალური საკითხია, რადგან იგი პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ პროგრესს. ამოცანა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის, განსაკუთრებით რეგიონებსა და სოფლად. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა წარმოადგენს წინაპირობას ელექტრონული კომერციის, ციფრული სერვისების, ონლაინ განათლების, დისტანციური საქმიანობის, ციფრული მეწარმეობისა და ინოვაციური ბიზნესმოდელების განვითარებისთვის.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. მათ შორის, აღსანიშნავია ფართოზოლოვანი ინტერნეტის მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარების პროცესში. დღეისათვის, თანამედროვე ბიზნესგარემო დიდწილად დამოკიდებულია ციფრულ ტექნოლოგიებზე, ელექტრონულ კომერციასა და ონლაინ სერვისებზე. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი ზრდის შრომის პროდუქტიულობას, აუმჯობესებს კომუნიკაციას და ხელს უწყობს ინოვაციური ეკონომიკური მოდელების განვითარებას.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი უკავშირდება განათლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. დისტანციური სწავლებისა და ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმების განვითარებამ ცხადყო, რომ ხარისხიანი ინტერნეტი აუცილებელია თანამედროვე განათლების სისტემისთვის. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსახლეობის ფართო ფენების ჩართულობას საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პროცესებში.

ასევე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფართოზოლოვანი ქსელების როლი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სერვისების განვითარებაში. ელექტრონული მმართველობა, ციფრული ჯანდაცვა, ონლაინ ბანკინგი და სხვა მომსახურებები დამოკიდებულია სწრაფ და საიმედო ინტერნეტზე. შესაბამისად, ფართოზოლოვანი

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელს უწყობს საჯარო მომსახურებების ეფექტიანობასა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ზრდას.

საკითხის მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოიკვეთა გლობალური ციფრული ტრანსფორმაციისა და პანდემიის პერიოდში, როდესაც დისტანციური მუშაობა და ონლაინ კომუნიკაცია ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელ ნაწილად იქცა. ამ პროცესებმა კიდევ უფრო გაზარდა მოთხოვნა მაღალსიჩქარიან და სტაბილურ ინტერნეტზე.

საქართველოსთვის ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება მნიშვნელოვანია რეგიონული განვითარების თვალსაზრისითაც. ინტერნეტზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ამცირებს ციფრულ უთანასწორობას ქალაქსა და სოფელს შორის, ხელს უწყობს რეგიონების ეკონომიკურ გააქტიურებას და მოსახლეობის სოციალურ ინტეგრაციას.

ამრიგად, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, რადგან იგი ქმნის საფუძველს ეკონომიკური ზრდის, ტექნოლოგიური პროგრესისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

✓ ეფექტურობა

ამოცანის ფარგლებში მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი. კერძოდ, მიმდინარეობდა მაღალმთიან რეგიონებში სათემო ინტერნეტიზაციის ქსელის მშენებლობა, ასევე, საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა. შედეგად, ინტერნეტ ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობამ 2025 წლის მდგომარეობით, 390-ს მიაღწია. მიმდინარეობს მშენებლობა კიდევ 240 დასახლებულ პუნქტში. ინტერნეტ ქსელებით დაფარული მაღალმთიანი რეგიონების დასახლებული პუნქტების რაოდენობა კი 124-ს შეადგენს.

ამოცანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, ასევე, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლად აშენებული ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელების სიგრძე (კმ). ამ მიმართულებით, მშენებლობა დასრულებულია 1850 კმ მონაკვეთზე, ხოლო სამუშაოები მიმდინარეობს დამატებით 1600 კმ მონაკვეთზე. დასრულებული და მიმდინარე მშენებლობების ჯამური მოცულობა შეადგენს 3450 კმ-ს.

მიღწეული პროგრესის მიუხედავად, საბოლოო სამიზნე მაჩვენებლების სრულად მიღწევა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ამოცანა უნდა შეფასდეს როგორც ნაწილობრივ შესრულებული. აღნიშნული განპირობებულია პანდემიისა და მსოფლიოში მიმდინარე

სხვა მოვლენების შედეგად პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და მასალების ფასების, მნიშვნელოვნად ზრდით. შედეგად, საჭირო გახდა პროექტ „ლოგ ინ ჯორჯიას“ ვადის გაგრძელება. აღნიშნულის იმპლემენტაციის ვადა საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით გაიზარდა 2027 წლის ჩათვლით. შესაბამისად, დარჩენილი სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა დაგეგმილია გაგრძელებული პროექტის ფარგლებში.

- ✓ გავლენა

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობამ უკვე შექმნა მნიშვნელოვანი საფუძველი რეგიონებში ინტერნეტზე წვდომის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პირდაპირ გავლენას ახდენს მცირე და საშუალო მეწარმეების შესაძლებლობაზე, გამოიყენონ ციფრული სერვისები, ელექტრონული კომერცია, ონლაინ კომუნიკაცია და ახალი ციფრული არხები.

ამოცანის მდგრადობა მაღალია, რადგან ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მომტანია. ამასთან, რადგან მშენებლობის ნაწილი კვლავ მიმდინარეობს, აღნიშნული მიმართულება გაგრძელდება 2025–2030 წლების ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სტრატეგიისა და 2025–2027 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მშენებლობის დასრულებას, აშენებული ქსელის ეფექტიან გამოყენებას, ბოლო მილის კავშირის განვითარებას.

ამოცანა 5.5 მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების გადაწყვეტილი პრობლემები.*

- ✓ შესაბამისობა

მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება თანამედროვე ციფრული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მათი არსებობა და გაძლიერება ხელს უწყობს კონკურენტული ბაზრის ფორმირებას, რეგიონული კავშირების გაუმჯობესებასა და ინოვაციების დანერგვას.

მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი წვლილი რეგიონების ინტერნეტიზაციისა და ციფრული

უთანასწორობის შემცირების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამოცანა შეესაბამება სატელეკომუნიკაციო ბაზრის განვითარების საჭიროებებს. მცირე და საშუალო ოპერატორების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია კონკურენციის, რეგიონული დაფარვის, შუა და ბოლო მილის კავშირის, მომსახურების ხარისხისა და ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის ეფექტიანი გამოყენებისთვის.

- ✓ ეფექტურობა

ამოცანის ფარგლებში აქტივობები წარმატებით განხორციელდა და შედეგად გაძლიერდა კომუნიკაცია სახელმწიფოს, „ოუფენ ნეტს“, ოპერატორებსა და მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების ასოციაციას შორის. ოპერატორებისთვის სახელმწიფო ქსელზე დაშვების, მომსახურების მიღებისა და პრობლემების იდენტიფიცირების პროცესმა შექმნა პრაქტიკული საფუძველი ბაზარზე არსებული ბარიერების ეტაპობრივად მოსაგვარებლად.

- ✓ გავლენა

ამოცანის განხორციელებამ დადებითი გავლენა მოახდინა მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების საქმიანობის გარემოზე. „ოუფენ ნეტის“ ქსელის გამოყენება 21 ოპერატორის მიერ და 233 მომსახურების გაცემა მიუთითებს, რომ სახელმწიფო ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად გამოიყენება სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდების გაფართოებისთვის.

ამოცანის შედეგების შენარჩუნება საჭიროებს ოპერატორებთან მუდმივ დიალოგს, ტექნიკური და მარეგულირებელი პრობლემების დროულ იდენტიფიცირებას, „ბოლო და შუა მილის“ ინფრასტრუქტურის მხარდაჭერას და ღია დაშვების ქსელის ეფექტიან გამოყენებას.

აღნიშნული მიმართულება მიზანშეწონილია გაგრძელდეს 2025-2030 წლების ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სტრატეგიის ფარგლებში.

ამოცანა 5.6. კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *ტექნოლოგიური გადაცემების პროექტების რაოდენობა, რომელიც კომერციალიზაციის ეტაპზე გადავიდა.*

✓ შესაბამისობა

კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება თანამედროვე ეკონომიკისა და ტექნოლოგიური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. ამოცანა შეესაბამება ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს - კვლევის შედეგების კომერციალიზაციას და მათ ეფექტიან ინტეგრაციას ბიზნეს სექტორში. აღნიშნული მიმართულება კრიტიკულია მეცნიერებასა და ინდუსტრიას შორის კავშირის გასაძლიერებლად და ინოვაციური პროდუქტების ბაზარზე გატანისთვის. კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის პირობებში, სადაც ინოვაცია და ახალი ტექნოლოგიები კონკურენტუნარიანობის მთავარი წყაროა.

საქართველოს კონტექსტში ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის ინოვაციური და ტექნოლოგიური პოტენციალის გაძლიერებისთვის აუცილებელია უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და კერძო სექტორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა. ეს ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი წარმოების განვითარებას, ისე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ზრდას.

✓ ეფექტურობა

ამოცანის ფარგლებში განხორციელდა ქართული სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციის მხარდაჭერა. კერძოდ, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო 2019 წლიდან ახორციელებს „ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამას“ (TTPP), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციას, რომლებიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს. პროგრამა ითვალისწინებს კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე იდეების შერჩევას და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებზე, სანამ მათი წარდგენა მოხდება პოტენციური მომხმარებლებისთვის/კლიენტისთვის საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. „ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამის” ფარგლებში, 2025 წლისთვის, შერჩეულია კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე 13 პროექტი, რომლებზეც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.

✓ გავლენა

კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენებით ხასიათდება, კერძოდ, აღსანიშნავია მისი გავლენები ინოვაციების სწრაფ განვითარებაზე, ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე, კვლევების პრაქტიკულ გამოყენებაზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ინვესტიციებისა და დაფინანსების ზრდაზე და სტარტაპებისა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებაზე.

პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო ინოვაციური ტექნოლოგიების რეალურ სექტორში დანერგვას. მათ შორის, აღსანიშნავია ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი - პროექტი „ფიტოტესტერი“, რომლის ფარგლებშიც, 2025 წლის ივნისში, განხორციელდა ინოვაციური მოწყობილობის საერთაშორისო ვალიდაცია დანიაში. აღნიშნული პროცესი მოიცავდა ტექნოლოგიის გამოცდას ადგილობრივ ფერმერებთან, სასათბურე მეურნეობებსა და აგრო-ბიზნესის წარმომადგენლებთან, რაც მიუთითებს პროექტის პრაქტიკულ გამოყენებადობასა და მის საერთაშორისო პოტენციალზე.

ამრიგად, კვლევის კომერციალიზაციისა და ინოვაციების ბაზარზე გატანის თვალსაზრისით, ამოცანა ხასიათდება მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობითა და პოზიტიური გავლენით.

6 ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

გენდერული თანასწორობის მიღწევა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა და ეკონომიკური ღირებულების შექმნაში ქალის როლის ზრდა მსოფლიოში სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის გლობალურ ტენდენციად ყალიბდება.

გენდერული თანასწორობა გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნაწილია და 17 მიზნიდან მე-5 მიზანი ითვალისწინებს „გენდერული თანასწორობის მიღწევას და ყველა ქალისა და გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესებას". საქართველოს ნაციონალიზებული აქვს მდგრადი განვითარების 17-ივე მიზანი და შესაბამისად, გენედერული თანასწორობის დაცვა ქვეყნის ეროვნული დღის წესრიგის შემადგენელ ნაწილად განისაზღვრა.

ნიშანდობლივია, რომ გენდერული თანასწორობის გაძლიერება ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ნაწილია. კერძოდ, თანაბარი შესაძლებლობები „რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას და მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას"[31] ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს.

შესაბამისად, მდგრადი ზრდისა და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების გზაზე გენდერული თანასწორობის მიღწევა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის გზით, ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად ჩამოყალიბდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიაში 7 პრიორიტეტული მიმართულებიდან ერთ-ერთ, ცალკე პრიორიტეტად „ქალთა მეწარმეობის განვითარება" განისაზღვრა.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, ქალთა სამეწარმეო პოტენციალის ზრდისა და ქალ მეწარმეთა ხელშეწყობის მიმართულებით მთელი რიგი მხარდამჭერი ღონისძიებები და მიზნობრივი პროგრამები განხორციელდა.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით განხორციელებული რეფორმების აღიარებაა „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის" საერთაშორისო შეფასება რეიტინგში „Global Gender Gap 2025", რომლის თანახმადაც საქართველომ 0.729 ქულით 63-ე პოზიცია დაიკავა მსოფლიოს 148 ქვეყანას შორის. აღსანიშნავია, წლების მიხედვით ქვეყნის შეფასების დადებითი დინამიკა, კერძოდ, 2024 წელს საქართველო 0.716 ქულით 69-ე პოზიციას, ხოლო 2023 წელს 0.708 ქულით 76-ე პოზიციას იკავებდა.

[31] ასოცირების ხელშეკრულება, კარი VI, მუხლი 349.
იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

თუმცა, მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ქალთა მეწარმეობის მიმართულება, სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. აქვე, აღსანიშნავია კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისიც, რომლის უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით მწვავედ მეწარმე ქალებზე აისახა.

პრიორიტეტული მიმართულების გავლენის ინდიკატორად განისაზღვრა - მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში დამფუძნებელ ქალ-მეწარმეთა წილი, რომლის საბაზისო მონაცემი (2019 წ.) იყო 36%, ხოლო სამიზნე (2025 წ.) მაჩვენებლად განისაზღვრა 40%. საქსტატის მონაცემების თანახმად, მოქმედი ბიზნეს სუბიექტების პროცენტული წილი, რომელშიც ფიგურირებს ქალი დამფუძნებელი, 36.2%-ს შეადგენს (სულ 264,483 საწარმო, დამფუძნებელი ქალების რაოდენობა 91,550). თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან ყოველწლიურად მზარდია აღნიშნული მონაცემი. კერძოდ, 2019-2026 წლებში, ქალი დამფუძნებლების საშუალო წლიურმა ზრდამ 6.1% შეადგინა. აღსანიშნავია საბაზისო წელთან შთამბეჭდავი ზრდა, კერძოდ, 2026 წელს, საბაზისო 2019 წელთან შედარებით მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდამ, რომელშიც ფიგურირებს ქალი დამფუძნებელი, 60.6% შეადგინა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად გამოხატავს გამოწვევას, რომელიც უკავშირდება ქალთა აუთვისებელ პოტენციალს და ამასთან, ადასტურებს ქალთა ეკონომიკურ ცხოვრებაში მეტად ჩართვისა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ, შესაბამისი მხარდამჭერი პოლიტიკის და სხვადასხვა მიზნობრივი ინსტრუმენტების ფარგლებში, შეიმუშავა და განახორციელა მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები, იმისათვის, რომ ხელი შეეწყო ქალების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობისა და ქვეყანაში ინკლუზიური ზრდის უზრუნველყოფისთვის.

მეექვსე პრიორიტეტული მიმართულება - ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა - აერთიანებს 5 ამოცანას და 10 აქტივობას.

ამოცანა 6.1. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების" (WEPS) პოპულარიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *საინფორმაციო სესიების რაოდენობა.*
- *ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც ადასტურებს რომ ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა დაეხმარება მათ ხელი შეუწყონ თავიანთ საქმიანობაში გენდერულ თანასწორობის საკითხებთან მიმართებით.*

✓ შესაბამისობა

საქართველოსთვის, რომლის მოსახლეობის 52% ქალია, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ეკონომიკური შესაძლებლობების უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. კერძოდ, ემპირიული კვლევებით დასტურდება, რომ გენდერული თანასწორობა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე დაკავშირებულია შემოსავლების უთანასწორობის დაძლევასთან, ეკონომიკური დივერსიფიკაციის გაზრდასა და შესაბამისად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებასთან, რაც საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და აუმჯობესებს განვითარების შედეგებს.

საკითხის მნიშვნელობას და პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2023 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია"[32], რომელიც ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ არსებითი თანასწორობის პრინციპს[33] და მიზნად ისახავს საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხედვის ჩამოყალიბებასა და ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრას. კონცეფცია ასაბუთებს ღონისძიებების როგორც მაკრო, ისე მიკროდონეზე განხორციელების საჭიროებას და მიმართულია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებით საქართველოში თანასწორობის განმტკიცებისკენ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის კეთილდღეობისა და ეკონომიკური დოვლათის გაზრდას. კონცეფცია ნათლად გამოხატავს სახელმწიფოს ნებას, განსაზღვროს გრძელვადიანი ხედვა, პოლიტიკა და პრიორიტეტები, აგრეთვე, გამოყოს უფრო მეტი რესურსი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით არსებითი შედეგის მისაღწევად.

[32] ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია, საქართველოს პარლამენტი;
იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5755428?publication=0
[33] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, პუნქტი 3;
იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამოცანა სრულად ეხმიანება პოლიტიკის მიზნებს, მის შესაბამისობას სამიზნე ჯგუფის საჭიროებებთან, ითვალისწინებს რა მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების პოპულარიზაციას და ბიზნეს სუბიექტებში ცნობიერების ამაღლების გზით მნიშვნელოვანი როლის შესრულებას გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში.

✓ ეფექტურობა

ეფექტურობის კუთხით, მიღწეული შედეგები მნიშვნელოვანი პროგრესით ხასიათდება. კერძოდ, ნაცვლად სტრატეგიით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლის - ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების შესახებ ჯამში 10 საინფორმაციო სესიის ჩატარებისა, 2025 წლისთვის, ქალ მეწარმეთა მხარდაჭერისა და ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, ჯამში, ჩატარდა 67 საინფორმაციო სესია, მათ შორის, ქალ მეწარმეებთან გაიმართა შეხვედრები „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, რომელმაც ხელი შეუწყო მეწარმე ქალების მონაწილეობას პროგრამებში.

ასევე, სააგენტოს მიერ ჩატარდა კომპანიებთან შეხვედრები, ტრენინგები, საინფორმაციო სესიები ქალთა გაძლიერების თემაზე პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირებისა და ქალთა გაძლირების პრინციპების დანერგვის თაობაზე მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით. შედეგების ეფექტურობა დასტურდება, ასევე, ჩატარებული ტრენინგის მონაწილეთა მაღალი პროცენტული წილით, რომელთაც დაადასტურეს რომ ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა დაეხმარება მათ თავიანთ საქმიანობაში გენდერული თანასწორობის საკითხებთან მიმართებით.

✓ გავლენა

ქალთა სამეწარმეო პოტენციალის ზრდისა და ქალ მეწარმეთა ხელშეწყობის მიმართულებით მთელი რიგი მხარდამჭერი ღონისძიებების და მიზნობრივი პროგრამების გავლენები პოზიტიურია.

მოქმედი ბიზნეს სუბიექტების პროცენტული წილი, რომელშიც ფიგურირებს ქალი დამფუძნებელი, 36.2%-ს შეადგენს (სულ 264,483 საწარმო, დამფუძნებელი ქალების რაოდენობა 91,550). აღსანიშნავია საბაზისო წელთან მნიშვნელოვანი ზრდა, კერძოდ, საბაზისო 2019 წელთან შედარებით მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდამ, რომელშიც ფიგურირებს ქალი დამფუძნებელი, 60.6% შეადგინა.

გავლენის თვალსაზრისით, ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტრენინგის

მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც ადასტურებს, რომ ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა მათ დაეხმარება გენდერული თანასწორობის საკითხებთან მიმართებით საქმიანობაში. აღნიშნული ინდიკატორის საბოლოო სამიზნე მაჩვენებელი 2025 წლისთვის 65%-ით იყო განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს დატრენინგებული 80 კომპანიის წარმომადგენელების 98% ადასტურებს, რომ ტრენინგებმა ხელი შეუწყო მათ საქმიანობაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით შესაბამისი სტანდარტების დანერგვის პროცესს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ხაზს უსვამს ამოცანის პრაქტიკულ მნიშვნელობას, მის ფარგლებში განხორციელებული მხარდამჭერი ღონისძიებების შედეგზე ორიენტირებულობას და დადებით გავლენებს სამიზნე ჯგუფებზე. აქტივობებმა ხელი შეუწყო მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტში გენდერული თანასწორობის პრინციპების ცნობადობის ზრდას და მათი დანერგვის მზაობას. გენდერული უთანასწორობის შემცირება და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება კი როგორც შესაძლებლობების, ასევე, შედეგების მიმართულებით, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას და მეორე მხრივ, უზრუნველყოფს შემოსავლების უფრო თანასწორ გადანაწილებას.

ამოცანა 6.2. გენდერული ნიშნით სტატისტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამებში

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *სახელმწიფო პროგრამების სტატისტიკა წარმოდგენილია გენდერული ნიშნით.*

✓ შესაბამისობა

ამოცანა შეესაბამება მიზნობრივი ჯგუფის - მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტის საჭიროებებს და წარმოადგენს პოლიტიკის სწორად დაგეგმვის მნიშვნელოვან წინაპირობას. გენდერული ნიშნით მონაცემების შეგროვება ხელს უწყობს პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას, მიზნობრივი ინტერვენციების უკეთ დაგეგმვას და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამოცანა შეესაბამება ინკლუზიური პოლიტიკის განვითარების საჭიროებებს.

✓ ეფექტურობა

ეფექტურობის კუთხით, მიღწეული პროგრესი პოზიტიურია – გენდერული ნიშნით სტატისტიკა იწარმოება როგორც სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების

სააგენტოს“ ყველა ძირითად პროგრამაზე (7 პროგრამა), ასევე, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ განხორციელებულ ყველა ძირითად პროგრამაზე (5 პროგრამა), ჯამში, 12 პროგრამაზე.

2025 წლისთვის, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ შემდეგ პროგრამებზე იწარმოება გენდერული სტატისტიკა:

- ✓ „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონებში სამეწარმეო და ინოვაციური ეკოსისტემის გაძლიერებას;
- ✓ „Hardware Start-Up Incubator“, რომლის მიზანია საქართველოში ტექნოლოგიური სტარტაპის იდეის მქონე ადამიანების ხელშეწყობა, ელექტრონიკის, პროგრამირებისა და ბიზნეს მენტორშიფის მეშვეობით;
- ✓ „CODE-IT ტექნოპარკებში“, რომლის ფარგლებშიც პირები სწავლობენ პროგრამირების საფუძვლებს;
- ✓ Do IT in Georgia;
- ✓ ინოვაციების საზოგადოების ხელშემწყობი ღონისძიებები - ბანაკები;
- ✓ პრე-აქსელერატორის პროგრამა;
- ✓ ტექნოპარკების განვითარების სხვა პროგრამები.

აღსანიშნავია, რომ ტექნოპარკის სერვისებით მოსარგებლეთა შორის ქალთა წილი სტაბილურად იზრდება და ბენეფიციართა ნახევარზე მეტს სწორედ ქალები წარმოადგენენ (2023 - 53%, 2024 - 52%, 2025 - 54%), რაც მიუთითებს გენდერული ჩართულობის შენარჩუნებასა და შემდგომ გაუმჯობესებაზე.

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამები, რომელზეც იწარმოება გენდერული სტატისტიკა, შემდეგია:

- ✓ საკრედიტო - საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამა;
- ✓ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი;
- ✓ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი;
- ✓ ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი;
- ✓ მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა (2024 წელს აღნიშნულმა პროგრამამ ჩაანაცვლა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა).

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის შესაბამისად, 2025 წლისთვის, საბოლოო სამიზნე მაჩვენებლად 3 პროგრამა იყო განსაზღვრული. აღნიშნული მიუთითებს ინსტიტუციურ განვითარებასა და მონაცემთა მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებაზე.

✓ გავლენა

გენდერული ნიშნით გაუმჯობესებული სტატისტიკა სახელმწიფო პროგრამებში, მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას ახდენს გენდერული პოლიტიკის უკეთ დაგეგმვისა და ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის ინოვაციურ ეკოსისტემაში.

გავლენის თვალსაზრისით, აღნიშნული ასევე ქმნის მყარ საფუძველს ქალთა მონაწილეობის უკეთ გაანალიზებისა და შესაბამისი ეფექტური პოლიტიკის შემუშავებისთვის, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს უწყობს გენდერული პოლიტიკის უკეთ დაგეგმვას და ქალთა მონაწილეობის გაზრდას ინოვაციურ ეკოსისტემაში, რაც დაკავშირებულია უფრო ინკლუზიური ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებასთან.

საერთო ჯამში, ამოცანა ხასიათდება მაღალი შესაბამისობითა და დადებითი სისტემური გავლენით, განსაკუთრებით მონაცემებზე და მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებით.

ამოცანა 6.3. სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

– *„მიკრო გრანტების“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ქალების წილი.*

✓ შესაბამისობა

სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება პირდაპირ შესაბამისობაშია პოლიტიკის პრიორიტეტთან - ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერასთან და ქალთა სამეწარმეო პოტენციალის მაქსიმალური რეალიზების გზით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკაში ქალთა ჩართულობის ზრდაში.

ამოცანის პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისობას ადასტურებს, ასევე, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანა და საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო კონცეფციის სახით შემუშავება.

საქართველომ ქალთა თანაბარი ეკონომიკური მონაწილეობისა და მათი ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, თუმცა, კვლავ არსებობს გამოწვევები, რომლებიც სისტემური მიდგომების დანერგვასა და დამატებითი მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავებას საჭიროებს. მიუხედავად მიღწეული პროგრესისა და დადებითი დინამიკისა, კვლავ რჩება რიგი გამოწვევები, გარკვეული სტერეოტიპები, მათ შორის, სოციალურ-კულტურული ფაქტორებით გამოწვეული, რაც განაპირობებს გენდერულ უთანასწორობას რესურსების ხელმისაწვდომობის

მიმართულებით. აღნიშნული კი, საბოლოოდ, ხელს უშლის ქალთა სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

✓ ეფექტურობა

ზემოაღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამების განმახორციელებელმა სახელმწიფო სააგენტოებმა შეიმუშავეს სახელმწიფო მხარდამჭერ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის სტიმულირების მექანიზმები და მისი ეფექტიანად განხორციელების გზით მიღწეული იქნა პროგრესული შედეგები.

კერძოდ, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ განხორციელდა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა და მასში ქალ მეწარმეთა პრიორიტეტიზაცია. აქვე, აღსანიშნავია სახელმწიფო პროგრამებში მეწარმე ქალთა მონაწილეობის მზარდი დინამიკა. კერძოდ, 2023 წელს, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში მხარდაჭერილი ბენეფიციარებიდან 50%-ს ქალი მეწარმეები წარმოადგენდნენ. 2024 წელს, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა ჩაანაცვლა მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამამ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N229, 12.07.2024)[34].

აღსანიშნავია, რომ პროგრამულ მიდგომებში დაფიქსირდა პოზიტიური ცვლილება - მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაში ქალთა მხარდაჭერა შემოიფარგლებოდა შეფასების პროცესში მხოლოდ დამატებითი ქულის მინიჭებით, კერძოდ, ბენეფიციარების შერჩევის კრიტერიუმებში დადგენილი იყო რამდენიმე კრიტერიუმი, მათ შორის, ქალი მეწარმის მიერ ახალი ბიზნესის წამოწყება/არსებულის გაფართოება, რომელიც გულისხმობდა ქალი მეწარმის მიერ განაცხადის შემოტანის ეტაპზევე დამატებითი ქულის მინიჭებას ამ განაცხადზე. ახალ მიკრომეწარმეობის პროგრამაში კი, ქალებისთვის გათვალისწინებული იქნა უფრო ძლიერი ფინანსური სტიმული, კერძოდ, პროგრამის ფარგლებში აღებულ მიკრო სესხზე დარიცხული პროცენტის სრული სუბსიდირება 5 წლის განმავლობაში. აღნიშნულმა ცვლილებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქალთა რეალური ფინანსური ხელმისაწვდომობა და პროგრამის გავლენა. კერძოდ, 2025 წელს, მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის ახალი პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული 1217 სესხიდან, 766 სესხი (63%) ქალ მეწარმეებზე გაიცა.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია, ასევე, აღინიშნოს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისების მიზნით განხორციელებული აქტივობები. კერძოდ, ქალებისთვის ორგანიზებული AI კვირეული, ტექნოპარკების ბაზაზე განხორციელებული საინფორმაციო სესიები და ქალთა

[34] საქართველოს მთავრობის დადგენილება N229;
იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6226236?publication=0

შესაძლებლობებისა და მათი დასაქმების მიმართულებით განხორციელებული სხვა მიზნობრივი ღონისძიებები.

ქალი მეწარმეების სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართულობის წახალისების და ხელშეწყობის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ააიპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები. კერძოდ, ქალი ფერმერებისთვის განხორციელდა სპეციალურად, ქალებისთვის შექმნილი პროგრამა - „საპილოტე პროგრამა ქალებისთვის“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საპილოტე მუნიციპალიტეტებში ეკონომიკურად არააქტიური ქალების საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად ინტეგრაცია, მათი სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ქალების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის სტიმულირება. აღნიშნული საპილოტე პროგრამის ფარგლებში, რომელმაც მოიცვა 5 რეგიონი, ჯამში, 100 ბენეფიციარი ქალის სრული/ნაწილობრივი დაფინანსება განხორციელდა. განხორციელებული ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 1,329,652 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსებამ 1,196,212 ლარი შეადგინა. ასევე, 3 არსებულ პროგრამაში ქალებისთვის გათვალისწინებული იქნა განსაკუთრებული პირობები, რამაც განაპირობა ქალი ბენეფიციარების მაღალი აქტივობა. ჯამურად, 2021-2025 წლებში სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროექტებში/პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 15 000-ზე მეტმა ქალმა ბენეფიციარმა.

ქალთა გაძლიერებისა და მათი სამეწარმეო შესაძლებლობების განვითარების მნიშვნელობას და მთავრობის მიერ საკითხისადმი სტრატეგიულ მიდგომას ადასტურებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ გენდერული სტრატეგიების/გეგმების დამტკიცება, მათ შორის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სააგენტოების„აწარმოე საქართველოში“ და „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ.

✓ გავლენა

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხის მიმართ სახელმწიფო მხარდაჭერამ, სისტემურმა მიდგომამ და აქტივობების ეფექტიანმა განხორციელებამ დინამიკაში ხელი შეუწყო ქალებითვის უფრო ხელსაყრელი ფინანსური პირობების შექმნას, ქალთა სამეწარმეო პოტენციალის და სამეწარმეო აქტივობის ზრდას, რაც პოზიტიურად აისახება მათ ეკონომიკურ აქტივობაზე, ქვეყნის ეკონომიკაში მათი მონაწილეობის ზრდასა და საბოლოოდ, ბიზნესის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებაზე.

გავლენის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, ქალ მეწარმეთა მხარდამჭერი პოლიტიკის დადებითი შეფასება **OECD „SME Policy Index**“ კვლევაში. კერძოდ, ქალთა მეწარმეობის განვითარების კომპონენტში, რომელიც ქალთა მეწარმეობის სახელმწიფო მხარდამჭერ პოლიტიკას აფასებს და ერთ-ერთია 12 კომპონენტს შორის, საქართველო უმაღლესი 4.74

ქულით შეფასდა და აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებს შორის ლიდერი პოზიცია დაიკავა.

ასევე, საგულისხმოა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგში „**Global Gender Gap 2025**“ საქართველოს პოზიციის გაუმჯობესება, კერძოდ, რეიტინგში საქართველომ 0.729 ქულით 63-ე პოზიცია დაიკავა მსოფლიოს 148 ქვეყანას შორის (2024 - 69-ე პოზიცია, 0.716 ქულით; 2023 წელს - 76-ე პოზიცია 0.708 ქულით).

აღნიშნული წარმატებები ნათლად ადასტურებს საკითხისადმი საქართველოს მთავრობის სისტემური და კომპლექსური მხარდაჭერის არსებობას და ქალთა მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის მიმართ სახელმწიფოს სტრატეგიული მიდგომის პოზიტიურ გავლენას.

ამოცანა 6.4. ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *ქალ-მეწარმეთა რაოდენობა ციფრულ უნარებთან დაკავშირებულ ტრენინგებში.*
- *ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი ციფრული უნარები დაეხმარება ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესებაში.*

✓ შესაბამისობა

ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერების საკითხი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან თანამედროვე დინამიურად განვითარებადი მსოფლიო სულ უფრო სწრაფად გადადის ციფრულ ეკონომიკასა და ტექნოლოგიებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქალი მეწარმეები ფლობდნენ ამ უნარებს, რაც ზრდის მათი სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობებსა და პროდუქტიულობას.

აღსანიშნავია, ასევე, რომ დისტანციური სამუშაოებისა და ონლაინ განათლების ზრდამ კიდევ უფრო გაზარდა ციფრული კომპეტენციების მნიშვნელობა. ციფრული ცოდნა და უნარები ქალებს ეხმარება საკუთარი ბიზნესის დაწყებაში, ონლაინ პლატფორმების გამოყენებაში, ინოვაციური იდეების რეალიზებასა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლაში.

✓ ეფექტურობა

ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები მაღალი ეფექტურობით ხასიათდება. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, ციფრულ უნარებთან დაკავშირებულ ტრენინგებში ქალ-მეწარმეთა მონაწილეობის მაჩვენებელი,

რომლის საბოლოო სამიზნე მაჩვენებელი 600 მეწარმე ქალით იყო განსაზღვრული. 2021-2025 წლებში 2400-მდე ქალი მეწარმე მონაწილეობდა მიზნობრივ ტრენინგებში.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ განხორციელებული აქტივობები, მათ შორის, პროექტი „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება გაციფრულების გზით“ (დონორი ორგანიზაცია - კანადის ფონდი ადგილობრივი ინიციატივებისთვის (CFLI)), რომლის ფარგლებში ჩატარდა 6 ტრენინგი. გარდა ამისა, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერითა და ჩეხეთის მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციასთან პარტნიორობით განხორციელდა პროექტი „ხელოვნური ინტელექტი ბიზნესისთვის“, რომლის ფარგლებში პროექტის 12 ბენეფიციარისთვის (მათ შორის, 10 ქალი ბენეფიციარი) ჩატარდა ტრენინგები. ამ ბენეფიციარებს შორის გაიმართა იდეათონი, რომლის დროსაც მონაწილეებმა წარადგინეს ინოვაციური იდეები. გამოვლინდა 4 საუკეთესო პროექტი. პროექტის 4 გამარჯვებული ბენეფიციარი (მ.შ. 3 ქალი ბენეფიციარი) სასწავლო ვიზიტით ჩეხეთში გაემგზავრა. ჯამურად, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ 465-მდე ქალი მეწარმე დატრენინგდა.

ქალთა ინოვაციური შესაძლებლობების, ციფრული და ტექნოლოგიური უნარების გაძლიერების კუთხით, ასევე, აღსანიშნავია სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ განხორციელებული მიზნობრივი ღონისძიება - ქალთა ტექნოლოგიური, ინოვაციური, ხელოვნური ინტელექტის და STEAM ბანაკების ორგანიზება, რომელიც ჩატარდა, მათ შორის, რეგიონებში. ჯამურად, სააგენტოს მიერ ორგანიზებული იქნა 15 ტექნოლოგიური ბანაკი.

✓ გავლენა

ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერებას მრავალმხრივი გავლენა აქვს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღევანდელ გლობალურ მსოფლიოში, სადაც მზარდი ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, ციფრული ტექნოლოგიები თითქმის ყველა სფეროში გადამწყვეტ როლს თამაშობს, მათ შორის, ეკონომიკურ განვითარებაში. ამ თვალსაზრისით, ქალთა სამეწარმეო აქტივობის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქალთა ციფრული და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ამაღლებას. გავლენები კომპლექსურია, მათ შორის ქალებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის, გენდერული უთანასწორობის შემცირების, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და ქალთა მეწარმეობის განვითარების მიმართულებით.

გავლენის კუთხით, მნიშვნელოვანია, ასევე, აღინიშნოს ტრენინგის მონაწილეებთან ჩატარებული უკუკავშირი. კერძოდ, გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ

მონაწილეთა 95% თვლის, რომ ტრენინგებზე შეძენილი ციფრული უნარები დაეხმარება მათ ბიზნეს/ტექნოლოგიური მიმართულებით საქმიანობის გაუმჯობესებაში. შესაბამისად, აღნიშნული შედეგი ადასტურებს, რომ განხორციელებული აქტივობები არსებითად პასუხობდა სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ქალებში ციფრული უნარების გაძლიერება არა მხოლოდ ინდივიდუალური განვითარების საკითხია, არამედ ის არის მდგრადი, კონკურენტუნარიანი და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი.

ამოცანა 6.5. სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *გენდერული მიდგომების განვითარებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა.*
- *ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი. რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში გენდერზე დაფუძნებული მიდგომის თვალსაზრისით.*

✓ შესაბამისობა

გენდერული თანასწორობა წარმოადგენს საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკის მნიშვნელოვან პრინციპს. სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს ქალებისა და მამაკაცების, ასევე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თანაბარი მონაწილეობა საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ხაზგასმაც, რომ საქართველოში აღნიშნული საკითხი კონსტიტუციურ დონეზე არის განსაზღვრული, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“.[35]

საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ასევე, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ფარგლებში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციები ხაზს უსვამს სახელმწიფო ინსტიტუტების

[35] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, პუნქტი 3;
იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

გაძლიერების აუცილებლობას გენდერული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისთვის.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, მხარეებს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი სფეროა „თანაბარი შესაძლებლობები და ანტიდისკრიმინაცია, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას და მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას“[36].

გენდერულად დაბალანსებული მიდგომების და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებისა და ეფექტიანი განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებებში შესაბამისი ცოდნის, მექანიზმების და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება. სახელმწიფო სტრუქტურებში შესაბამისი უნარების/კვალიფიკაციის გაჩენა და შემდგომი გაძლიერება.

საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან მიუხედავად საკანონმდებლო პროგრესისა, აღმასრულებელი მიმართულებით არაერთი მხარდამჭერი მექანიზმის შემუშავებისა და პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელებისა, კვლავ არსებობს გამოწვევები, მათ შორის, ეკონომიკურ აქტივობასა და შრომის ბაზარზე გენდერული უთანასწორობის მიმართულებით.

სწორედ ამიტომ, ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში, ერთ-ერთ შემადგენელ ამოცანად განისაზღვრა სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების განვითარება გენდერული ასპექტების და გენდერული მიდგომების მიმართულებით, რომელიც, მათ შორის, მოიცავს საჯარო მოხელეთა გადამზადებას გენდერულ საკითხებში, მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს გენდერული ნიშნით, გენდერულ ანალიზს, პოლიტიკის დაგეგმვასა და შეფასებაში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას.

✓ ეფექტურობა

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში მიღწეულია პროგრესი. კერძოდ, ამ მიმართულებით, ერთ-ერთ ინდიკატორად განისაზღვრა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა. აღნიშნულის სამიზნე მაჩვენებლად, 2025 წლისთვის, 10 ტრენინგი იყო განსაზღვრული, რაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა და უნდა აღინიშნოს, რომ 2021-2025 წლებში, სააგენტოების „აწარმოე საქართველოში“, „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

[36] ასოცირების ხელშეკრულება, კარი VI, მუხლი 349,
იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

სამინისტროს მიერ, გენდერული მიდგომების განვითარების მიმართულებით, ჯამურად, 21 ტრენინგი ჩატარდა.

გენდერული ასპექტების მიმართულებით (გენდერი და გენდერული ურთიერთობები, გენდერული მეინსტრიმინგი), გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) აქტიური ჩართულობით, ასევე, გადამზადდნენ ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" თანამშრომლები.

აღსანიშნავია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და UN Women-ის ერთობლივი ორგანიზებით განხორციელებული სხვადასხვა უწყების საჯარო მოხელეთა გადამზადება გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) მიმართულებით.

ტრენინგები მიზნად ისახავდა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა უნარ-ჩვევების განვითარებას პოლიტიკის წარმოებაში გენდერული ასპექტების ინტეგრირების მიზნით. ტრენინგებზე განხილული თემები მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: გენდერული გავლენის შეფასების (GIA) ცნება და მისი მნიშვნელობა, უკეთესი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში GIA-ს როლი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების პროცესში GIA-ს ინსტრუმენტისა და გენდერზე დაფუძნებული სხვა მექანიზმების - RIA-ს და GRB-ის („გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტი") ურთიერთკავშირი და სხვ.

✓ გავლენა

გენდერული ასპექტების მიმართულებით სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაზრდა არა მხოლოდ ადმინისტრაციულ განვითარებას ისახავს მიზნად, არამედ, პირდაპირ პოზიტიურ გავლენას ახდენს გენდერულად დაბალანსებული პოლიტიკის შემუშავებასა და მის ეფექტიან განხორციელებაზე. აღნიშნული კი ინკლუზიური სოციალური და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ტრენინგის მონაწილე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა 80% აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული ცოდნა/უნარები სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში გენდერულ პოლიტიკასთან მიმართებით.

7 მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

თანამედროვე გლობალური გამოწვევების ფონზე, მწვანე ეკონომიკის განვითარება სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის მიმართულებად ყალიბდება. მწვანე ეკონომიკა გულისხმობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას გარემოსდაცვითი სტანდარტების მაქსიმალური დაცვით და მიზნად ისახავს არსებული რესურსების ეფექტიან და რაციონალურ გამოყენებას მათი ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატივებით ჩანაცვლების გზით.

მწვანე ზრდა მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომელიც ფართოდ არის ინტეგრირებული გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნებში და მოიცავს ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივ დაცვას, მდგრად მოხმარება/წარმოებას და მწვანე ზრდას. შესაბამისად, მწვანე ეკონომიკის განვითარება ქვეყნის ეროვნული დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია.

აღსანიშნავია, ასევე, რომ მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომლის თანახმად „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში".[37]

საქართველოში მწვანე ზრდის, როგორც ზრდის ახალი წყაროს, ხელშეწყობა თანდათან იზრდება და სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. საკითხის აქტუალობას და გლობალურ მნიშვნელობას ადასტურებს, ასევე, სტრატეგიაში „მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის" ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყოფა. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში, ბოლო წლების განმავლობაში, სამეწარმეო საქმიანობაში ეტაპობრივად დაიწყო გარემოსადმი მეგობრული ქმედებების დანერგვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკაში მწვანე ზრდის მიმართულებების გაძლიერებას და გარემოსდაცვითი სტანდარტების განვითარებას. ამ ეტაპზე, ფართოდ არის დანერგილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) მექანიზმი, ასევე, მოქმედებს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება" (მგვ). მწვანე მიმართულებით საკანონმდებლო ჩარჩო ეტაპობრივად უახლოვდება ევროკავშირის სამართლებრივ ჩარჩოს, მათ შორის, დამტკიცდა საქართველოს კანონები - „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ", „ენერგოეფექტურობის შესახებ", „შენობების

[37] ასოცირების ხელშეკრულება, კარი VI, მუხლი 301,
იხ. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

ენერგოეფექტურობის შესახებ“ და ასევე, მათგან გამომდინარე რიგი ტექნიკური რეგლამენტები.

აღნიშნული ნაბიჯები და შემდგომი პროგრესული რეფორმები ეტაპობრივად უზრუნველყოფს მწვანე ზრდის ხელშეწყობას და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვით ეკონომიკის მდგრად განვითარებას, თუმცა, გამოწვევები კვლავ რჩება, რომელიც საჭიროებს საქართველოს მთავრობის მხრიდან სტრატეგიულ მიდგომას და მიზნობრივი, შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებას.

მეშვიდე პრიორიტეტული მიმართულება - მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - აერთიანებს 3 ამოცანას და 5 აქტივობას.

ამოცანა 7.1. მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.*

✓ შესაბამისობა

მწვანე ზრდის სტრატეგია თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მიიჩნევა, რადგან იგი აერთიანებს ეკონომიკურ პროგრესს, გარემოს დაცვასა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

მწვანე ზრდის სტრატეგიის აქტუალობა განსაკუთრებით გამოიკვეთა ისეთი საერთაშორისო შეთანხმებების შემდეგ, როგორიცაა Paris Agreement და United Nations-ის მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs). აღნიშნული დოკუმენტები ქვეყნებს ავალდებულებს ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვას ისეთი პრინციპებით, რომლებიც ამცირებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას და ხელს უწყობს დაბალნახშირბადიანი ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

საქართველოსთვის მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესისა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი ვალდებულებების გათვალისწინებითაც. ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, მათ შორის, განახლებადი ენერგიის, ენერგოეფექტურობის, გარემოსადმი მეგობრული მწვანე ტექნოლოგიების მიმართულებებით, რაც ქმნის წინაპირობას მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის. ამასთან, მწვანე პოლიტიკის განხორციელება ხელს უწყობს ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და ურბანული განვითარების ეკოლოგიური სტანდარტების გაუმჯობესებას.

✓ ეფექტურობა

მწვანე ეკონომიკის განვითარება მთავრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, 2022 წლის ბოლოს, ინიცირებული იქნა მწვანე ზრდის სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი. ჩამოყალიბდა მწვანე ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის უწყებათაშორისი საბჭო და სამუშაო ჯგუფი. სტრატეგიის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით. საერთაშორისო ექსპერტის მიერ მომზადებული სტრატეგიის პირველადი დოკუმენტის პროექტი შენიშვნებისთვის დაეგზავნა მწვანე ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფის წევრებს.

ამ ეტაპზე, შემუშავებულია მწვანე ზრდის 2027-2030 წლების სტრატეგიის დოკუმენტის პროექტის საბოლოო ვერსია, რომელშიც ასახულია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის წევრების შენიშვნები და წინადადებები. დოკუმენტი საბოლოო პროცედურებს გადის, რომლის შემდგომ წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

✓ გავლენა

მწვანე ზრდის სტრატეგია ითვალისწინებს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს, სადაც ეკონომიკური ზრდა აღარ ეყრდნობა ბუნებრივი რესურსების ინტენსიურ ექსპლუატაციას, არამედ, ის ეფუძნება განახლებადი ენერგიის განვითარებას, ენერგოეფექტურობის ზრდას, მწვანე ტექნოლოგიების დანერგვას, ნარჩენების მართვის გაუმჯობესებას, ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი ბიზნესპრაქტიკის ხელშეწყობას და სხვა. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს როგორც გარემოს დაცვას, ასევე, ინოვაციების, ინვესტიციებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. შესაბამისად, მწვანე ეკონომიკა განიხილება არა მხოლოდ ეკოლოგიურ, არამედ ეკონომიკურ შესაძლებლობადაც.

ამრიგად, მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება, მისი მიღება და შემდგომ მისი განხორციელება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობაზე, გარემოს დაცვასა და საზოგადოების გრძელვადიან კეთილდღეობაზე.

ამოცანა 7.2. ეკო-ინოვაციის მიდგომის პოპულარიზაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *კომპანიათა რაოდენობა, რომელთანაც შედგა საინფორმაციო შეხვედრები.*
- *მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა, რომელშიც ეკოინოვაციური მიდგომა დანერგილია.*

✓ შესაბამისობა

ეკოინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციის შესაბამისობა მწვანე ეკონომიკის განვითარების მიზანთან პირდაპირი და მჭიდროდ დაკავშირებულია, რადგან ორივე მიმართულება ეფუძნება მდგრადობას, რესურსების ეფექტიან გამოყენებას და გარემოზე ზემოქმედების შემცირებას.

ეკოინოვაცია გულისხმობს ისეთი ახალი ტექნოლოგიების, პროდუქტების, სერვისებისა და მართვის მოდელების დანერგვას, რომლებიც ამცირებს გარემოსდაცვით ზიანს. მწვანე ეკონომიკის მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის - ეკონომიკური ზრდა, რომელიც ეფუძნება რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ეკოსისტემების შენარჩუნებას. ეკოინოვაცია კი ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას და სრულად შეესაბამება მწვანე ეკონომიკის პრინციპებს, რომლებიც ეფუძნება „ნაკლების გამოყენებასა და მეტის მიღებას“.

ასევე, მნიშვნელოვანია ეკონომიკური ასპექტი - ეკოინოვაცია ქმნის ახალ ბაზრებსა და სამუშაო ადგილებს (მაგალითად, განახლებადი ენერგიის, ეკოლოგიური წარმოებისა და „მწვანე“ ტექნოლოგიების სფეროში), რაც იმის ნათელი დასტურია, რომ გარემოს დაცვა არა თუ არ ეწინააღმდეგება ეკონომიკურ განვითარებას, არამედ, გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრირებით, ხელი ეწყობა გრძელვადიან ეკონომიკურ მდგრადობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეკოინოვაციის პოპულარიზაცია არა მხოლოდ შესაბამისობაშია მწვანე ეკონომიკის განვითარების მიზნებთან, არამედ, წარმოადგენს მის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას და მთავარ ინსტრუმენტს, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ პროგრესსა და გარემოს დაცვას ერთიან, მდგრად სისტემაში.

ეკოინოვაციური მიდგომის პოპულარიზაციის მიმართულებით განხორციელებული მიზნობრივი აქტივობები (საინფორმაციო სესიები, ფორუმები, კვლევები) შეესაბამება მცირე და საშუალო მეწარმეობის სეგმენტის საჭიროებებს და ხელს უწყობს ეკო-ინოვაციური მიდგომების შესახებ ცნობიერების ზრდას ბიზნეს სექტორში.

✓ ეფექტურობა

ეფექტურობის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით და ეფექტურად შესრულდა.

2021-2025 წლებში, კომპანიების აქტიური მონაწილეობით განხორციელდა საინფორმაციო სესიები/ტრენინგები მდგრადობის პრინციპებზე - გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მიმართულებით. ჯამურად, სესიებში 915-მდე კომპანია მონაწილეობდა, მაშინ, როდესაც 2025 წლისთვის სამიზნე მაჩვენებელი იყო საინფორმაციო სესიები არანაკლებ 100 კომპანიასთან.

პროგრესი აღინიშნა კომპანიებში ეკო-ინოვაციური მიდგომის დანერგვის მიმართულებით. კერძოდ, 2025 წლისთვის, ეკო-ინოვაციური მიდგომა დანერგილია 40-მდე კომპანიაში. აღსანიშნავია, რომ სამიზნე მაჩვენებელი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. კერძოდ, 2025 წლისთვის, პროგნოზირებული მაჩვენებელი იყო 8 კომპანია.

✓ გავლენა

ამოცანის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა პირდაპირი პოზიტიური გავლენა იქონია სამიზნე ჯგუფზე - მცირე და საშუალო მეწარმეობის სეგმენტზე, რომლის წარმომადგენლებმა ეკო-ინოვაციურ და მდგრადობის პრინციპებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების შედეგად, შეძლეს მათ საწარმოებში ეკო-ინოვაციური მიდგომის პრაქტიკაში დანერგვა, რაც ცვლის ქცევას უფრო ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი მიმართულებით. აღნიშნული კი მწვანე ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ამოცანა 7.3. მწვანე დაფინანსების განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *„მწვანე" ფინანსური პროდუქტების არსებობა.*
- *მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის არსებობა.*

✓ შესაბამისობა

მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, მნიშვნელოვანია იმგვარი რეფორმების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ფინანსური რესურსების მწვანე, სტაბილური და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მობილიზებას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ფინანსურ სისტემას აკისრია, რადგან მდგრადი განვითარება არ არსებობს მდგრადი დაფინანსების გარეშე - იქნება ეს საჯარო თუ კერძო. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკების პოლიტიკაში გარემოსდაცვითი, სოციალური და სხვა მდგრადი განვითარების საკითხების გათვალისწინება. საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკი, ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერებას უწყობს ხელს და ამ მიზნით, მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ავითარებს. ეს ჩარჩო ფინანსური სექტორის მონაწილეების მიერ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების

გათვალისწინებას, ESG საკითხებთან დაკავშირებული რისკების მართვასა და ფინანსური ნაკადების ისეთი პროექტებისკენ მიმართვას გულისხმობს, რომლებსაც დადებითი გარემოსდაცვითი ან/და სოციალური ეფექტი გააჩნიათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამოცანა სრულად შეესაბამება როგორც ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტებს, ასევე, საერთაშორისო მდგრადი ფინანსების დღის წესრიგს.

ეროვნული ბანკის მიერ 2022 წელს, დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან აქტიური თანამშრომლობით შემუშავებული მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია წარმოადგენს კლასიფიკაციის სისტემას, რომელიც მოიცავს როგორც მწვანე, ასევე, სოციალურ ტაქსონომიას და განსაზღვრავს იმ ეკონომიკურ აქტივობებს, რომლებიც გარემოსდაცვით, სოციალურ და ფართო მდგრადობის მიზნებს ემსახურება.

ტაქსონომიის დანერგვას თან ახლავს შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების მოთხოვნებს. რეგულაციის მიხედვით, 2023 წლიდან კომერციულ ბანკებს შეუძლიათ სესხის მწვანედ, სოციალურ ან მდგრადად კლასიფიცირება მხოლოდ ტაქსონომიით განსაზღვრული ტექნიკური კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რაც უზრუნველყოფს მონაცემების თანმიმდევრულობასა და შედარებადობას.

ტაქსონომია სრულად არის შესაბამისობაში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, თუმცა, ამავე დროს მორგებულია საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსური სექტორის სპეციფიკაზე. მისი მთავარი მიზანია მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და ქვეყნის მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანა.

ამასთან, 2025 წელს მიღებული GSS+ (მწვანე, სოციალური და მდგრადობასთან დაკავშირებული) ობლიგაციების რეგულაცია დამატებით აძლიერებს ბაზრის სანდოობას, უზრუნველყოფს „greenwashing"-ის პრევენციას და ხელს უწყობს მდგრადი ინვესტიციების განვითარებას კაპიტალის ბაზარზე.

✓ ეფექტურობა

ეფექტურობის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ მიზნობრივი აქტივობები სრულად შესრულდა, რაც გამოიხატება მდგრადი დაფინანსების ბაზრის სწრაფ ზრდაში. 2023 წლის დასაწყისში, ტაქსონომიასთან შესაბამისი მწვანე სესხების მოცულობა დაახლოებით 368 მლნ. ლარს შეადგენდა, ხოლო 2025 წლის დეკემბერში 1.88 მლრდ ლარს მიაღწია, რაც გასამმაგებული მაჩვენებელია.

2024 წელს, გაცემულ საერთო სესხებში ტაქსონომიასთან შესაბამისი მწვანე სესხების წილი 1%-ს შეადგენდა. 2025 წლის ბოლოსთვის კი, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2.7%-ს

შეადგენდა. აღნიშნული ადასტურებს, რომ მწვანე დაფინანსება ეტაპობრივად ინტეგრირდება საბანკო სექტორის საქმიანობაში.

სექტორულად, დაფინანსება ძირითადად კონცენტრირებულია განახლებად ენერგიაში (63%), რაც შეესაბამება ქვეყნის ენერგეტიკულ პრიორიტეტებს, თუმცა, იკვეთება დივერსიფიკაციის ნიშნებიც (მშენებლობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა).

ამავდროულად, კაპიტალის ბაზარზე GSS+ ინსტრუმენტების განვითარებაც აქტიურად მიმდინარეობს. ბოლო წლებში ქართულმა კომპანიებმა დაიწყეს მწვანე, სოციალური და მდგრადი ობლიგაციების გამოშვება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. განსაკუთრებით აქტიური იყო 2022–2023 წლები, როდესაც ადგილობრივ ბაზარზეც დაიწყო მსგავსი ობლიგაციების ემისია. 2025 წელს, დამატებით ჯამურად გამოიცა 279 მილიონი აშშ დოლარის GSS+ ობლიგაციები.

აღნიშნული დინამიკა მიუთითებს, რომ რეგულაციური ჩარჩო ეფექტიანად უწყობს ხელს როგორც საბანკო, ასევე, კაპიტალის ბაზრის განვითარებას მდგრადი ფინანსების მიმართულებით.

✓ გავლენა

მნიშვნელოვანია სტრუქტურული ცვლილებები ფინანსურ სექტორში, რომელიც განაპირობა მწვანე დაფინანსების განვითარების მიმართულებით განხორციელებულმა მიზნობრივმა მიდგომებმა, კერძოდ:

- ჩამოყალიბდა ტაქსონომიაზე დაფუძნებული მდგრადი დაფინანსების ბაზარი;
- გაიზარდა მწვანე ფინანსური პროდუქტების მოცულობა და წილი მთლიან პორტფელში;
- გაძლიერდა კომერციული ბანკების ჩართულობა და ანგარიშგების ხარისხი;
- განვითარდა კაპიტალის ბაზარი GSS+ ობლიგაციების მეშვეობით.

აღნიშნული ღონისძიებები განაპირობებს ბაზრის ცნობიერების ზრდას, ESG პრინციპების ინტეგრაციას და მდგრადი ფინანსების ეკოსისტემის ჩამოყალიბებას. GSS+ რეგულაციის ამოქმედება დამატებით გააძლიერებს ბაზრის სანდოობას, შეამცირებს „greenwashing“-ის რისკებს და ხელს შეუწყობს კერძო კაპიტალის მობილიზებას მდგრადი მიმართულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნული დაკავშირებულია ეკონომიკურ ზრდაში გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების ინტეგრირებასთან, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ მდგრადობას.

ამოცანა 7.4. საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *საკანონმდებლო ჩარჩო დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას.*

✓ შესაბამისობა

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომლობა მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის, ასევე, ენერგეტიკის სფეროებში. კერძოდ, ხელშეკრულების თანახმად, მხარეებს შორის პარტნიორობა ემყარება რეგულაციურ დაახლოებას ენერგეტიკის დარგში, მათ შორის, ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებისა და ხელშეწყობის, ასევე, მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელების მიმართულებით, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაზრდის გზით, ასევე, თანამედროვე, სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს წარმოების ეკოლოგიურად მდგრადი მოდელების ჩამოყალიბებას (მუხლები: 297, 298, 301). ხელშეკრულების თანახმად, მათ შორის, განსაზღვრული იყო საქართველოს მიერთება ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან.

ენერგეტიკული გაერთიანება არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობას ენერგეტიკული უსაფრთხოების, ენერგეტიკული მდგრადობისა და გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ენერგეტიკული გაერთიანების წევრი 2017 წელს გახდა და 2025 წელს პირველად იყო ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით, მათ შორის, DCFTA-ით და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, განისაზღვრა რიგი საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლებიც ხელს უწყობს და პირდაპირ შესაბამისობაშია მწვანე ზრდის პოლიტიკის მიზნების განხორციელებასთან. ასევე, განისაზღვრა საკანონმდებლო დაახლოება სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში (SPS).

✓ ეფექტურობა

2019-2020 წლებში, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებითა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, მიღებული იქნა საქართველოს კანონები: „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“, „ენერგოეტიკეტირების შესახებ“,

„ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“. ასევე, კანონები ითვალისწინებდნენ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების - ტექნიკური რეგლამენტების მიღებას, რომელიც წარმატებით შესრულდა.

✓ გავლენა

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მწვანე ეკონომიკის განვითარების, მათ შორის, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით განხორციელებულმა ღონისძიებებმა პოზიტიური ასახვა ჰპოვა OECD „SME Policy Index“ რეიტინგში. კვლევა აღმოსავლეთ პარტნიორობის *(EaP)* ქვეყნებს *(საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა)* აფასებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკის „ევროპის მცირე ბიზნესის აქტთან“ („Small Business Act for Europe“) შესაბამისობის თვალსაზრისით.

ინდექსი მოიცავს 12 კომპონენტს, რომელიც ფასდება 1-დან 5 ქულამდე. აღნიშნული კომპონენტებიდან ერთ-ერთია მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა. კერძოდ, აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს ქულა საბაზისო 2019 წლისთვის 3.05 იყო, ხოლო საბოლოო მაჩვენებელი 2025 წლისთვის 3.27 ქულით განისაზღვრა. სწორედ ამ ქულით შეფასდა საქართველო 2024 წელს OECD „SME Policy Index” მე-4 რაუნდში.

მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობის მიმართულებით რეიტინგში მიღწეული პროგრესი ნათლად ადასტურებს მწვანე ეკონომიკის განვითარებისადმი საქართველოს მთავრობის სტრატეგიული ხედვის ეფექტიანობას და იმ კომპლექსური ღონისძიებების ეფექტურობას, რომელიც განხორციელდა, მათ შორის, ეკოინოვაციის მიდგომის პოპულარიზაციის, მწვანე დაფინანსების განვითარების, გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლების, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებითა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების და სხვა მიმართულებებით.

ამოცანა 7.5. ეკოტურიზმის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

- *საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.*
- *ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კეთილმოწყობილი ბილიკები.*
- *დაცული ტერიტორიების გაზრდილი ფართობი.*

- ✓ შესაბამისობა

ეკოტურიზმი მწვანე ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია, რომელიც ნიშნავს პასუხისმგებლიან მოგზაურობას ბუნებაში, გარემოს, დაცული ტერიტორიების დაცვასა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეკოტურიზმი „მწვანე ტურიზმის“ სახეობაა, რომელიც ხელს უწყობს მოწყვლადი რეგიონების, გარემოსა და თემების შენარჩუნებას და წარმოადგენს დაბალი ზემოქმედების მქონე, ხშირად, სტანდარტული, მასობრივი ტურიზმის ალტერნატივას.

ამოცანის ფარგლებში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ საკითხის მიმართ სტრატეგიული მიდგომიდან გამომდინარე, ეროვნული სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ეკოტურიზმის ასოციაციის ჩართულობით დამტკიცდა „საქართველოს ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია 2020-2030“.

სტრატეგია შეესაბამება საქართველოს ტურიზმის ეროვნულ სტრატეგიას, ასევე, ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით დაცული ტერიტორიებისა და ეროვნული სატყეო სააგენტოების ხედვასა და სტრატეგიებს. სტრატეგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ეკოტურიზმი ხალხზე, თემზე ორიენტირებული და ადგილობრივ რესურსებზე დაფუძნებული მახასიათებლებით მჭიდრო კავშირშია აგრო და თემზე დაფუძნებულ ტურიზმთან და მდგრადი განვითარების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს“. შემუშავდა ეკოტურიზმის 2020–2030 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, სტრატეგია ემსახურება ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზანს და სრულად შეესაბამება ქვეყნის ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პრიორიტეტებს. აღნიშნული პოლიტიკა ერთდროულად პასუხობს როგორც საერთაშორისო ვიზიტორების მზარდ მოთხოვნას ეკოლოგიურად პასუხისმგებლიან გამოცდილებაზე, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოების საჭიროებას.

ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის, მათ შორის დაცულ ტერიტორიებზე საფეხმავლო ეკოტურისტული ბილიკების კეთილმოწყობას უდიდესი როლი აქვს ეკოტურიზმის განვითარებაში. დაცულ ტერიტორიებზე კეთილმოწყობილი ბილიკები წარმოადგენს ვიზიტორთა ინტერესის მნიშვნელოვან ობიექტს, რაც დასტურდება საანგარიშო პერიოდში მათი გაზრდილი რაოდენობით. ამასთან, კეთილმოწყობილი ბილიკები უზრუნველყოფს ვიზიტორთა უსაფრთხოებას და მათი გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთობით ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკოტურიზმის განვითარების ამოცანა სრულად შეესაბამება როგორც ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ პრიორიტეტებს, ასევე, მდგრადი განვითარების გლობალურ დღის წესრიგს, განსაკუთრებით, მწვანე ეკონომიკისა და პასუხისმგებლიანი ტურიზმის მიმართულებით. ამასთან, იგი პასუხობს

როგორც ბენეფიციართა, ასევე, ქვეყნის დონეზე არსებულ საჭიროებებს, მათ შორის, რეგიონებში ტურისტული პროდუქტების დეფიციტს, ბუნებრივი რესურსების არასაკმარისად ეფექტიან გამოყენებასა და რეგიონულ ეკონომიკურ უთანაბრობას.

შესაბამისად, აღნიშნული ამოცანის აქტუალობა შენარჩუნებულია და კიდევ უფრო იზრდება ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი ტურიზმის მიმართ გლობალური მოთხოვნის ზრდის ფონზე. ვიზიტორთა ქცევისა და მოთხოვნის ანალიზი აჩვენებს, რომ ეკოტურიზმის მიმართულება სრულად პასუხობს ბაზრის ტენდენციებს:

- საერთაშორისო ვიზიტორების შემთხვევაში, ბუნებასთან და აქტიურ ტურიზმთან დაკავშირებული მოტივაცია შეადგენს დაახლოებით 40–60%-ს[38],
- შიდა ვიზიტორებში ბუნებაზე დაფუძნებული რეკრეაციული აქტივობები (ლაშქრობა, პიკნიკი და სხვ.) წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან მოტივაციას და შეადგენს დაახლოებით 30-50%-ს[39].

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ განხორციელებული აქტივობები სწორად არის მორგებული როგორც საერთაშორისო, ასევე, შიდა ბაზრის მოთხოვნებზე და პირდაპირ პასუხობს ეკოტურისტული პროდუქტების ზრდის საჭიროებას, შედეგად კი, ამოცანის მიზნებს.

✓ ეფექტურობა

ეფექტურობის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანის აქტივობები სრულად შესრულდა დაგეგმილი ვალდებულებების შესაბამისად. კერძოდ, ბილიკების მარკირების მაჩვენებელმა დაგეგმილ საპროგნოზო შედეგს გადააჭარბა და ნაცვლად 2025 წლისთვის სამიზნედ განსაზღვრული 10 ახალი კეთილმოწყობილი ბილიკისა, 2021-2025 წლებში, დაცულ ტერიტორიებზე სულ მოეწყო/რეაბილიტირდა 39 ბილიკი, ჯამში 627 კმ სიგრძის.

მნიშვნელოვანი პროგრესის დადასტურებაა, ასევე, ეკოტურიზმის სტრატეგიაში განსაზღვრული ინდიკატორი - დაცული ტერიტორიების ვიზიტორების რაოდენობის ზრდა 2025 წლისთვის, დაახლოებით 25%-იანი პროგნოზირებული მატებით, რომელიც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით (2020 - 240,268; 2025 - 1,250,417, ზრდა 420%-ით, 5-ჯერ ზრდა)[40] შესრულდა.

აქვე, აღსანიშნავია დაცული ტერიტორიების ფართობის ზრდა, კერძოდ, 2025 წლისთვის, ნაცვლად პროგნოზირებული 185,000 ჰა-თი ზრდისა, დაცული ტერიტორიების ფართობი

---

[38] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2026). საერთაშორისო ვიზიტორთა კვლევა. თბილისი. იხ. ბმული: https://gnta.ge/

[39] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2026). *შიდა ვიზიტორთა კვლევა*. თბილისი. იხ. ბმული: https://gnta.ge/

[40] დაცული ტერიტორიების სააგენტო. (2026). დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა (2007–2024). თბილისი. იხ. ბმული: https://apa.gov.ge/ge/statistika/vizitorta-statistika

გაიზარდა 259 704 ჰა-თი და 2025 წლის მდგომარეობით, ჯამურად, საქართველოს დაცული ტერიტორიების ფართობმა 929,996 ჰა შეადგინა.

დიაგრამა 3. დაცული ტერიტორიების ფართობების დინამიკა (ათასი ჰა)



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

დაცულ ტერიტორიებზე 2025 წელს (1 250 417 ვიზიტორი), 2020 წლის მონაცემებთან შედარებით (240 268 ვიზიტორი), ვიზიტორების რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა თავის მხრივ დადებითად აისახება დაცული ტერიტორიების მიმდებარე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

დიაგრამა 4. დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა დინამიკა (ათასი კაცი)



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

მიღწეული შედეგები მიუთითებს ეკოტურიზმის სექტორის სტრუქტურირებულ განვითარებაზე, რეგიონული ტურიზმის გაძლიერებასა და ეკოსისტემების დაცვის გაუმჯობესების მიმართულებით დადებით ტენდენციებზე.

✓ გავლენა

გავლენის შეფასების თვალსაზრისით, ამოცანამ და მის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა განაპირობა როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი პოზიტიური შედეგები. პირდაპირი გავლენა მოიცავს ეკოტურიზმის სექტორის ინსტიტუციურ გაძლიერებასა და ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარებას, ხოლო არაპირდაპირი გავლენა ვლინდება ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციაში, გარემოსდაცვითი სტანდარტების გაუმჯობესებასა და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის გაძლიერებაში.

ამოცანის ფარგლებში, უზრუნველყოფილია ვიზიტორთა უსაფრთხოების ზრდა და ბუნებრივი ტერიტორიების უფრო ეფექტიანი მართვა, ვინაიდან ტურისტული ნაკადები კონცენტრირდება განსაზღვრულ მარშრუტებზე. დამატებით, ვიზიტორთა ინტერესის მაღალი წილი მიუთითებს, რომ ბილიკების განვითარება პირდაპირ გავლენას ახდენს ტურისტული ნაკადების ზრდასა და მათი განაწილების ოპტიმიზაციაზე. არაპირდაპირი პოზიტიური გავლენა ვლინდება ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებაში, გიდობისა და მომსახურების სექტორის განვითარებაში, ასევე, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაში.

დაცული ტერიტორიების დაარსება და/ან გაფართოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. დაცულ ტერიტორიებზე გამართული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობა ქმნის მიზიდულობის ცენტრებს, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის დასაქმების რეალურ შესაძლებლობებს აჩენს. ეს პროცესი ხელს უწყობს საოჯახო სასტუმროების, კვებისა და გიდის მომსახურების სექტორების ზრდას, პარალელურად კი სტიმულს აძლევს ტრადიციული მეურნეობების განვითარებასა და ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციას.

ამოცანა 7.6. გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

- *ტრენინგების იმ კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი, ვისაც მიაჩნია, რომ შეძენილი ცოდნა დაეხმარება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაში.*

✓ შესაბამისობა

გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლებას მწვანე ეკონომიკის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება. მეტიც, ის პირდაპირი საფუძველია მწვანე ეკონომიკის განვითარებისათვის.

მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებზე რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგს იძლევა:

- მეწარმეები იწყებენ რესურსების (ენერგია, წყალი, ნედლეული) უფრო ეფექტიან გამოყენებას, რაც ამცირებს ხარჯებს და გარემოზე ზეწოლას;
- იზრდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და სერვისების შექმნა;
- მარტივდება „მწვანე“ სტანდარტებისა და რეგულაციების დანერგვა;
- ძლიერდება ინოვაცია და ახალი, მდგრადი ბიზნეს-მოდელების განვითარება.

ცნობიერების ამაღლების გარეშე - თუ რატომ არის მნიშვნელოვანი გარემოს დაცვა ან რა სარგებელი მოაქვს მათთვის - მეწარმეებისთვის ნაკლებად ცხადი ხდება და შესაბამისად, ინტერესიც მცირდება თუ რატომ უნდა განახორციელონ მათ მწვანე პრაქტიკები. შედეგად, აღნიშნული ამოცანა დაკავშირებულია მდგრადი განვითარების ხელშეწყობასთან, კონკურენტუნარიანობის გაძლიერებასთან (განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზრებზე) და გარემოსდაცვითი რისკების შემცირებასთან.

პოლიტიკის მიზნები და ამოცანები მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებდა აქტუალურობას და სრულად პასუხობდა მცირე და საშუალო მეწარმეების, მათ შორის, აგრარულ სექტორში მოქმედი სუბიექტების საჭიროებებს.

განხორციელებული საგანმანათლებლო, საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები მიზნობრივად იყო დაგეგმილი და ორიენტირებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, მდგრადი განვითარების და მიმდინარე საკანონმდებლო რეგულაციებთან შესაბამისობის გაძლიერებაზე.

სასერტიფიკატო კურსები, ისევე, როგორც ტრენინგები მწვანე და აგრარული, მათ შორის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პრაქტიკების შესახებ, ასევე, საინფორმაციო შეხვედრები საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, ეფექტიანად პასუხობდა როგორც ბენეფიციართა პრაქტიკულ საჭიროებებს, ასევე, პოლიტიკის ამოცანებსა და მიზნებს. აქტივობების შინაარსი და ფორმატი მორგებული იყო სექტორის სპეციფიკაზე და უზრუნველყოფდა მიღებული ცოდნის რეალურ საქმიანობაში გამოყენებას.

✓ ეფექტურობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორის შეფასება ადასტურებს, რომ დასახული მიზნები და ამოცანები მიღწეულია. კერძოდ, ინდიკატორი, რომელიც ასახავს იმ კურსდამთავრებულთა წილს, რომლებიც აფასებენ, რომ მიღებული ცოდნა დაეხმარებათ გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაში, ნაცვლად სამიზნედ განსაზღვრული 60%-ისა, უფრო მაღალია და 2025 წლისთვის 70%- შეადგინა.

აღნიშნული შედეგი ადასტურებს, რომ განხორციელებული აქტივობები არსებითად პასუხობდა პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს. ტრენინგების პრაქტიკაზე

ორიენტირებული მიდგომა, ბენეფიციართა საჭიროებებზე მორგებული შინაარსი და მიღებული ცოდნის გამოყენება წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებმაც ხელი შეუწყო შედეგის მიღწევას.

ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ მიზნის მიღწევის მიუხედავად, რჩება გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი პოტენციალი. კერძოდ, ზოგიერთ რეგიონში აქტივობების ეფექტიანობაზე გავლენა იქონია რესურსების სიმწირემ, ბენეფიციართა ინტერესის არათანაბარმა დონემ და გარკვეულ შემთხვევებში ენობრივმა ბარიერმა, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის თვალსაზრისით. აღნიშნული ფაქტორები ნაწილობრივ ზღუდავდა აქტივობების სრული მასშტაბით განხორციელებასა და მათი შედეგების მაქსიმალურ ეფექტს.

შესაბამისად, მიზანშეწონილია შემდგომ პერიოდში უფრო მეტად გაძლიერდეს მცირე და საშუალო მეწარმეებზე მიმართული აქტივობები, გაიზარდოს აღნიშნული სექტორის დაფარვა და უზრუნველყოფილ იქნას მიზნობრივი ჩართულობის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს ინდიკატორის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

✓ გავლენა

ამოცანის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგებმა პოზიტიური გავლენა მოახდინა ბენეფიციართა ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევის კუთხით.

პირდაპირი გავლენა გამოიხატა იმაში, რომ მონაწილეებმა მიიღეს პრაქტიკული და გამოყენებადი ცოდნა გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, რაც ზრდის გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებასა და მათ საქმიანობაში ეკომეგობრული პრაქტიკების გამოყენების შესაძლებლობას.

არაპირდაპირი გავლენა გამოვლინდა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის გაძლიერებაში, სამეწარმეო საქმიანობის მიმდინარე საკანონმდებლო რეგულაციებთან შესაბამისობის გაუმჯობესებასა და მცირე და საშუალო მეწარმეთა შორის მდგრადი პრაქტიკების ეტაპობრივ დანერგვაში.

მნიშვნელოვანია, რომ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება ქმნის საფუძველს მიღწეული შედეგების გრძელვადიანი ეფექტის შენარჩუნებისთვის, რაც ზრდის პოლიტიკის საერთო გავლენას. ამასთან, ყოველივემ დამატებით შეუწყო ხელი მეწარმეთა სექტორის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას.

სამომავლოდ მიზანშეწონილია აქტივობების კიდევ უფრო მიზნობრივი მორგება სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებზე, მათ შორის ენობრივი და რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს მიღწეული შედეგების კიდევ უფრო გაღრმავებას.

გამოწვევები და რეკომენდაციები

ძირითადი გამოწვევები შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებით

შესაბამისობა - სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანებისა უმრავლესობა კვლავ აქტუალურია და მათ მიმართ, შეფასების ფარგლებში როგორც შესაბამისობის, ასევე აქტუალურობის კუთხით არსებითი რისკები ან გამოწვევები არ დაფიქსირებულა;

ეფექტურობა - ამოცანების უმრავლესობას აქვს მაღალი ეფექტურობა. შეფასებული 42 ამოცანიდან[41] სრულად შესრულებულია 31 ამოცანა (74%), მეტწილად შესრულებულია 9 (22%), ნაწილობრივ შესრულებულია 1 ამოცანა (2%), ხოლო შეუსრულებელია 1 ამოცანა (2%). სტრატეგიის ამოცანების და მათი შესრულების ინდიკატორების გაზომვის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სტრატეგიის შესრულების საშუალო მაჩვენებელი 93%-ს შეადგენს.

გავლენა - სტრატეგიის ხუთწლიანი განხორციელების პროცესმა, რიგ შემთხვევაში პირდაპირი, რიგ შემთხვევაში კი არაპირდაპირი სისტემური პოზიტიური გავლენა მოახდინა ქვეყნის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაზე. აღნიშნული გამოიხატა საკანონმდებლო მარეგულირებელი ბაზის დახვეწის, სამეწარმეო უნარების განვითარების, შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ტენდენციების შესწავლის, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერის, ციფრული და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, მეწარმეებისთვის საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობის, არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების პოტენციალის მაქსიმალური ათვისების, ქალ მეწარმეთა მხარდაჭერისა და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობის მიმართულებით.

გამოწვევები ამოცანის ინდიკატორების შესრულების მიმართულებით

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში, ამოცანის ინდიკატორების შესრულების შეფასებისას, გამოწვევა გამოიკვეთა **შემდეგი მიმართულებებით:**

[41] შეფასებისას გამოყენებულია 4-დონიანი შეფასების შკალა (სრულად შესრულებული 100%; მეტწილად შესრულებული 51-99%; ნაწილობრივ შესრულებული 1-50%; შეუსრულებელი 0%). აღნიშნულის შესაბამისად, შესრულების % შეფასდა შემდეგი ფორმულით: შესრულების მაჩვენებელი (%)=$\sum(N_i \times W_i)/N$, სადაც: N_i = შესაბამის კატეგორიაში არსებული ამოცანების რაოდენობა; W_i = ამ კატეგორიისთვის მინიჭებული წონა (%); N = ამოცანების საერთო რაოდენობა (OECD Development Assistance Committee (DAC) — შეფასების კრიტერიუმებისა და შედეგებზე დაფუძნებული მონიტორინგის მეთოდოლოგიები).

ამოცანა 1.4. კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1: კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ზრდა.

> საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ მიიღო სათანადო გადაწყვეტილებები, ხოლო შესაბამისმა პირებმა აღასრულეს მათ მიმართ გამოცემული გადაწყვეტილება. აღნიშნულმა უზრუნველყო ბაზარზე შესვლის ანტიკონკურენტული ბარიერის მოიხსნა და ბაზარი გაიხსნა ეკონომიკური აგენტების ფართო ჯგუფისთვის. მიუხედავად ამ გარემოებისა, გამოწვევად დარჩა ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის დათვლა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.3: კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა.

> საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ მიიღო სათანადო გადაწყვეტილებები, ხოლო შესაბამისმა პირებმა აღასრულეს მათ მიმართ გამოცემული გადაწყვეტილება. თუმცა აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის შეფასების შედეგად, პირდაპირი და არაპირდაპირი კავშირი შესაბამის ბაზარზე სამუშაო ადგილების გაზრდასთან დაკავშირებით გამოწვევად დარჩა.

ამოცანა 1.6. სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.1: მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა MY.GOV.GE-ზე.

> 2025 წლისთვის, მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა my.gov.ge-ზე 40-ს შეადგენს, რაც საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 10-ით ნაკლებია. აღნიშნული შემცირება my.gov.ge-ზე, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებიდან, ხოლო მეორე, მხრივ პორტალის ტექნიკური განახლებით. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს" მიერ დაწყებულია და ეტაპობრივად მიმდინარეობს 2023 წელს გათიშული სერვისების აღდგენა/ოპტიმიზაცია და ინტეგრაცია პორტალზე, ერთ-ერთ გამოწვევას, ასევე, წარმოადგენს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების დეფიციტი.

ამოცანა 1.8. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან დაკავშირებით და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.8.2: სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომების რაოდენობა.

> ჯამურად, 2021-2025 წლებში ჩატარებულია DCFTA-ს განხორციელების საკონსულტაციო ჯგუფის (DAG) და სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო

საბჭოს (TAG) 3 სხდომა. აღნიშნული განაპირობა, სხვა ფორმატში საკითხების განხილვების გააქტიურებამ.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.8.3: DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების რაოდენობა, რომელთან დაახლოების მიზნით მომზადებული საკანონმდებლო პროექტები კომენტარებისთვის განთავსებულია DCFTA.GOV.GE-ზე.

2021-2025 წლებში საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროკავშირის 81 საკანონმდებლო აქტს (სამიზნე მაჩვენებელი 120). სამიზნე მაჩვენებლის შეუსრულებლობა განაპირობა DCFTA-ის დანართებით განსაზღვრული აქტების რაოდენობრივმა შემცირებამ/გაერთიანებამ.

ამოცანები: 2.7 და 5.4

ამოცანა 2.7. ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.7.1: ციფრული წიგნიერების (მათ შორის ციფრული უნარების) ხელშემწყობი პროგრამებით მოცული დასახლებების რაოდენობა.

„ციფრული მხარდაჭერის პროგრამა" პროგრამით დაიფარა 300 სოფელი/დასახლება (სამიზნე მაჩვენებელი 500), ჯამში, ჩატარდა 800-მდე ტრენინგი და გადამზადდა 10 000-ზე მეტი ადგილობრივი ბენეფიციარი.

ამოცანა 5.4. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.4.1: ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინტერნეტ ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობა.

2025 წლის მდგომარეობით, ინტერნეტი ჩართულია 390 დასახლებულ პუნქტში (სამიზნე მაჩვენებელი 1064). მიმდინარეობს მშენებლობა კიდევ 240 დასახლებულ პუნქტში.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.4.2: ინტერნეტ ქსელებით დაფარული მაღალმთიან რეგიონების დასახლებული პუნქტების (<200 მოსახელეობით) რაოდენობა (სათემო ინტერნეტიზაცია).

2025 წლისთვის, ინტერნეტ ქსელებით დაფარული მაღალმთიანი რეგიონების დასახლებული პუნქტების რაოდენობა შეადგენს 124-ს (სამიზნე მაჩვენებელი 174).

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.4.3: ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლად აშენებული ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელების სიგრძე (კმ)

2025 წლისთვის მშენებლობა უკვე დასრულებულია 1850 კმ მონაკვეთზე (სამიზნე მაჩვენებელი 5000 კმ). მშენებლობა მიმდინარეობს დამატებით 1600 კმ მონაკვეთზე. დასრულებული და მიმდინარე მშენებლობების ჯამური მოცულობა შეადგენს 3450 კმ-ს.

ამოცანის ფარგლებში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, საბოლოო სამიზნე მაჩვენებლების სრულად მიღწევა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. აღნიშნული განპირობებულია პანდემიისა და მსოფლიოში მიმდინარე სხვა მოვლენების შედეგად პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და მასალების ფასების, მნიშვნელოვნად ზრდით. შედეგად, საჭირო გახდა პროექტ „ლოგ ინ ჯორჯიას“ ვადის გაგრძელება. აღნიშნულის იმპლემენტაციის ვადა საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით გაიზარდა 2027 წლის ჩათვლით. შესაბამისად, დარჩენილი სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა დაგეგმილია გაგრძელებული პროექტის ფარგლებში.

ამასთან, ამ ამოცანების (ამოცანა 2.7 და ამოცანა 5.4) შესრულების ინდიკატორების მიმართულებით დაფიქსირებულ გამოწვევებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული ეკონომიკა წარმოადგენს სწრაფად მზარდ და დინამიკურად ცვალებად მიმართულებას, რაც საჭიროებს საქართველოს მხრიდან როგორც მიმდინარე გამოწვევებზე, ისე საერთაშორისო მიდგომებსა და სტანდარტებზე დროულ და თანმიმდევრულ რეაგირებას. შეფასებული ამოცანების ფარგლებში მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი, თუმცა ცალკეული მიმართულებები კვლავ საჭიროებს გაგრძელებას, შემდგომ განვითარებასა და პრაქტიკულ გაძლიერებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ციფრული უნარების განვითარებისა და ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა, მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობა ჩაერთონ ელექტრონული კომერციის გლობალურ სივრცეში, ასევე, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და „ბოლო მილის“ მიმართულებით მხარდაჭერის გაგრძელება. აღნიშნული მიმართულებებით მუშაობა გაგრძელდება როგორც საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა პლატფორმებთან თანამშრომლობის ფორმატში, რაც ხელს შეუწყობს მიღწეული შედეგების მდგრადობასა და ქვეყნის ციფრული ეკონომიკის განვითარებას.

ამოცანა 7.1. მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.1.1: მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით. პროექტი გადის საბოლოო

პროცედურებს, რომლის შემდგომ წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

მიუხედავად ამ ეტაპზე მწვანე ზრდის 2027-2030 წლების სტრატეგიის საბოლოო პროექტის შემუშავებისა, სტრატეგია დამტკიცებული არ არის.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, შემდგომი სტრატეგიების შემუშავების თანმიმდევრობის შენარჩუნება. ასევე, მიზანშეწონილია ახალი სტრატეგიის შემუშავებისას სიღრმისეული სიტუაციის ანალიზის პარალელურად, საერთაშორისო სარეიტინგო/საშემფასებლო ორგანიზაციების კვლევისა თუ შეფასების რაუნდების დროს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მიზნით შემოთავაზებული მიგნებების გათვალისწინება. აღნიშნულ რეკომენდაციას განაპირობებს წინამდებარე სტრატეგიის მაღალი ეფექტურობით შესრულება, რაც განაპირობა სტრატეგიის შემუშავებისას როგორც, სიღრმისეული სიტუაციის ანალიზის, ასევე OECD-ის 2018 წელს წინა სტრატეგიის იმპლემენტაციის მონიტორინგის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების[42] და „SME Policy Index - 2020"[43] OECD-ის კვლევის ანგარიშში, საქართველოსთან მიმართებით შემუშავებული საგზაო რუკით განსაზღვრული საკითხების და რეკომენდაციების გათვალისწინებამ;
- მიზანდასახული სტრატეგიის განხორციელება ძლიერ უწყებათაშორის კოორდინაციასა და თანამშრომლობას მოითხოვს. რეკომენდებულია შემდგომი სტრატეგიის შემუშავებისთვის შექმნილი საკოორდინაციო მექანიზმის, გასაკუთრებით მისი ტექნიკური დონის (სამუშაო ჯგუფების), შენარჩუნება/მოქმედება სტრატეგიის განხორციელებისთვის. ასევე, რეკომენდებულია სტრატეგიაში ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რაც გააძლიერებს უწყებათაშორის კოორდინაციას და თანამშრომლობას;
- რეკომენდებულია, მაკოორდინებელი ორგანოს მიერ უზრუნველყოფილი იქნას შემდგომი სტრატეგიის საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში შემუშავება;
- რეკომენდებულია, რომ სტრატეგიის ის ამოცანები და მიზნები, რომლებსაც გააჩნია აქტუალურობის მაღალი მაჩვენებელი, გათვალისწინებული და შენარჩუნებული იყოს შემდეგ სტრატეგიაშიც;
- რეკომენდებულია შემდეგ სტრატეგიაში საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის გამოყენება. აღნიშნული რეკომენდაცია განპირობებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება/დანერგვის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე.

[42] OECD „Monitoring Georgia's SME Development Strategy 2016- 2020", 2018
[43] https://www.oecd.org/en/publications/sme-policy-index-eastern-partner-countries-2020_8b45614b-en.html

ცხრილები და დანართები

ცხრილი 1. მიზნების გავლენის ინდიკატორების მატრიცა

პრიორიტეტი 1: საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება				
მიზანი 1.	**მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის და ფუნქციონირების შესაძლებლობების შექმნა/გაფართოება**			
გავლენის ინდიკატორი 1.1	SMEs მიერ გამოშვებული პროდუქცია	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	ფაქტობრივი (2025 წ.[44])
		27.7 მლრდ. ლარი	**ზრდა 20%**	**ზრდა - 87% (52.0 მლრდ. ლარი)**
პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა				
მიზანი 2.	**მცირე და საშუალო მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება სამეწარმეო უნარებისა და სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობის გზით.**			
გავლენის ინდიკატორი 2.1	პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) ანგარიშის თანახმად	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	ფაქტობრივი (2024 წ.)
		62%	**65%**	**78.7%**
პრიორიტეტი 3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება				
მიზანი 3.	**მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენების ზრდა**			
გავლენის ინდიკატორი 3.1	მცირე და საშუალო საწარმოების ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	ფაქტობრივი (2024 წ.)[45]
		2.5 მლრდ. ლარი	**ზრდა 15%**	**ზრდა 16.4% (2.9 მლრდ. ლარი)**
პრიორიტეტი 4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა				
მიზანი 4.	**მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება**			
გავლენის ინდიკატორი 4.1	მცირე და საშუალო მეწარმეობის ექსპორტი	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	ფაქტობრივი (2025 წ.) [46]
		1.9 მლრდ. ლარი	**40% ზრდა**	**2.7 მლრდ. ლარი, ზრდა 42% ზრდა**
პრიორიტეტი 5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა ხელშეწყობა				
მიზანი 5.	**მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლება ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის გზით**			

[44] შენიშვნა: 2025 წლის კვარტალური მონაცემი. 2025 წლის წლიური მონაცემი ხელმისაწვდომი იქნება „საქსტატის“ კალენდრის შესაბამისად, 2026 წლის 1 ოქტომბერს.
[45] 2025 წლის წლიური მონაცემი ხელმისაწვდომი იქნება „საქსტატის“ კალენდრის შესაბამისად 2026 წლის 1 ოქტომბერს;
[46] წინასწარი მონაცემი; დაზუსტებული მონაცემი ხელმისაწვდომი იქნება „საქსტატის“ კალენდრის შესაბამისად.

გავლენის ინდიკატორი 5.1	OECD „SME Policy Index" კვლევაში „SME Inovation Policy" ინდიკატორში საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	ფაქტობრივი (2025 წ.)
		3.27	**გაუმჯობესებული/შენარჩუნებული მაჩვენებელი**	**3.44**
პრიორიტეტი 6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა				
მიზანი 6.	**მცირე და საშუალო მეწარმე ქალთა ზრდა/განვითარება გლობალური კონკურენციის გათვალისწინებით**			
გავლენის ინდიკატორი 6.1	მოქმედ ბიზნეს სუბიექტებში დამფუძნებელ ქალ-მეწარმეთა წილი	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	ფაქტობრივი (2025 წ.)
		36%	**40%**	**36.2%**
პრიორიტეტი 7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა				
მიზანი 7.	**მცირე და საშუალო საწარმოთა მწვანე ეკონომიკაში ჩართულობის ხელშეწყობა**			
გავლენის ინდიკატორი 7.1	OECD „SME Policy Index" კვლევაში „მწვანე ეკონომიკაში მცირე და საშუალო მეწარმეები" ინდიკატორში საქართველოს შეფასების შენარჩუნება/გაუმჯობესება	საბაზისო მაჩვენებელი (2019 წ.)	საბოლოო მაჩვენებელი (2025 წ.)	ფაქტობრივი (2025 წ.)
		3.05	გაუმჯობესებული/შენარჩუნებული მაჩვენებელი	**3.27**

ცხრილი 2. ამოცანების შედეგის ინდიკატორების მატრიცა

პრიორიტეტი 1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება				
ამოცანა	**ინდიკატორი**	**საბაზისო (2019 წ.)**	**სამიზნე (2025 წ.)**	**ფაქტობრივი (2025 წ.)**
1.1 ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით	1.1.1 OECD „SME POLICY INDEX" კვლევაში „ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩოს" კომპონენტის ქულა.	4.2	გაუმჯობესებული/ შენარჩუნებული ქულა	4.37
	1.1.2 კანონმდებლობის ცვლილებისას ხორციელდება RIA SME ტესტი.	არა	კი	კი
	1.1.3 საბაჟო კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და საბაჟო პროცედურები გამარტივებულია.	მიღებულია ახალი საბაჟო კოდექსი	მიღებულია საბაჟო კოდექსის აღსრულებისთვის კოდექსით გათვალისწინებული ნორმატიული აქტები	შემუშავებულია აქტები
1.2 მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება და	1.2.1 გადამზადებული პერსონალი, ვინც ადასტურებს, რომ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას და უნარებს ყოველდღიურ მუშაობაში იყენებს.	არა	70%	სსიპ „აწარმოე საქართველოში" - 83%; სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო" - 81%.

მდგრადობის უზრუნველყოფა	1.2.2 მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სისტემის საბიუჯეტო დაფინანსება.	164.9 მლნ.ლარი	237.7 მლნ.ლარი	496 მლნ. ლარი
	1.2.3 შერჩეული სახელმწიფო პროგრამების გავლენის შეფასების განხორციელება.	1	4	8
1.3 მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება	1.3.1 მიმართულების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო მეწარმეობის დეტალური სტატისტიკა.	მცირე და საშუალო მეწარმეობის მაჩვენებლები ხელმისაწვდომია 5 მიმართულებით.	„მცირე და საშუალო მეწარმეობის მაჩვენებლები ხელმისაწვდომია 8 მიმართულებით 3 ახალი მიმართულების ჩათვლით.	მცირე და საშუალო მეწარმეობის მაჩვენებლები ხელმისაწვდომია 8 მიმართულებით: 1. ბიზნეს სექტორის სტატისტიკური მაჩვენებლები; 2. ბიზნეს სექტორი გენდერულ ჭრილში; 3. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში; 4. საწარმოთა ინოვაციური აქტივობა; 5. ბიზნეს რეგისტრი; 6. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; 7. ექსპორტი; 8. იმპორტი.
1.4 კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა	1.4.1 კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ზრდა.	N/A	პოზიტიური ცვლილება	N/A
	1.4.2 ტრენინგები კონკურენციის კანონმდებლობაზე.	0 ტრენინგი	მინიმუმ 3 ტრენინგი/ კონფერენცია/ სემინარი წლიურად.	74 ტრენინგი/ ღონისძიება და 2 კონფერენცია.
	1.4.3 კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების მიხედვით, შესაბამის ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა.	N/A	პოზიტიური ცვლილება	N/A
1.5 ბიზნეს დავების სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტა	1.5.1 არბიტრაჟის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად.	15 არბიტრაჟი, რომელთაგან 55% მცირე და საშუალო საწარმოებს უკავშირდება.	60 არბიტრაჟი; არბიტრაჟის საქმეთა სულ მცირე 50% მცირე და საშუალო საწარმოებს უკავშირდება.	27 დავა; 45% უკავშირდება საშუალო საწარმოებს.
	1.5.2 მედიაციის დასრულებული საქმეების რაოდენობა წლიურად.	150 მედიაცია	გაზრდილი საბაზისო მაჩვენებელი	ჯამურად, 2021-2025 წლებში, მორიგებით დასრულებული საქმეები - 345 მედიაცია (დასრულებული საქმეების 27.4%).

	1.5.3 ბიზნესომბუდსმენისადმი მომართვების რაოდენობა.	საბაზისო მაჩვენებელი (2020) 1253, მათ შორის, 80% მოდის მცირე და საშუალო მეწარმეობაზე.	სამიზნე მაჩვენებელი (2025) შემცირება 20%-ით; მათ შორის, 80% მოდის მცირე და საშუალო მეწარმეობაზე.	შემცირდა 82%-ით.
1.6 სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა	1.6.1 მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა MY.GOV.GE-ზე.	50	150	40
	1.6.2 მომხმარებელთა პროცენტული წილი, რომელთაც ელექტრონული სერვისი მიიჩნიეს 1) სასარგებლოდ 2) მარტივად მოსახმარად.	არა	80%	93%
	1.6.3 მომხმარებლების მიერ ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა მთლიან განცხადებებში.	605 883	გაზრდილია 20 %-ით	2025 წელს ელექტრონულად დარეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 16%-ით გაიზარდა და 1,563,162 განცხადება შეადგინა, საბაზისო, 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებით კი ზრდამ 158% შეადგინა.
1.7 გაკოტრების და რეაბილიტაციის სისტემის განვითარება	1.7.1 გადახდისუუნარობის საქმეთა მთლიან რაოდენობაში ლიკვიდაციის ნაცვლად საწარმოს რეაბილიტაციით დასრულებულ გადახდისუუნარობის საქმეთა წილი.	5%	ჯამურად არანაკლებ 15%	30%
1.8 მცირე და საშუალო მეწარმეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციების ცვლილებებთან დაკავშირებით და საჯარო-კერძო დიალოგის განვითარება	1.8.1 კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა.	არანაკლებ 2 სხდომა წლიურად	ყოველ კვარტალური „კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს“ სხდომები და დამატებით საჭიროებიდან გამომდინარე.	20 სხდომა
	1.8.2 სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის სხდომების რაოდენობა.	არანაკლებ 2 სხდომა წლიურად	არანაკლებ 2 სხდომა წლიურად და დამატებით საჭიროებიდან გამომდინარე.	3 სხდომა
	1.8.3 DCFTA-ით გათვალისწინებული ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების რაოდენობა, რომელთან დაახლოების მიზნით	ევროკავშირის 26 საკანონმდებლო აქტი.	ევროკავშირის 120 საკანონმდებლო აქტი.	ევროკავშირის 81 საკანონმდებლო აქტი.

	მომზადებული საკანონმდებლო პროექტები კომენტარებისთვის განთავსებულია DCFTA.GOV.GE-ზე.			
პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა				
ამოცანა	**ინდიკატორი**	**საბაზისო (2019 წ.)**	**სამიზნე (2025 წ.)**	**ფაქტობრივი (2025 წ.)**
2.1 შრომის ბაზრის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა	2.1.1 შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგების პრეზენტაცია/განხილვის რაოდენობა.	1 კვლევის პრეზენტაცია/ განხილვა.	მინიმუმ 1 კვლევის პრეზენტაცია/ განხილვა წელიწადში.	წლიურად 1 კვლევის პრეზენტაცია/ ჯამურად 5
2.2 უსაფრთხო შრომითი გარემოს საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება	2.2.1 ჩატარებული ტრენინგების/შეხვედრების რაოდენობა წლიურად.	25	ზრდა 50%	4684
	2.2.2 ტრენინგების/შეხვედრების მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები მათ დაეხმარება გაუმჯობესონ შრომის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტი ან შრომის უსაფრთხოების რეგულაციებთან შესაბამისობის ხარისხი.	არა	80%	N/A
2.3 სამეწარმეო უნარების გაძლიერება რეგულარული ტრენინგების გზით	2.3.1 დატრენინგებულ მეწარმეთა პროცენტული წილი, რომლებიც თვლიან, რომ ტრენინგის განმავლობაში მიღებული უნარები და ცოდნა გამოადგებათ საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესებაში.	არა	65%	სსიპ „აწარმოე საქართველოში“ - 94%; სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ - 80%
2.4 მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება	2.4.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (პსდ-ები) რაოდენობა, სადაც დანერგილია მეწარმეობრივი კულტურის კონცეფცია.	0	5	4
	2.4.2 მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა.	444 სტუდენტი წლიურად	1500 სტუდენტი წლიურად	10,500
	2.4.3 დანერგილი დუალური მიდგომის პროფესიული პროგრამების რაოდენობა.	35-მდე	45-მდე	57
2.5 შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS), შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემისა (WORKNET) და შესაბამისი	2.5.1 სერვისების მიმღებთა რაოდენობა.	3 458 პირი. მათ შორის, 3 261 ქალი და 197 კაცი (საბაზისო - 2020)	ზრდა 10%	სერვისების მიმღებთა რაოდენობამ 14 258 შეადგინა, მათ შორის, 10 058 ქალი. ასევე, საინფორმაციო შეხვედრებს დაესწრო 7 000-მდე პირი (1 500 მოსწავლე, 1 600

სერვისების განვითარება				სტუდენტი, 3 841 სამუშაოს მაძიებელი).
	2.5.2 სერვისების მიმღებთა რაოდენობა, რომელიც დასაქმდება.	სულ 908 ადამიანი. მათ შორის 699 ქალი, ზრდა 10%. (საბაზისო - 2020)	ზრდა 10%	დასაქმებულია 6 269 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, 4 562 ქალი. საბაზისო წელთან შედარებით, დასაქმების მაჩვენებელი 6.9-ჯერ გაიზარდა.
2.6 ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პოპულარიზაცია	2.6.1 დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა.	30 კომპანია	არანაკლებ 150 დატრენინგებული კომპანია.	604 კომპანია
	2.6.2 შემუშავებული ESG სახელმძღვანელო.	არა	კი	კი
	2.6.3 დატრენინგებულ კომპანიათა რაოდენობა, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები დაეხმარება RBC/ESG პრინციპების იმპლემენტაციაში.	არა	70%	100%
2.7 ფართოზოლოვანი ინტერნეტის საშუალებით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა	2.7 ციფრული წიგნიერების (მათ შორის ციფრული უნარების) ხელშემწყობი პროგრამებით მოცული დასახლებების რაოდენობა.	0	500	300

პრიორიტეტი 3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანა	ინდიკატორი	საბაზისო (2019 წ.)	სამიზნე (2025 წ.)	ფაქტობრივი (2025 წ.)
3.1 სახელმწიფო დაფინანსების პროგრამების განვითარება	3.1.1 შექმნილი ახალი პროდუქტები ან განახლებული არსებული პროდუქტები.	შეიქმნა 2 ახალი პროგრამა; განახლდა 11 არსებული პროგრამა/პროექტი.	შეიქმნება წლიურად 1 ახალი პროექტი; განახლდება 10 არსებული პროგრამა/პროექტი.	2021-2025 წლებში, საშუალოდ, წლიურად 7 ახალი პროგრამა შეიქმნა და 15 პროგრამაში შევიდა ცვლილება/განახლდა. 2021-2025 წლებში, ჯამურად, 37 ახალი პროგრამა შეიქმნა და არსებულ პროგრამებში განხორციელდა 79 ცვლილება).
	3.1.2 სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებში მონაწილე კომპანიების %-ული მაჩვენებელი, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დაფინანსება არასახელმწიფო წყაროებიდან სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ.	10%	40%	50%
3.2 დაფინანსების ალტერნატიული	3.2.1 ლიზინგის პორტფელის მოცულობა.	471.7 მლნ. ლარი	ზრდა 20%	ზრდა 104% (961.9 მლნ. ლარი)

მექანიზმების განვითარება	3.2.2 ფაქტორინგის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო.	არა	კი	შემუშავდა საქართველოს კანონი „ფაქტორინგის შესახებ“, რომელიც მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.
3.3 ფინანსური განათლების შემდგომი გაუმჯობესება	3.3.1 ტრენინგის მონაწილეთა %-ული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე მიღებული უნარები და ცოდნა დაეხმარება მათ უკეთესად წარმართონ თავიანთი კომპანიის ფინანსები.	არა	80%	100%
	3.3.2 საგანმანათლებლო პოსტები ფინანსური განათლების პორტალის სოციალური ქსელით	არა	წვდომა: 30 000 პირი; ჩართულობა: 3000 პირი წლიურად	წვდომა: 337 000-მდე; ჩართულობა: 23 000-მდე.
	3.3.3 OECD/INFE კვლევის ანგარიშში მეწარმეთა ფინანსური განათლების არსებული ქულა.	არა	მეწარმეთა ფინანსური განათლების გაუმჯობესებული ქულა (2021 წლის კვლევის ქულასთან მიმართებით)	2021 წლის OECD/INFE კვლევის თანახმად მეწარმეების ფინანსური განათლების ქულამ 10.3 შეადგინა 17 ქულიანი შკალიდან. აღნიშნული მაჩვენებელი OECD/INFE-ს 2021 წლის შემდეგ აღარ შეუფასებია.
3.4 გირავნობის საგნის გაფართოება	3.4.1 რეგისტრირებული მიწების ფართობი.	1.9 მლნ. ჰა	დაახლ. 3.2 მლნ. ჰა	რეგისტრირებული მიწების ფართობი: 3,4 მლნ. ჰა.
	3.4.2 სესხები უძრავი ქონების უზრუნველყოფით.	19.1 მილიარდი ლარი	28.7 მილიარდი ლარი	45.9 მილიარდი ლარი
3.5 მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხარისხის ზრდა	3.5.1 ანგარიშგების წარდგენის მაჩვენებელი.	93%	95%	94%
	3.5.2 ტრენინგების და გადამზადებული პირების რაოდენობა.	44 ტრენინგი და 900-მდე გადამზადებული პირი	ჯამში, 50 ტრენინგი და 1500-მდე გადამზადებული პირი	2025 წლისთვის, ჯამურად, ჩატარდა 65 ტრენინგი და გადამზადდა 1500-მდე ბუღალტერი.
	3.5.3 გადამზადებული ბუღალტერების %-ული წილი, რომელთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არის გაუმჯობესებული ხარისხის.	გადამზადებული ბუღალტერების 72%-მა წარადგინა კარგი/გაუმჯობესებული ხარისხის ფინანსური ანგარიშგება.	გადამზადებული ბუღალტერების 80%-მა წარადგინა კარგი/გაუმჯობესებული ხარისხის ფინანსური ანგარიშგება.	გადამზადებული ბუღალტრების 89%-მა წარადგინა გაუმჯობესებული ხარისხის ფინანსური ანგარიშგება.
3.6 „VENTURE CAPITAL” (VC) და „BUSINESS ANGELS” ეკოსისტემის შემდგომი განვითარება	3.6.1 ინვესტიციები „VC” და „BUSINESS ANGELS” ფონდებიდან წლიურად.	0.5 მლნ. აშშ დოლარი ინვესტიცია წლიურად.	1 მლნ. აშშ დოლარი ინვესტიცია წლიურად.	2025 წელს, სააგენტოს მიერ „500 Georgia, LLC“-ის ვენჩურულ ფონდში გადაირიცხა 3,084,053 ლარი. ჯამურად, 2023-2025 წლებში, ფონდში გადარიცხული თანხა

				9,254,962 ლარს შეადგენს. სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ და „500 Georgia, LL.C“-ს საინვესტიციო ფონდს შორის ხელშეკრულება 2022 წელს გაფორმდა. ფონდი ქართულ სტარტაპებში ინვესტირების, ინოვაციების მხარდაჭერისა და შემდგომი განვითარების მიზნით დაფუძნდა.
პრიორიტეტი 4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა				
ამოცანა	**ინდიკატორი**	**საბაზისო (2019 წ.)**	**სამიზნე (2025 წ.)**	**ფაქტობრივი (2025 წ.)**
4.1 საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენების ხელშეწყობა	4.1.1 ჩატარებულ ღონისძიებებთან მიმართებით კომპანიების კვლევის საფუძველზე, გამოვლენილი კომპანიების დადებითი უკუკავშირი.	N/A	70%	84%
	4.1.2 B2B შეხვედრების რაოდენობა, რომელიც ჩატარდა მხარდაჭერილი კომპანიებსა და საერთაშორისო მყიდველებს შორის.	700	4000	5742
	4.1.3 იდენტიფიცირებული საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი პროდუქტის/მომსახურების რაოდენობა.	არა	4 პროდუქტი/მომსახურება	6 პროდუქტი/მომსახურება
4.2 DCFTA-ის შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება	4.2.1 ევროკავშირის ბაზარზე აქცენტირებული ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის რომ DCFTA-ს შესახებ მიღებულ ცოდნას გამოიყენებს ყოველდღიურ მუშაობაში.	არა	60%	100%
	4.2.2 DCFTA.GOV.GE ვებ-გვერდის ვიზიტორთა რაოდენობა.	20 079 ვიზიტორი	ზრდა წლიურად საშუალოდ 5%	12%-იანი საშუალო წლიური ზრდა. 2025 წელს, dcfta.gov.ge ვებ-გვერდს ეწვია 6600 ახალი ვიზიტორი. 2024 წელს - 7300 ახალი ვიზიტორი.

				2023 წელს - 8900 ახალი ვიზიტორი. 2022 წელს - 9300 ახალი ვიზიტორი.
4.3 ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის შესაბამისი ინსტიტუტების (აკრედიტაცია, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ა.შ.) განვითარება საერთასრისო და/ან ევროპულ პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების მიზნით	4.3.1 საერთაშორისო და ევროკავშირის ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მიერ აღიარებული აკრედიტაციის სფეროები.	ILAC - 0 IAF - 0 EA - 6 სფერო (დაკალიბრება, ტესტირება, სამედიცინო შემოწმება, პროდუქტის სერტიფიცირება, პირთა სერტიფიცირება, ინსპექტირება).	ILAC - 2 IAF - 2 EA - 8	ILAC - 5 IAF - 2 EA - 7
	4.3.2 დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა.	✓ საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა - 15697 ✓ ქართულ ენაზე თარგმნილი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა -120 ✓ გაყიდული/ გავრცელებული საერთაშორისო / ევროპული სტანდარტების რაოდენობა - 381	✓ საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა - 23000 ✓ ქართულ ენაზე თარგმნილი საერაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა -210 ✓ გაყიდული/ გავრცელებული საერთაშორისო / ევროპული სტანდარტების რაოდენობა - 600	2019 წლიდან 2025 წლის ჩათვლით: საქართველოს სტანდარტად მიღებულ იქნა სტანდარტიზაციის საერთაშორისო და ევროპული ორგანიზაციის 28,285 სტანდარტი; საქართველოს სტანდარტად მიღებულ იქნა 246 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები; დაინტერესებული პირების მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოს მიერ გაყიდული/გავცელებული იქნა 3,268 საქართველოს სტანდარტი.
	4.3.3 მეტროლოგიის სფეროში დაინტერესებული პირებისათვის გაწეული სერვისების გაზრდილი დიაპაზონი ან/და სფერო, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერვისები.	ფიზ-ქიმიური გაზომვების და სტანდარტული ნიმუშების სფეროში მომსახურება არ არის მოთხოვნის შესაბამისად დაფარული GEOSTM-ის მიერ.	ფიზ-ქიმიური გაზომვების სფეროში ახალი დაკალიბრების მომსახურება შეთავაზებულია GEOSTM-ის მიერ დაინტერესებული პირებისთვის.	დაინტერესებული პირებისათვის მიწოდებულია გაზრდილი და გაუმჯობესებული დიაპაზონების სერვისები.
4.4 ინვესტიციების და SME-ების კავშირების გაძლიერება	4.4.1 პოტენციური ადგილობრივი მეწარმეების/ მომწოდებლების მონაცემთა ბაზა, რომლებიც შეთავაზებულ იქნებიან	არა	კი	სააგენტომ ბიზნეს ასოციაციებთან კონსულტაციების საფუძველზე, შექმნა ადგილობრივი

	საქართველოში არსებულ უცხოელ ინვესტორებს.			მიმწოდებლების ბაზა და მომზადდა კომპანიებისა და საინტერესო პროექტების შესახებ კატალოგი, რომლებიც გაზიარდა დაინტერესებულ ინვესტორებთან; აღნიშნული ასოციაციებში გასავრცელებლად გაეგზავნა ინვესტორთა საბჭოსაც. სააგენტოს მიერ შედგა პოტენციური საინვესტიციო პროექტების სია (70 პროექტი), რომელთა შეთავაზება მოხდა საქართველოში მოქმედი უცხოელი ინვესტორებისთვის.

პრიორიტეტი 5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა ხელშეწყობა

ამოცანა	ინდიკატორი	საბაზისო (2019 წ.)	სამიზნე (2025 წ.)	ფაქტობრივი (2025 წ.)
5.1 ინოვაციური დაფინანსების განვითარება	5.1.1 ინოვაციური დაფინანსების სახელმწიფო პროდუქტების ბენეფიციარების რაოდენობა.	ბენეფიციარების რაოდენობა - 164.	ბენეფიციარების რაოდენობა - ზრდა 10%.	351 სტარტაპი, 114%-იანი ზრდა.
	5.1.2 იმ მცირე და საშუალო მეწარმეების რაოდენობა, რომლებმაც შეიმუშავეს ინოვაციური პროდუქტი (პროტოტიპის დონეზე) ან მომსახურება, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ბენეფიციართა შორის.	27	100	124
5.2. ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა	5.2.1 დატრენინგებული ბენეფიციარების რაოდენობა.	0	არანაკლებ 700 პირი	2300-მდე მეწარმე
5.3 საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა	5.3.1 საკანონმდებლო და ტექნიკური ჩარჩო ფართოზოლოვანი ქსელების განვითარებისთვის.	მომზადებული და ინიცირებული 1 საკანონმდებლო პროექტი	მომზადებული და ინიცირებული 5 დოკუმენტის პროექტი	3 დოკუმენტის პროექტი
	5.3.2 მეწარმეთა რაოდენობა, რომელთაც გაიარეს ტრენინგი ციფრულ უნარებში.	385	3000	10494
	5.3.3 ციფრული უნარების ტრენინგების მიმღებ მეწარმეთა რაოდენობაში იმ მეწარმეთა %-ული წილი, რომლებმაც მიიღეს საერთაშორისო სერთიფიკატი,	0	40%	38.3%

	რაც სამუშაოს მიღების წინაპირობას წარმოადგენს			
5.4 ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება	5.4.1 ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინტერნეტ ქსელებით დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობა.	0	1064	390
	5.4.2 ინტერნეტ ქსელებით დაფარული მაღალმთიანი რეგიონების დასახლებული პუნქტების (<200 მოსახლეობით) რაოდენობა (სათემო ინტერნეტიზაცია).	124	არანაკლებ 174	124
	5.4.3 ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლად აშენებული ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელების სიგრძე (კმ)	0	5000	1850
5.5 მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების განვითარება	5.5.1 მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების გადაწყვეტილი პრობლემები.	არა	10	10
5.6 კვლევასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაღრმავება	5.6.1 ტექნოლოგიური გადაცემების პროექტების რაოდენობა, რომელიც კომერციალიზაციის ეტაპზე გადავიდა.	0	მინიმუმ 1	კომერციალიზაციისთვის შერჩეულია 13 კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტი.
პრიორიტეტი 6. ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა				
ამოცანა	**ინდიკატორი**	**საბაზისო (2019 წ.)**	**სამიზნე (2025 წ.)**	**ფაქტობრივი (2025 წ.)**
6.1 „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრინციპების" (WEPS) პოპულარიზაცია	6.1.1 საინფორმაციო სესიების რაოდენობა.	8 საინფორმაციო სესია	ჯამში 10 საინფორმაციო სესია	ჯამში, 79 საინფორმაციო სესია
	6.1.2 ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც ადასტურებს რომ ტრენინგის შედეგად მიღებული ცოდნა დაეხმარება მათ ხელი შეუწყონ თავიანთ საქმიანობაში გენდერულ თანასწორობის საკითხებთან მიმართებით.	არა	65%	98%
6.2 გენდერული ნიშნით სტატისტიკის გაუმჯობესება სახელმწიფო პროგრამებში	6.2.1 სახელმწიფო პროგრამების სტატისტიკა წარმოდგენილია გენდერული ნიშნით.	1 პროგრამა	3 პროგრამა	12 პროგრამა
6.3 სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის წახალისება	6.3.1 „მიკრო გრანტების" სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ქალების წილი.	0.45	0.5	63%

6.4 ქალებში ციფრული უნარ-ჩვევების გაძლიერება	6.4.1 ქალ-მეწარმეთა რაოდენობა ციფრულ უნარებთან დაკავშირებულ ტრენინგებში.	N/A	600-მდე მეწარმე	2400-მდე ქალი მეწარმე
	6.4.2 ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი, რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი ციფრული უნარები დაეხმარება ბიზნეს საქმიანობის გაუმჯობესებაში.	N/A	70%	95%
6.5 სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა გენდერული მიდგომების განვითარებისთვის	6.5.1 გენდერული მიდგომების განვითარებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა.	არა	10	2021-2025 წლებში, სააგენტოების „აწარმოე საქართველოში“, „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, გენდერული მიდგომების განვითარების მიმართულებით, ჯამურად, 21 ტრენინგი ჩატარდა.
	6.5.2 ტრენინგის მონაწილეთა პროცენტული წილი. რომელიც თვლის, რომ ტრენინგზე შეძენილი უნარები სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში გენდერზე დაფუძნებული მიდგომის თვალსაზრისით.	არა	70%	ტრენინგის მონაწილეთა 80% აცხადებს, რომ ტრენინგზე მიღებული ცოდნა/უნარები სასარგებლო იქნება მათ საქმიანობაში.

პრიორიტეტი 7. მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანა	ინდიკატორი	საბაზისო (2019 წ.)	სამიზნე (2025 წ.)	ფაქტობრივი (2025 წ.)
7.1 მწვანე ზრდის სტრატეგიის განვითარება	7.1.1 მწვანე ზრდის 2022-2027 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.	არა	კი	ამ ეტაპზე, შემუშავებულია მწვანე ზრდის 2027-2030 წლების სტრატეგიის პროექტის საბოლოო ვერსიადოკუმენტი საბოლოო პროცედურებს გადის, რომლის შემდგომ წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.
7.2 ეკო-ინოვაციის მიდგომის პოპულარიზაცია	7.1.2 კომპანიათა რაოდენობა, რომელთანაც შედგა საინფორმაციო შეხვედრები.	N/A	საინფორმაციო სესია არანაკლებ 100 კომპანიასთან	საინფორმაციო სესიები 800-მდე კომპანიასთან.

	7.2.1 მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა, რომელშიც ეკო-ინოვაციური მიდგომა დანერგილია.	0	8	40-მდე კომპანია.
7.3 მწვანე დაფინანსების განვითარება	7.3.1 „მწვანე" ფინანსური პროდუქტების არსებობა.	არა	კი	კი
	7.3.2 მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის არსებობა.	არა	კი	კი
7.4 საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება	7.4.1 საკანონმდებლო ჩარჩო დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობას.	არა	კი	კი. მიღებული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად (საქართველოს კანონები - „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ", „ენერგოეფექტურობის შესახებ", „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ"), ამ ეტაპზე, მიმდინარეობს დარჩენილი კანონქვემდებარე აქტების შემუშავების და დამტკიცების პროცესი. 2024 წელს, დამტკიცდა „ენერგოტიკეტირების შესახებ"კანონით განსაზღვრული 14-ვე ტექნიკური რეგლამენტი. ასევე, „ენერგოეფექტურობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 19-დან დამტკიცდა კანონით განსაზღვრული 18 კანონქვემდებარე აქტი (1 აქტის სამუშაო ვერსია მომზადებულია).
7.5 ეკოტურიზმის განვითარება	7.5.1 საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.	არა	კი	კი
	7.5.2 ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კეთილმოწყობილი ბილიკები.	68 მარკირებული საფეხმავლო (ინტეგრირებული სამანქანოსთან) და საგანმანათლებლო ბილიკი (ჯამური სიგრძე 1550 კმ)	10 ახალი კეთილმოწყობილი ბილიკი (დაახლოებით 170 კმ)	2021-2025 წლებში, დაცულ ტერიტორიებზე სულ მოეწყო/რეაბილიტირ და 39 ბილიკი, ჯამში 627 კმ სიგრძის.

	7.5.3 დაცული ტერიტორიების გაზრდილი ფართობი.	666 107 ჰა	გაზრდილია მინიმუმ 185 000 ჰა-ით	დაცული ტერიტორიების ფართობი გაიზარდა 259 704 ჰა-თი და 2025 წლის მდგომარეობით, ჯამურად, საქართველოს დაცული ტერიტორიების ფართობმა 929,996 ჰა შეადგინა.
7.6 გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლება	7.6.1 ტრენინგების იმ კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი, ვისაც მიაჩნია, რომ შეძენილი ცოდნა დაეხმარება გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაში.	არა	კურსდამთავრებულების 60%	70%

ცხრილი 3. ამოცანების შეფასების მატრიცა

პრიორიტეტები	ამოცანები, სულ	სრულად შესრულდა ✓	მეტწილად შესრულდა ◑	ნაწილობრივ შესრულდა ◔	არ შესრულდა ✗
I	8	4	3	1	
II	7	5	2		
III	6	5	1		
IV	4	4			
V	6	4	1		1
VI	5	5			
VII	6	4	2		
სულ	**42**	**31**	**9**	**1**	**1**
%	**100%**	**74%**	**22%**	**2%**	**2%**

ცხრილი 4. ამოცანის ინდიკატორების შეფასების მატრიცა

პრიორიტეტები	ამოცანის ინდიკატორები, სულ	სრულად შესრულდა ✓	მეტწილად შესრულდა ◑	ნაწილობრივ შესრულდა ◔	არ შესრულდა ✗
I	20	14	2	1	3
II	13	10	2		1
III	13	12	1		
IV	9	9			
V	11	6	2		3
VI	8	8			
VII	10	8	2		
სულ	**84**	**67**	**9**	**1**	**7**
%	**100%**	**80%**	**11%**	**1%**	**8%**

დანართი N 1: კონსოლიდირებული სტატუსანგარიში